საქართველოს
პარლამენტი
ბიბლიოთეკა

რეფორმა

# იმსჯელეს მართლმსაჯულების განხორციელების ორგანიზაციული უზრუნველყოფის საკითხებზე



27 აპრილს საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის თავმჯდომარეობით გაიმართა იუსტიციის საბჭოს სხდომა, რომელზეც განიხილეს საქართველოს საერთო სასამართლოებში მართლმსაჯულების განხორციელების ორგანიზაციული უზრუნველყოფის ღონისძიებები. ამ თვალსაზრისით სისტემაში მიმდინარე პროცესებისა და ჯერ კიდევ არსებული პრობლემების შესახებ სხდომას ინფორმაცია წარუდგინა მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტის თავმჯდომარემ მერაბ ახობაძემ.

საბჭოს წევრებმა განიხილეს ბრძანებულების პროექტი, რომელიც მართლმსაჯულების განხორციელების ორგანიზაციული უზრუნველყოფის გადაუდებელ ღონისძიებებს ითვალისწინებს.

საქართველოს პრეზიდენტმა მაღალი შეფასება მისცა დეპარტამენტის მიერ გაწეულ მუშაობას და აღნიშნა, რომ სასამართლო რეფორმის დასრულებამდე ჯერ კიდევ ბევრი საქმეა გასაკეთებელი. „სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი გასაღები სასამართლოების საქმიანობაა“, განაცხადა პრეზიდენტმა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ სასამართლო სისტემის წარმატებული მუშაობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მის მატერიალურ და ფინანსურ უზრუნველყოფას. ამიტომაც ამ მიმართულებით დამატებითი მუშაობა და წინადადებათა შემუშავებაა საჭირო.

საქინფორმი.

მილოცვა

# მის აღმატებულებას იაპონიის პრემიერ-მინისტრს ბატონ ჯუნიჩირო კოიძუმის

თქვენო აღმატებულებავ,

ნება მიბოძეთ, გულწრფელად მოგილოცოთ იაპონიის პრემიერ-მინისტრის პოსტზე არჩევა. დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ, როგორც უაღრესად გამოცდილი პოლიტიკოსი და სახელმწიფო მოღვაწე, განსაკუთრებულ წვლილს შეიტანთ თქვენი ქვეყნის შემდგომი განვითარებისა და გაძლიერების საქმეში.

მე გულწრფელად მოხარული ვარ, რომ საქართველოსა და იაპონიას შორის ჩამოყალიბდა აქტიური და ორმხრივად სასარგებლო ურთიერთობანი, მეტად მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ჩვენი ქვეყნების დაახლოების გზაზე. საქართველო დიდად აფასებს იმ მნიშვნელოვან პოლიტიკურ და ეკონომიკურ თანადგომას, რომელსაც იაპონიის მთავრობა უწევს ჩვენს ქვეყანას დემოკრატიისა და საბაზრო ეკონომიკის შენების მეტად რთულ პროცესში. საქართველოსათვის უაღრესად მნიშვნელოვანია იაპონიის, როგორც აზია-წყნარი ოკეანის რეგიონისა და, საერთოდ, მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოს ინტერესი და მონაწილეობა ჩვენს რეგიონში მიმდინარე პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებში, რაც, უდავოდ, ხელს შეუწყობს იაპონიის მთავრობის ახალ „ევრაზიულ დიპლომატიას“.

იმედი მაქვს, რომ თქვენი, როგორც იაპონიის პრემიერ-მინისტრის, უშუალო ხელშეწყობით ჩვენს ქვეყნებს შორის თანამშრომლობა კვლავინდებურად აქტიურად განვითარდება იაპონელი და ქართველი ხალხების საკეთილდღეოდ.

გისურვებთ ჯანმრთელობასა და წარმატებებს თქვენს მოღვაწეობაში.

გულწრფელად თქვენი
ედუარდ შევარდნაძე.

ჩვენი გაზეთი ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/sakartvelos-respublika

ოთხ დღეში ჩვენს გაზეთს ინტერნეტით გაეცნო 10281 მკითხველი. მათ შორის, 74% აშშ-დან, 22% – საქართველოდან.

„დილა ამ გაზეთის გადაშლით დაიწყეთ...“
ე. შევარდნაძე

# საქართველოს რესპუბლიკა

სნსკ
საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია
Georgian International Oil Corporation

გაზეთი დაარსებულია 1919 წელს, აღდგენილია 1990 წელს. №100 (3841) შაბათი, 28 აპრილი, 2001 წელი. ფასი 50 თეთრი.

კანონმდებლები

## გუშინ პარლამენტმა...



დაამტკიცა საქართველოსა და სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდს შორის ხელმოწერილი „მთიანი და მაღალმთიანი რეგიონების სოფლის მეურნეობის განვითარების სასესხო ხელშეკრულება“.

... საქართველოს საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებებით ერთ ტონა პიროლიზურ ფისზე 50 ლარის ოდენობის აქციზი დააწესა.

ახალი აქციზური გადასახადის მოქმედების ვადა პიროლიზური ფისისათვის 2003 წლის 1 იანვრამდე განისაზღვრა.

საქინფორმი.

ექსკლუზივი

# ავთანდილ დემეტრაშვილი: „არ შეიძლება მინისტრთა კაბინეტის შექმნის წინააღმდეგი ვიყო, თუკი ამას მოჰყვება საზოგადოების კონსოლიდაცია“

საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის სიტყვებმა – „მინისტრთა კაბინეტის შემოღება წინგადადგმული ნაბიჯია ჩვენი სახელმწიფოს შემდგომი განვითარებისა და განმტკიცების გზაზე“ – მთელი პოლიტიკური სპექტრი საკონსტიტუციო ცვლილებების შესახებ საკამათოდ შემართა.

ქვეყნის პოლიტიკურ თუ სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამოსწორების აუცილებლობა რადიკალური ნაბიჯების გადადგმას მოითხოვს. მაგრამ ერთია პოლიტიკური მოსაზრებებით გადაწყვეტილების მიღება და მეორეა ამ გადაწყვეტილების სამართლებრივი განმტკიცება.

სწორედ ამ პრობლემაზე საუბრობდა საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე ავთანდილ დემეტრაშვილი, ჟურნალისტური ინტერპრეტაციით კი თურმე იგი ქვეყნის პრეზიდენტსა და პარლამენტს უპირისპირდება, მინისტრთა კაბინეტის შემოღების წინააღმდეგია და ა. შ.

რატომ გამოიწვია ბატონ ავთანდილ დემეტრაშვილის, როგორც ყოველთვის, დინჯმა და გაწონასწორებულმა მოსაზრებებმა ასეთი ვნებათაღელვა და რა თქვა მან ასეთი საგანგაშო?

მოვუსმინოთ საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს.

– ჩემი პოზიცია ალბათ დასაზუსტებელია. მინისტრთა კაბინეტის, როგორც სახელმწიფოს კონსტიტუციური სუბიექტის შემოღებას, რა თქმა უნდა, წინააღმდეგობას ვერ გავუწევ. არა იმიტომ, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს თავისი საქმე აქვს, პრეზიდენტსა და პარლამენტს კი თავისი ფუნქციები, არამედ იმიტომ, რომ შინაგანად ყოველთვის ვემხრობოდი მინისტრთა კაბინეტის არსებობას. ეს გამოიხატა იმითაც, რომ, როდესაც დღევანდელი კონსტიტუცია მუშავდებოდა და მე ვიყავი საკონსტიტუციო კომისიის მდივანი, აქტიურად მხარს ვუჭერდი პრეზიდენტის, მაშინდელი საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარის ედუარდ შევარდნაძის იმ მოდელს, რომელსაც ფრანგულს უწოდებენ.



ამიტომ, არც მინაგანად, არც, მით უმეტეს, რაღაც პოლიტიკური მოტივაციით არ შემიძლია დავუპირისპირდე ამ წინადადებას.

იხ. მე-2 გვ.

მილოცვა

# საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტს

საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის დაფუძნება 1966 წლის 20 იანვარს, იმ მეტად რთულ და ძნელ დროში, განხორციელდა ჩემი ინიციატივით. ამიტომ ჩემთვის მეტად მახლობელია ოცდათხუთმეტი წლის იუბილე.

თავიდანვე საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი აერთიანებდა ქართული ინტელიგენციის ყველაზე გამოჩენილ ადამიანებს. მუშაობა მოითხოვდა არა მხოლოდ ვაჟკაცობას, რკინის ნებისყოფას, არამედ ღრმა სახელმწიფოებრივ აზროვნებასა და სიბრძნესაც.

გადიან წლები, იცვლებიან თაობები, მაგრამ ტრადიციები გრძელდება. სწორედ ამიტომ მოიპოვა ამ ინსტიტუტმა აღიარებული ავტორიტეტი, რომელიც კიდევ უფრო გაიზრდება, თუ იგი აითვისებს საზოგადოებრივი აზრის კვლევის, ფორმირებისა და მართვის თანამედროვე ევროპულ და მსოფლიო გამოცდილებას.

ვულოცავ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, მასთან არსებული საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის ხელმძღვანელობას, მის ყველა წევრს ამ შესანიშნავ იუბილეს. აღვნიშნავ, რომ ამჟამად იგი ორგანიზაციულად ერთიანი, მტკიცე სისტემის სახითაა წარმოდგენილი, რაც იმის საწინდარია, რომ მისი მნიშვნელობა მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება საქართველოში ღია, დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობაში.

ედუარდ შევარდნაძე.

კონტრაბანდა

# საზღვარი – ჩვენი მღელვარებისა

## ვაგრძელებთ საუბარს საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარესთან, გენერალ-ლეიტენანტ ვალერი ჩხეიძესთან

ხშირად ამბობენ, რომ კონტრაბანდის ზრდა პირდაპირპროპორციულია საზღვრების სუსტ კონტროლთან. გავაკეთოთ შემდეგი სახის ანალიზი: იმ წლებში, როცა საზღვრები სუსტად კონტროლდებოდა, ინფრასტრუქტურა და კავშირგაბმულობა არ იყო, მეგობარი ქვეყნები არ გვეხმარებოდნენ, გაცილებით დიდი რაოდენობის ისეთი სასაქონლო სახეობები ფიქსირდებოდა და აღირიცხებოდა,

დასაწყისი იხ. „სრ“ № 99.

რომლებიც განაპირობებენ საბიუჯეტო შემოსავლების პარამეტრებს. ნავთობპროდუქტების მაგალითზე: 1996-97 წლებში აღირიცხა ბენზინი 400 000 ტონა, 1998 წ. – 425 000 ტონა, ხოლო 1999-2000 წ.წ., როცა გაცილებით უკეთ აღიჭურვა საზღვრის დაცვა, დაფიქსირდა 259 000 ტონა, ხოლო 2000 წელს – 182 679 ტონა. მკვეთრი ვარდნაა ამ სახეობის აღრიცხვისა და შესაბამისად კონტრაბანდის ზრდაში.

ბევრად უფრო რთული მდგომარეობაა დიზელისა და ნავთის აღრიცხვისა და, შესაბამისად, კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით, კერძოდ: 1998 წ. აღირიცხა 283 600 ტონა დიზელი, 1999 წ. – 77 144 ტონა, 2000 წ. – 47 803 ტონა. უფრო საგანგაშო სიტუაციაა ნავთის აღრიცხვასთან დაკავშირებით, 1998 წელს აღრიცხულია 115 000 ტონა ნავთი, 1999 წელს – 51 000 ტონა, ხოლო 2000 წ. – 24992 ტონა.

ანალოგიური სიტუაციაა სიგარეტის იმპორტის აღრიცხვიანობის კუთხით, განსაკუთრებით მაშინ, როცა ამუშავდა კონტროლის მექანიზმი აქციზური მარკის სახით. აქაც აღრიცხული რაოდენობა გაცილებით ნაკლებია, ვიდრე 1997 წ. ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, საქართველო ერთ-ერთ ყველაზე „მწეველ“ ქვეყნად იქცა. ჩვენში სიგარეტის რეალური მოხმარება შეფასებულია 569 მილიონი კოლოფის ოდენობით წელიწადში. სიგარეტის იმპორტის დაბეგვრიდან ვარაუდობდნენ 140 მილიონი ლარის შემოსავლებს, ბიუჯეტში კი ნახევარიც არ შესულა. ასევე შემოსულზე ბევრად ნაკლებია აღრიცხული შაქარი, ფქვილი და სხვა საქონელი.

იხ. მე-3 გვ.

პროკურატურა

# დიდი დანაშაული და პატარა სასჯელი

## ბოლო სამი წლის მანძილზე ტყის უკანონოდ გაჩეხვისათვის თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა დამნაშავეთა მხოლოდ 2 პროცენტს

დღეს საქართველოში უცხოეთიდან ბევრი რამ შემოდის, – ჩვენთვის საჭირო და აუცილებელი. ამავე დროს აქედან საზღვარგარეთაც ბევრი რამ გადის, – ჩვენთვის ასევე საჭირო და აუცილებელი. საბაზრო ეკონომიკამ თავისი ულმობელი პრინციპები მოიტანა და დიდი მცდელობის მიუხედავად, ველარ ვაკავებთ ქვეყნიდან სტრატეგიული ნედლეულის, – თუნდაც ლითონისა და ხეტყის გადინებას. რაც ყველაზე სამწუხაროა, ჩვენივე ბუნებრივი სიმდიდრეების გამტაცებლებად ჩვენვე ვიქცევით. გენერალური პროკურატურის სამმართველოს უფროსი კახა კობერიძე სინანულით გვესაუბრება ტყის უკანონო ჩეხვაზე, მის აღსაკვეთად სამართალდამცავთა სადღეისო საქმიანობაზე, ძირითადად კი ამ საქმიანობაში არსებულ დარღვევებზე. მოვუსმინოთ მას:

იხ. მე-3 გვ.

გიხაროდენ!

## თეკლესა და თამარის ნანატრი ძმა

ამ დღეებში ნინო ვახანიას და თემურ ჯანელიძეს მესამე შვილი – ვახტანგი შეეძინათ. ისინი, აფხაზეთიდან დევნილები, დროებით თბილისში, ქავთარაძის ქუჩაზე № 24 ცხოვრობენ.



ნინომ აკადემიკოს ჩაჩავას სახელობის პერინატალური მედიცინისა და სამეანო გინეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მოილოგინა, სადაც მას და მის პატარას არ მოკლებია ამ სამშობიარო სახლის მედპერსონალის მზრუნველობა.

მის პატარას მეხუთეკლასელი თეკლე და მეოთხეკლასელი – თამრიკო დახვდნენ, რომლებმაც გაიხარეს ნანატრი ძმის შეძენით.

ჯანელიძეების ოჯახი ამ სიხარულს დიდი ხანია ელოდა და აეხდათ კიდეც.

ნინოსა და თემურის ვაჟიანობას ულოცავენ ახლობლები, ნათესავები და ნამრავლით აფხაზეთში მიტოვებულ საკუთარ კერაზე დაბრუნებას უსურვებენ.

რიტა ჩაკვეტაძე.

ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-24.

სიტუაცია

## არ გავაღრმავოთ კონფლიქტი, დაივიწყოთ დიალოგი



გუშინ რედაქციაში მოვიდნენ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები, რომლებმაც გადმოგვცეს განცხადება ამ უმაღლეს სასწავლებელში მიმდინარე პროცესების გამო ატეხილ აჟიოტაჟთან დაკავშირებით. მათ თავი ვალდებულად ჩათვალეს საჯაროდ განეცხადებინათ თავიანთი პოზიცია და წინადადებანი.

იხ. მე-2 გვ.

ინფორმაცია

### დღეს ჭუბურხინჯში

დღეს ჭუბურხინჯში გაიმართება ქართული და აფხაზური სამთავრობო დელეგაციების შეხვედრა და განიხილება ბოლო დროს გალის რაიონში არსებული მდგომარეობა, რომელიც ქართველი პარტიზანებისა და აფხაზური მილიციის შეტაკების გამო, ძალიან გართულდა, იუწყება „იფრინდა“.

ქართულ მხარეს სახელმწიფო მინისტრი გიორგი არსენიშვილი უხელმძღვანელებს, აფხაზურს ვიაჩესლავ ცუგბა.

### საქართველო თავის პოზიციაზე დგას

საქართველო დღეისათვის არ განიხილავს დსთ კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულებასთან შეერთების საკითხს, – განაცხადა პარასკევს ერევანში გამართულ პრესკონფერენციაზე ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანმა ნუგზარ საჯაიამ.

დსთ კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა უშიშროების საბჭოების მდივანთა კომიტეტის თავმჯდომარემ, რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივანმა ვლადიმერ რუშაილომ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ სხდომაზე არ განუხილავთ ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა რიცხვის გაფართოების საკითხი.

### ურთიერთობა კვლავაც წარმატებული იქნება

ამ ბოლო ხანს უკრაინის ხელისუფლებაში მიმდინარე ცვლილებები, ჩვენი რწმენით, არ მოახდენს არავითარ ნეგატიურ ზეგავლენას საქართველო-უკრაინის ურთიერთობაზე, – განუცხადა ჟურნალისტებს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგანგებო დავალებათა ელჩმა ავთანდილ ნაფეტვარიძემ 27 აპრილს გამართულ ბრიფინგზე.

მისი აზრით, უკრაინაში მთავრობის შეცვლა საფრთხეს არ შეუქმნის სუვამს და უკრაინა კვლავაც განაგრძობს ამ ორგანიზაციის ფარგლებში თანამშრომლობას.

### თბილისსა და მინსკს შორის საჰაერო ხიდი გაიდება

ამ ზაფხულს დაგეგმილია თბილისსა და მინსკს შორის საჰაერო მიმოსვლის დაწყება. ამას ითვალისწინებს იმ 10 დოკუმენტიდან ერთ-ერთი, რომლებიც ამჟამად საქართველოსა და ბელორუსიის მთავრობათა შორის ხელმოსაწერად მზადდება და რომელთა ამოცანა სხვადასხვა სფეროში ორი ქვეყნის თანამშრომლობის განვითარებაა.

### მცირე გრანტები 30 000 დოლარად

მსოფლიო ბანკის საქართველოს მუდმივმა წარმომადგენლობამ მიმდინარე წლის მცირე გრანტების პროგრამის ათვისების კონკურსში ხუთი ქართული არასამთავრობო ორგანიზაცია გამოავლინა, რომელთა შორისაა „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი“ და „საქართველოს მთის მოყვარულთა კავშირი“.

როგორც პრაიმ-ნიუსს მსოფლიო ბანკის საქართველოს მუდმივ წარმომადგენლობაში აცნობეს, აღნიშნული პროგრამებისათვის მიმდინარე წელს 30 000 აშშ დოლარი არის გათვალისწინებული.

### სქოული 1917 წლის რევოლუციას იწყებს

ამერიკულმა ენერგოგამანაწილებელმა კომპანია „ეი-ი-ეს თელასმა“ გუშინ დავალიანების მქონე სახელმწიფო უწყებებისათვის, აგრეთვე, საწარმო-დაწესებულებებისთვის ელექტროენერგიის მასობრივად გათიშვა დაიწყო. ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყდათ უზენაეს სასამართლოს, თავდაცვის, ფინანსთა, სახელმწიფო ქონების მართვის და ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროებს, ასევე შინაგან საქმეთა სამინისტროს.

ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყდებათ, აგრეთვე, გენერალურ პროკურატურას, საგარეო საქმეთა სამინისტროს და კონტროლის პალატას.

### აკაკი წერეთლის სახელობის პრემიის ახალი ლაურეატი

ობოლი, ავადმყოფი და ინვალიდი ბავშვების სულიერი, მორალური და მატერიალური დახმარებისთვის, აგრეთვე, ქართველ მწერალთა და ლიტერატურისმცოდნეთა დამოუკიდებელი კავშირის წევრთა შემოქმედებით საქმიანობაში თანადგომისთვის საქართველოს საბავშვო ფონდის გამგეობის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით საოკეანო-სანაოსნო კომპანიის უფროსს, ალმანახ „კარიბჭის“ სარედაქციო კოლეგიის წევრს გურამ დოლბაიას მიენიჭა აკაკი წერეთლის სახელობის პრემია.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა, პრაიმ-ნიუსმა, იფრინდამ.

პალიტრა



ფელიქს ვარლამიშვილი. „მეთევზეები“.

ანეკდოტი მარგინალებისათვის

ორი ქალი ერთმანეთს შეხვდა. ერთის შვილს სახე დოლბანდით აქვს შეხვეული.
— ვაიმე, მარო, რა დაემართა შენს ბიჭს?
— პირი გაეხა!..
— პირიო?! რას ლაპარაკობ...
— კბილებით კაკლის დამტვრევა მოინდომა... მიყიდე და მიყიდე, ქოქოსიო, ვუყიდე...

ფიქრები

# თეთრი ხმალი

## მწერალ გიორგი სანადირაძის წერილი

იხ. მე-3 გვ.

უკანასკნელ საათს



გუშინ კონგრესში გამოსვლისას აშშ სახელმწიფო მდივანმა კოლინ პაუელმა განაცხადა, რომ აშშ ადმინისტრაცია განიხილავს ამ ქვეყნის რუსეთთან უვიზო რეჟიმის შემოღების შესაძლებლობის საკითხს.

გუშინ უკრაინის პრეზიდენტმა ლეონიდ კუჩმამ მიიღო ვიქტორ იუშჩენკოს მთავრობის გადადგომა და დაავალა მას მოვალეობის შესრულება ახალი კაბინეტის ფორმირებამდე. გუშინვე კიევში მუშაობას შეუდგა შტაბი, რომელიც კუჩმასთვის უნდობლობის გამოცხადების თაობაზე რეფერენდუმს გამართავს.



ამინდი დღეს

დასავლეთ საქართველოში
დაბლობში: ღამით +7+12; დღისით +20+25.
მთაში: ღამით +5+10; დღისით +15+20.
აღმოსავლეთ საქართველოში
ბარში: ღამით +6+11; დღისით +21+26.
მთაში: ღამით +2+7; დღისით +16+21.
თბილისში
ცვალებადი მოღრუბლულობა, დღის მეორე ნახევარში წვიმა.
ღამით +9+11; დღისით +22+26.

საქართველოს ჰიდრომეტცენტრი.

ლარის კურსი

28 აპრილიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები:

| | | |
|---|---|---|
| ინგლისური გირვ. | 1 | 2.9695 ლარი |
| გერმანული მარკა | 1 | 0.9526 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 2.0600 ლარი |
| ევრო | 1 | 1.8631 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0713 ლარი |

გვირეკავენ, გვეკითხებიან

– გთხოვთ, განმიმარტოთ, რა შემთხვევაში მიეცემათ პენსია თვეში 45 ლარის ოდენობით, ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის ავარიის სალიკვიდაციო სამუშაოების მონაწილეებს?

მერაბ ქუთელია.

– ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის ავარიის სალიკვიდაციო სამუშაოების მონაწილეებს, ომის ინვალიდების თანაბრად, პენსია 45 ლარამდე მიეცემათ იმ შემთხვევაში, თუ ისინი სამხედრო კომისარიატის მიერ, მობილიზაციის წესით, გაწვეული იყვნენ ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის აღსადგენად და ინვალიდობა დადგენილი აქვთ სამხედრო მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით.

ირინე ღლონტი.

დაგვირეკეთ, შეგვეკითხეთ: 93-16-90, 93-28-54.

ინტერპანორამა

გუშინ ჰოლივუდში 35 წლის თეთრკანიანმა მამაკაცმა ცეცხლსასროლი იარაღით სროლა ატეხა მრავალსართულიანი სახლიდან. დაიღუპა ერთი, დაიჭრა 5 ადამიანი. სპეცრაზმელებმა ტერორისტი მოკლეს.



გუშინ ვორონეჟის სასამართლომ ამერიკის მოქალაქეს ჯონ ტობინს მარიხუანის შენახვისა და გავრცელებისათვის 3 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.



ნორვეგიის დედაქალაქ ოსლოში დაიწყო მოლაპარაკებები ფილიპინების მთავრობის წარმომადგენლებსა და მეამბოხე კომუნისტებს შორის.



გუშინ ნიუ-იორკში დაილუქა დროის კაფსულა, რომელსაც ზუსტად 1000 წლის შემდეგ გახსნიან.

„საქართველოს რესპუბლიკა“ – ავიაკომპანია „აირზენა-საქართველოს ავიახაზების“ თვითმფრინავებში.

პრეზიდენტი

# „ასურელ ხალხთან მრავალსაუკუნოვანი მეგობრობა გვაკავშირებს“



**27 აპრილს საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო საქართველოში სტუმრად მყოფი ასურელთა მსოფლიო ალიანსის გენერალური მდივანი ჯონ ნიმროდი.**

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ პირველი ასურელები, რომლებიც „ასურელ მამათა“ სახელით მოიხსენებიან, საქართველოში ჯერ კიდევ მესამე-მეოთხე საუკუნეებში გამოჩნდნენ. მეთვრამეტე საუკუნიდან კი ასურელები საფუძვლიანად დამკვიდრდნენ ჩვენს ქვეყანაში, რომელიც მეორე სამშობლოდ აღიარეს. დღეისათვის მათი რიცხვი 8 ათასს აღემატება.

ჯონ ნიმროდიმ მადლობა გადაიხადა ზრუნვისა და ყურადღებისათვის, რომელსაც საქართველოს ხელისუფლება იჩენს ასურელთა მიმართ.

საქართველოს პრეზიდენტმა ისაუბრა იმ სამეცნიერო კვლევა-ძიებებზე, რომლებიც საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების ხალხთა ისტორიის შესწავლას ემსახურება. ამ საქმეში ფასდაუდებელი წვლილი მიუძღვის ცნობილ მეცნიერს კონსტანტინე წერეთელს.

შეხვედრაზე გამოითქვა მოსაზრება, რომ საქართველოში ასურელთა ცხოვრების ისტორიის საფუძვლიანი შესწავლის შემდეგ, გაიმართოს საერთაშორისო კონფერენცია, დაახლოებით ისეთი, როგორიც საქართველოში ებრაელთა ცხოვრების 26-საუკუნოვანი იუბილეს დღეებში მოეწყო.

ამ საქმეს დიდად შეუწყობს ხელს საქართველოს ასურელთა საერთაშორისო ეროვნული კონგრესი, რომელიც 1992 წელს შეიქმნა და ნაყოფიერად მუშაობს.

გარდა ამისა, სტუმრებმა გამოთქვეს საქართველოსთან საქმიანი ურთიერთობის დამყარების სურვილი, რომელსაც მხარი დაუჭირა საქართველოს პრეზიდენტმა და სტუმრებს მომავალ საქმიანობაში მხარდაჭერა აღუთქვა.

**საქინფორმი.**

# დაიწყო მზადება მომავალი წლის ზამთრისათვის



27 აპრილს საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო მსოფლიო ბანკის ენერგოსექტორის ჯგუფის ხელმძღვანელი პიტერ ტომპსონი.

შეხვედრაზე ისაუბრეს იმ ენერგომემცველებზე, რომლებიც ტრანზიტის სახით საქართველოს ტერიტორიაზე გაივლის და რომელთა მეშვეობით საქართველო შეძლებს გაზზე საკუთარი მოთხოვნილების სრულად დაკმაყოფილებას, გარდა ამისა, მოახდენს გაზის მარაგის დივერსიფიცირებას. ქვეყნის ეკონომიკა კი ტრანზიტის შედეგად წინასწარ განსაზღვრული ტარიფით მიიღებს თანხებს. ლაპარაკია როგორც რუსეთის, ასევე აზერბაიჯანის გაზის მარაგის ტრანსპორტირებაზე.

და, ბოლოს, შეხვედრაზე მსოფლიო ბანკის წარმომადგენელმა საქართველოს პრეზიდენტს მოახსენა მსოფლიო ბანკის ხელმძღვანელობის შეფასება საქართველოში მინისტრთა კაბინეტის მოდელის შემოღების შესახებ. მისი თქმით, მსოფლიო ბანკი მიესალმება მინისტრთა კაბინეტის შექმნას.

**საქინფორმი.**

სიტუაცია

# არ გავაღრმავოთ კონფლიქტი, დავიწყოთ დიალოგი

(პირველი გვერდიდან)

„ცხადია, ასე გაგრძელება არ შეიძლება, — ნათქვამია წერილში, და ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტებმა სრულიად სამართლიანად და გულწრფელად ამოიღეს ხმა.

ამასთან, სავსებით ცხადია ის პოლიტიკური ფონიც, რომელიც ამ მოვლენებს ახლავს. ვფიქრობთ, ძნელია, ეჭვი შევიტანოთ, რომ არსებობს მცდელობა, ხელისუფლებაში სხვადასხვა ძალებს შორის არსებული დაპირისპირება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იქნეს გადმოტანილი და სტუდენტების გულწრფელი შემართება პოლიტიკური მიზნებით გამოიყენონ.

ვფიქრობთ, ამ სიტუაციაში საჭიროა არა შეურიგებელი პოზიციების დაფიქსირება და კონფლიქტის გაღრმავება, არამედ დიალოგი. უნივერსიტეტის რექტორატი და ორივე სტუდენტური ორგანიზაცია უნდა დასხდნენ შეხების წერტილების მოსაძებნად. უამისოდ სიტუაციამ, შეიძლება, უმართავი, უფრო სწორად, უპასუხისმგებლო პირების მხრიდან მართებული სახე მიიღოს. ამას ჩვენგან მოითხოვს არა მხოლოდ უნივერსიტეტის, არამედ საერთო ქართული სახელმწიფოებრივი ინტერესები, რომელთა მსახურებას, ვფიქრობთ, არავითარი გრანტით უზრუნველყოფა არ სჭირდება.

უნივერსიტეტი თანაბრად ეკუთვნის პედაგოგსა და სტუდენტს. იგი მათი თანამშრომლობის ასპარეზია და არა რომელიმე პოლიტიკური პოლუსის მიერ ქულების დაგროვების საშუალება. ამასთან დაკავშირებით, სამწუხაროდ, ჩვენ არასასურველი პროგნოზები გვაქვს. სწორედ ამიტომაც ვაკეთებთ ამ განცხადებას“.

წერილს სტუდენტთა საინიციატივო ჯგუფის სახელით ხელს აწერენ: პაპუნა ფირალიშვილი, მიხეილ ჩიქოვანი, ნიკოლოზ ჩანადირი, გიგა ჩხაიძე, კობა ფირცხელიანი, ირაკლი ბარამიძე, თამარ ქენქაძე, დავით ბერულავა, გივი კერვალიშვილი, ზურაბ ღიბრაძე, ლევან სიგუა.

**რედაქცია გუშინვე დაუკავშირდა უნივერსიტეტის რექტორს, აკადემიკოს როინ მეტრეველს და გააცნო წერილის შინაარსი.**

**ბატონმა როინმა ბრძანა, რომ იგი ყოველმხრივ უჭერს მხარს დიალოგის იდეას, ამასთან, დიდი იმედი აქვს, რომ სტუდენტები გამონახავენ საერთო ენას, შეთანხმდებიან ყველა პრობლემური საკითხის ირგვლივ, ნაყოფიერად ითანამშრომლებენ ერთმანეთთან და რექტორატთან.**

**რექტორატი, პირადად რექტორი, მზად არიან არსებული ვითარებისა და უნივერსიტეტის შესაძლებლობათა გათვალისწინე-** [illegible] **ურთიერთთანამშრომლობის ეს ფორმა ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტია მშვიდ, შემოქმედებით და აკადემიურ ვითარებაში სასწავლო პროცესის წარსამართავად.**

**სპარტაკ ძოწულია.**

ენერგეტიკა

# AES თელასმა მევალეები ააფორიაქა

**როგორც „იფრინდას“ შპს „საქტელეცენტრის“ გენერალურმა დირექტორმა ნუგზარ ბეკარიშვილმა განუცხადა, AES თელასის ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკების შედეგად მიღწეული შეთანხმების თანახმად, დენის მიწოდება არ შეუწყდება ტელეანძას, სადაც განლაგებულია ყველა ტელე თუ რადიო სადგურის გადამცემი, და სპეცსამსახურების სპეციალური კავშირის საშუალებები.**

ექსკლუზივი

# ავთანდილ დემეტრაშვილი: „არ შეიძლება მინისტრთა კაბინეტის შექმნის წინააღმდეგი ვიყო, თუკი ამას მოჰყვება საზოგადოების კონსოლიდაცია“

(პირველი გვერდიდან)

მაგრამ, მიმაჩნია, რომ მინისტრთა კაბინეტის შემოღება ნაადრევია. აი, ამ თვალსაზრისით შეიძლება ეთქვათ, რომ ჩემი პოზიცია არ ემთხვევა იმ პოზიციას, რომელიც დღეს არის გაბატონებული პოლიტიკურ წრეებში. მაგრამ ამ შემთხვევაშიც გარკვეული საფუძველი მაქვს.

**— რატომ არის ნაადრევი, რა გაძლევთ ამის თქმის საფუძველს?**

— პირველი. ვფიქრობ, რომ, ჯერ ერთი, ამოწურული არ არის იმ სისტემის შესაძლებლობები, რომელსაც ე. წ. საპრეზიდენტო სისტემას უწოდებენ. მას უამრავი დადებითი მხარე აქვს და, მე მგონი, ჩვენ ბოლომდე არ გამოგვიყენებია ეს დადებითი მხარეები.

მეორე. ძალიან ვშიშობ, — და გთხოვთ ამას მიაქციოთ ყურადღება, — ძალიან ვშიშობ, რომ ამ კონსტიტუციური რეფორმის შედეგად ეჭვქვეშ არ დავაყენოთ სახელმწიფოს მეთაურის ფუნქციები.

პრესაში დაიბეჭდა და გავიმეორებ: ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ საქართველოში კონსტიტუციურობის ერთადერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გარანტი არის საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე.

წარმოიდგინეთ, რომ შეიქმნება მინისტრთა კაბინეტი, გადანაწილდება პრეზიდენტის ფუნქციები, — არ ვიცი ასე მოხდება თუ არა, მაგრამ ასეთი შთაბეჭდილება მექმნება ოპოზიციის იმ წარმომადგენლების საუბრიდან, რომლებიც ითხოვდნენ მინისტრთა კაბინეტის შემოღებას. მათი აზრით კი, პრეზიდენტის პოსტი უნდა გახდეს სიმბოლური სახელმწიფო თანამდებობა, — ამით ჩვენ კონსტიტუციური სტაბილურობის ერთ-ერთ ყველაზე საიმედო გარანტს ვკარგავთ.

**— ფაქტობრივად, გარანტი აღარ იქნება, რადგან ფუნქციები გადანაწილდება.**

— რა თქმა უნდა, მისი, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურის ფუნქციები გადანაწილდება მთავრობაზე. მისი, როგორც სახელმწიფოს მეთაურის ფუნქცია, კოორდინაცია გაუწიოს სახელმწიფო ორგანოების საქმიანობას, გადანაწილდება პარლამენტზე, ვინაიდან პარლამენტს ექნება უფლება უნდობლობა გამოუცხადოს მთავრობას, მონაწილეობას მიიღებს მის ფორმირებაში. ამით კი ხელყოფილი იქნება კონსტიტუციის 69-ე მუხლი, რომელშიც კონკრეტულად არის განსაზღვრული სახელმწიფოს მეთაურის ფუნქციები.

აი, ეს არის ყველაზე რეალური, — ჩემთვის ყოველ შემთხვევაში, — გაუმართლებელი ცელილება, რომელიც შეიძლება მოიტანოს მინისტრთა კაბინეტის შემოღებამ. ეს ერთი.

მაგრამ არსებობს მეორე, — არანაკლებ მნიშვნელოვანი საშიშროება, — პარლამენტის, როგორც უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ერთგვარი დევალვირება იმ თვალსაზრისით, რომ სახელმწიფოს უმაღლეს ორგანოთა სისტემაში გაჩნდება კიდევ ერთი სუბიექტი, ძლიერი დამოუკიდებელი სუბიექტი. მინისტრთა კაბინეტის სახით, რომელსაც უფლება ექნება სახელმწიფოს მეთაურის წინაშე დააყენოს პარლამენტის დათხოვნის საკითხი.

უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს, თუკი მინისტრთა კაბინეტი პრეზიდენტის წინაშეც იქნება პასუხისმგებელი და პარლამენტის წინაშეც, თავისი საკონტროლო ფუნქციის განხორციელების დღევანდელი კონსტიტუციით მინიჭებული შესაძლებლობები შეეკვეცება.

**— ე. ი. მცირდება თვით პარლამენტის უფლებებიც.**

— უფლებებზე არ ვიტყვი, მაგრამ პოლიტიკური შესაძლებლობები, კონსტიტუციური ბერკეტები მას უფრო ნაკლები ექნება.

აი, ამიტომ, ვამბობ, რომ მინისტრთა კაბინეტის შემოღებამ შეიძლება გამოიწვიოს ასეთი უარყოფითი შედეგები: — საქართველოს პრეზიდენტის როლის შემცირება, მისი მაკოორდინირებელი ფუნქციის ერთგვარი დევალვირება და იმავდროულად პარლამენტის ფაქტობრივი როლის შემცირება სახელმწიფოს საქმეთა მართვაში.

ეს ორი რეალური საშიშროება არსებობს.

რა თქმა უნდა, ყველაზე ადვილია იდეის ოპოზიციაში დგომა, მაგრამ როდესაც ეს ოპოზიცია კონსტრუქციულია, მან შეიძლება თავიდან აგვაცილოს ის უარყოფითი შედეგები, რაც მინისტრთა კაბინეტის შექმნას შეიძლება მოჰყვეს. ამიტომ, ვფიქრობ, თუკი პოლიტიკურმა სიტუაციამ მოიტანა მინისტრთა კაბინეტის შექმნის აუცილებლობა, ჩვენ დიდი დაფიქრება გვმართებს, თუ რა სახის მინისტრთა კაბინეტი უნდა ჩამოყალიბდეს და ამისათვის, ჩემი აზრით, ძალიან მნიშვნელოვანი იქნება მისი ფორმირების წესის განსაზღვრა.

**— და ეს უნდა აისახოს ქვეყნის ძირითად კანონში — კონსტიტუციაში.**

— რა თქმა უნდა. ჩემი აზრით, ამ წესის განსაზღვრაში დღევანდელი კონსტიტუციური ურთიერთობის ორივე ძირითადი სუბიექტი — საქართველოს პრეზიდენტი და პარლამენტი უნდა მონაწილეობდნენ. მინდა მკითხველის ყურადღება გავამახვილო კონსტიტუციის მეხუთე მუხლზე, რომელშიც წერია, რომ საქართველოს სახელმწიფო ფუნქციონირებს, მისი საქმიანობა ეყრდნობა ხელისუფლების დანაწილების პრინციპს, ანუ თანაბარი წონასწორობა კონსტიტუციურ ორგანოთა შორის უნდა შენარჩუნდეს, რა თქმა უნდა, სახელმწიფოს მეთაურის მაკოორდინებელი ფუნქციის შენარჩუნებით.

მეორეც. თუკი ჩვენ გვინდა არსებითი ცვლილებები შევიტანოთ უმაღლეს ორგანოთა სისტემაში, აუცილებლად უნდა ვიფიქროთ იმაზე, რომ მინისტრთა კაბინეტს ჰქონდეს ფართო და რეალური კომპეტენცია, უფლებამოსილებები, რადგან მისი შექმნა, ჩემი აზრით, ამ ეტაპზე, ალბათ, განაპირობა ქვეყანაში არსებულმა მძიმე სოციალურ-ეკონომიკურმა ფონმა. ამიტომ, რეალური ფართო უფლებამოსილებები საჭიროა სწორედ ამ სფეროში.

**— რათა შეძლოს ამ მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამოსწორება.**

— დიახ. კაბინეტის კომპეტენცია უნდა გაფართოვდეს და ამისათვის საჭირო იქნება მთელი საკანონმდებლო მასივის, იმ აქტების გადასინჯვა, რომელიც სახელმწიფოს ეკონომიკურ საქმიანობას შეეხება. უკვე აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ გადასასინჯი იქნება კანონი აღმასრულებელი ხელისუფლების შესახებ, კანონი საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ, კანონი უზენაესი სასამართლოს შესახებ, პარლამენტის რეგლამენტი... უამრავი სხვა კანონი და კანონქვემდებარე აქტი.

**— ე. ი. ფაქტობრივად, მთელი საკანონმდებლო მასივი უნდა შეიცვალოს.**

— ეს, თითქოსდა, ტექნიკური საკითხია, მაგრამ მას გარკვეული დრო და მომზადება სჭირდება. და არა მგონია, რაღაც ორ თვეში მოესწროს. მთელი კანონმდებლობა, ალბათ, საშემოდგომო სესიაზე გადაისინჯება. შესაძლებელია, რომ ამ სესიაზე მოესწროს ცვლილებების შეტანა კონსტიტუციაში, თუმცა კონსტიტუციის ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილი იქნება გადასასინჯი.

ამიტომ ვფიქრობდი, რომ იქნებ, სხვა დროისთვის გადაგვეტანა კაბინეტის შემოღება. 2003 წელს უნდა გაიმართოს მორიგი საპარლამენტო არჩევნები და იმ დროისთვის მოგვემზადებინა — ახალ პარლამენტს დახვედროდა ახალი მთავრობა.

კიდევ ერთხელ ვიმეორებ: საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე პოლიტიკაში არ მონაწილეობს და არ განსაზღვრავს იმას, თუ რა ცვლილებები უნდა შევიდეს კონსტიტუციაში. ეს სავსებით ბუნებრივი პროცესია, — თვით კონსტიტუცია ითვალისწინებს გადასინჯვას, როგორც ნაწილობრივ, ისე მთლიანად.

მინდა კიდევ ერთ საკითხზე გავამახვილო ყურადღება: ეს არის მინისტრთა კაბინეტის პასუხისმგებლობა. ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია, რომელიც შეიძლება უკავშირდებოდეს სახელმწიფოს მეთაურის სამართალმემკვიდრეს, ანუ იმ პირს, რომელსაც პრეზიდენტის ქვეყანაში არყოფნის დროს შეუძლია შეასრულოს სახელმწიფოს მეთაურის ფუნქციები.

შესაძლოა რამდენიმე ვარიანტიც. ერთი ვარიანტია, რომ მთავრობა იქნება პასუხისმგებელი მხოლოდ პრეზიდენტის წინაშე. ეს ნაკლებად მტკივნეული იქნება. მეორე ვარიანტია, როდესაც იგი პასუხისმგებელი იქნება მხოლოდ პარლამენტის წინაშე, რომელსაც უფლება და შესაძლებლობა ექნება გარკვეულ შემთხვევებში უნდობლობა გამოუცხადოს მას. და მესამე ვარიანტი, — ალბათ, უფრო ამ გზით წავა ჩვენი კონსტიტუციური რეფორმა, — მთავრობა იქნება ორმაგ დაქვემდებარებაში.

აი, ეს მდგომარეობა, რომელიც დამახასიათებელია ე. წ. ფრანგული მოდელისათვის, ნაკლებად ჯდება ხელისუფლების განაწილების პრინციპში. ანუ მას ძალიან მკაფიო რეგულირება სჭირდება. თუკი გვინდა, რომ ამ სისტემამ იმოქმედოს, მაშინ ყველაფერი წინასწარ უნდა განისაზღვროს. მაგალითად, როდის შეუძლია პარლამენტს უნდობლობა გამოუცხადოს მთავრობას ან როდის შეუძლია პრეზიდენტს გადააყენოს პრემიერ-მინისტრი.

კიდევ არის ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც პასუხისმგებლობას უკავშირდება. ეს არის ინდივიდუალური პასუხისმგებლობის პრინციპი და სოლიდარული პასუხისმგებლობის პრინციპი, ანუ კაბინეტური პასუხისმგებლობა.

მეორე შემთხვევაში, თუკი პარლამენტმა უნდობლობა გამოუცხადა რომელიმე მინისტრს, მაშინ მთლიანად კაბინეტი უნდა გადადგეს. ესეც გადასაწყვეტია. არის ლეგიტიმურობის საკითხი, რამდენად მაღალი ლეგიტიმურობის ხარისხი აქვს პარლამენტს, მინისტრთა კაბინეტს, და თავისთავად ცხადია, პრეზიდენტს. როგორი ურთიერთობა აქვს კაბინეტს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან, საზოგადოებრივი აზრი როგორ უჭერს მხარს. საქართველოში სამოქალაქო საზოგადოება ყალიბდება და ამასაც ექნება გარკვეული მნიშვნელობა.



**— ბატონო ავთანდილ, თქვენ საუბრობთ ე. წ. ფრანგულ მოდელზე. საფრანგეთში გარკვეული ტრადიციები არსებობს და სტაბილური ქვეყანაა. ჩვენი სახელმწიფოს მაგალითზე ავილოთ. ვთქვათ, პერსპექტივაში, პრეზიდენტი და პარლამენტის თავმჯდომარე არ არიან ერთი გუნდის, ერთი პარტიის წევრები, ანუ დღევანდელისგან რადიკალურად განსხვავებული მდგომარეობაა. ალბათ, რაღაც დამცავი მექანიზმი აქაც არის საჭირო, რათა მათი დაპირისპირების გამო პრობლემა არ შეექმნას მინისტრთა კაბინეტის ფორმირებას.**

— ესეც ძალიან მნიშვნელოვანი პრობლემაა, რომელზეც უნდა იმუშაონ კონსტიტუციური რეფორმის ავტორებმა. თუკი საფრანგეთს ავიღებთ მაგალითად, მეხუთე რესპუბლიკას მაინცდამაინც დიდი ისტორია არა აქვს — 1958 წლიდან არსებობს. საფრანგეთში ახლაც არის ასეთი სიტუაცია. ჟაკ შირაკს უმრავლესობის მხარდაჭერა არა აქვს ეროვნულ კრებაში — ქვედა პალატაში. ამ შემთხვევაში პრეზიდენტი, რა თქმა უნდა, არ გადააყენებს მთავრობას და, მით უმეტეს, პარლამენტის დათხოვნის უფლება არ ექნება მას.

ვფიქრობ, ფრანგული მოდელი იმით არის კარგი, რომ იგი მოქნილია და ყველანაირ სიტუაციას მოერგება. შემთხვევითი არ იყო, რომ საკონსტიტუციო კომისიამ 1995 წელს ფრანგული მოდელი მოიწონა, მაგრამ მერე პარლამენტში ვერ გაიტანა და კომპრომისის სახით მივიღეთ ე. წ. ამერიკული მოდელი, რომელიც დღესაც მოქმედებს და რომლის შესაძლებლობებიც, ჩემი აზრით, ამოწურული არ არის.

**— როგორ ფიქრობთ, სწორედ იმიტომ ხომ არ გაეზარდა სახელმწიფო მინისტრს უფლებები, რომ ე. წ. ამერიკული მოდელის შესაძლებლობები არ ამოიწურა, მას კი მოვალეობის შესრულება შეკვეცილი უფლებებით უხდებოდა?**

— გეთანხმებით. სწორედ იმიტომ გაეზარდა უფლებები, რომ ბოლომდე არ იყო გამოყენებული მისი, როგორც მთავრობის მაკოორდინირებელი პირის ძირითადი ფუნქციები. კონსტიტუცია არ ზღუდავს სახელმწიფო მინისტრს. პირდაპირ წერია — ასრულებს პრეზიდენტის დავალებებს. პრეზიდენტს კი აქვს უფლება დელეგირება მოახდინოს, ფუნქციათა ნაწილი გადასცეს სახელმწიფო მინისტრს.

მაგრამ მხოლოდ სახელმწიფო მინისტრზე არ არის საუბარი. პრობლემაა, რომ მთავრობა დღეს არ არის კოლეგიური ორგანო.

ამიტომ გუნდური პრინციპი, სოლიდარული პასუხისმგებლობის პრინციპის შემოღება, რა თქმა უნდა, უფრო მოქნილს და ეფექტიანს გახდის მთავრობის საქმიანობას. მთავრობის წევრებიც, ალბათ, ამ პრინციპით შეირჩევიან, ერთიანი პროგრამის გარშემო გაერთიანდებიან.

**— ბატონო ავთანდილ, საბოლოოდ რომ გავფანტოთ ეჭვები, გთხოვთ, მოკლედ, დასკვნის სახით ჩამოგვიყალიბოთ თქვენი პოზიცია.**

— მინისტრთა კაბინეტის იდეის წინააღმდეგი არა ვარ. მიმაჩნია, რომ ნაადრევია მისი შემოღება, იმის გამო, რომ, ჯერ ერთი, ეს დაკავშირებულია საფრთხესთან, რომელსაც შეუძლია დისბალანსის გამოწვევა სახელმწიფო ორგანოთა საქმიანობაში. მეორე, თუკი ეს იდეა მაინც ჩამოყალიბდება პოლიტიკური გადაწყვეტილების სახით და პარლამენტში შევა საკონსტიტუციო კანონპროექტი, მაშინ დიდი დაფიქრება გვმართებს, რომ არ დავარღვიოთ დისბალანსი სახელმწიფო ორგანოებს შორის. მთავარია, საქართველოს პრეზიდენტის, როგორც დღევანდელი კონსტიტუციური სტაბილურობის გარანტის ფუნქცია არ დაირღვეს, და აქ კონკრეტულად ედუარდ შევარდნაძეს ვგულისხმობ, რადგან მის გარშემო არსებული პოლიტიკური ძალები იცავენ ამ სტაბილურობას. არ ვიცი, როგორი მდგომარეობა იქნება, თუ პრეზიდენტს ჩამოერთმევა აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურის ფუნქცია და გადაეცემა, ვთქვათ, მინისტრთა კაბინეტს.

და, მეორე მხრივ, პარლამენტიც არ უნდა დაიჩაგროს.

რაც მთავარია: არ შეიძლება მინისტრთა კაბინეტის შექმნის წინააღმდეგი ვიყო, თუკი ამას მოჰყვება საზოგადოების კონსოლიდაცია. დღეს ვხედავ, რომ თითქოსდა ხდება ამ იდეის გარშემო გაერთიანება. თუკი ეს ნამდვილად ასე იქნება — საზოგადოებრივმა აზრმა, არასამთავრობო ორგანიზაციებმა დაუჭირეს მხარი და, მით უმეტეს, ოპოზიციურმა პარტიებმა მმართველ პარტიასთან ერთად ეს გადაწყვეტილება მიიღეს, ეს ნამდვილად წაადგება ჩვენს ქვეყანას.

ესაუბრა
**ბონდო მძინარაშვილი.**

მისალმება

# დღეს ჩვენ ვართ მათი საქმის გამგრძელებლები

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტს, რომელიც 1966 წელს დაარსდა, 35 წელი შეუსრულდა. იგი შეიქმნა საქართველოს ახლანდელი პრეზიდენტის, მაშინდელი შინაგან საქმეთა მინისტრის ედუარდ შევარდნაძის ინიციატივით. ამ ინსტიტუტმა თავისი არსებობის განმავლობაში, ბევრი სასიკეთო საქმე გააკეთა ხალხისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ. ჩვენ გვეამაყება, რომ იმ ინსტიტუტის წევრები ვართ, რომელშიც სხვადასხვა დროს გაერთიანებული იყვნენ მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების საუკეთესო წარმომადგენლები, ცნობილი სპორტსმენები, საუკეთესო ინტელიგენტები: ნიკოლოზ მუსხელიშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, ირაკლი აბაშიძე, აკაკი შანიძე, ვახტანგ ბერიძე, ლადო გუდიაშვილი, ნიკო კეცხოველი, აველიპ ზურაბაშვილი, ნოდარ დუმბაძე, იოსებ ნონეშვილი, რევაზ ლაღიძე, ვერიკო და ზურაბ ანჯაფარიძეები, სერგო ზაქარიაძე და სხვები...

დღეს ჩვენ ვართ მათი დაწყებული საქმის გამგრძელებლები და ვცდილობთ ისინი არ შევარცხვინოთ.

აკადემიკოსები
**გივი სანაძე, ოთარ ნათიშვილი, გიორგი გიგაური.**

# პირველი აღმოსავლეთ ევროპისა და ჩრდილოეთ აზიის სივრცეში

საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის (საი-ს) დაარსების ოცდამეთხუთმეტე წლისთავთან დაკავშირებით თავს უფლებას ვაძლევთ, გამოვთქვათ კეთილი სურვილები, რათა შემდგომშიც აღსრულდეს საზოგადოებისათვის მეტად საჭირო და მნიშვნელოვანი, სახელოვანი იუბილარის ჩანაფიქრები.

ვსარგებლობთ რა ამ შესანიშნავი შემთხვევით, გვინდა გავიხსენოთ გასული საუკუნის სამოციანი წლების მეორე ნახევარი, როდესაც ჩვენი ქვეყნის საზოგადოების მგრძნობიარე სულმა და სულიერმა გამოძახილმა, ახლებურად მოაზროვნე ძალთა გვერდში ამოსადგომად, განათლების, მეცნიერების და კულტურის გამოჩენილი მოღვაწეები, მათ შორის ჩვენი წარმომადგენლებიც, გამოიყვანა, რომლებმაც იმ დროისათვის გაუგონარი თავდადებით, სიტყვით და საქმით ხალხის სულიერების და მიზანსწრაფვის შესაბამისად დაიწყეს იმ დროისათვის გაუგონარი გამკლავება ყოვლისმომცველი მექრთამეობის, ერის კუთვნილი მატერიალური სიმდიდრის დატაცება-განიავების, კლანური დანაშაულებრივი ქმედებების წინააღმდეგ.

სწორედ ამ დროს, ამ ტალღაზე, ამ ფუნდამენტზე, საი-ს სახით, საქართველოში წარმოიშვა საზოგადოებრივი აზრის აკუმულაციის, ანალიზის და გახმოვანების შესანიშნავი მეცნიერულ-კვლევითი კერა, რომელმაც გაბედულად აიმაღლა ხმა ადამიანთა ჭეშმარიტი ღირებულებების დასაცავად, მათ შორის ქვეყანაში მცხოვრებ ხალხთა მშვიდობიანი, ძმური და პატიოსანი თანაცხოვრების ტრადიციების გასამტკიცებლად. ასეთი სახის არასამთავრობო ორგანიზაციის ჩამოყალიბება აღმოსავლეთ ევროპის და ჩრდილოეთ აზიის სივრცეში თვით სახელმწიფოს ძალოვანი სტრუქტურის ფარგლებში პირველი იყო საქართველოში და უდიდესი ინტერესი გამოიწვია ქვეყნის გარეთ.

საი-ს მოღვაწეობის კონცეფციამ და მოქმედების სფეროს დიაპაზონმა, პრაქტიკულმა საქმიანობამ სამართლიანად დაარწმუნა საზოგადოება, რომ ამ დიდი სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის მქონე არასამთავრობო ორგანიზაციას, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, კვლავაც ძალუძს შეიტანოს თავისი წვლილი ქართული სახელმწიფოს ისეთ პრიორიტეტულ მიმართულებაში, როგორიცაა კანონიერების და მართლწესრიგის განმტკიცების, ადამიანთა უფლებების, ღირსების და სასამართლო-სამართლებრივი უზრუნველყოფის ხელშეწყობა.

მეხსიერებაში აღიბეჭდა ამ მიმართებით არაერთი შესანიშნავი პროგრამა, წარმოშობილი საი-ს კვლევით ლაბორატორიაში, მუდმივი დაკვირვების, საზოგადოებრივი აზრის შესწავლისა და მეცნიერული დასაბუთების შედეგად სახელმწიფო მნიშვნელობის დოკუმენტად ქცეული.

ჩვენი თვალთახედვის არეში ყოველთვის იმყოფებოდა საი-ს მრავალმხრივი და ნაყოფიერი მოღვაწეობა და გარკვეულწილად ვერკვევით ისტორიული პროცესების განვითარებაში და გააზრებაში, ერთმნიშვნელოვნად ვართ დარწმუნებულნი, რომ ქვეყნის მატიანეს ფურცლებზე ისტორიამ უკვე მიუჩინა საი-ს კუთვნილი ადგილი, მით უმეტეს, რომ მისი დაარსება და მოღვაწეობის გზა დაკავშირებულია ბატონი ედუარდ შევარდნაძის სახელთან.

საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი, დღეს შეიძლება უკვე ითქვას, კანონიერების და მართლწესრიგის პრობლემატიკით დაინტერესებულ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებათა და არასამთავრობო ორგანიზაციათა შორის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფიგურას, მის მრავალრიცხოვან თანამშრომლებს, ინსტიტუტის ყველა რგოლს, რომლებიც მრავალი წლის განმავლობაში უსასყიდლოდ ემსახურებიან მეტად საჭირო საქმეს, ვუსურვებთ ნაყოფიერ მოღვაწეობას.

**საქართველოს რუსული კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოების სახელით,**

**იგორ ბოგომოლოვი,**
პროფესორი;

**დიმიტრი იანკოვსკი,**
სამართალმცოდნე, პოლიტოლოგი.

### კვლავ ქართული ღვინო ურჩევნიათ

ბალტიის ქვეყნები ქართული ღვინოების ახალი მომხმარებლები გახდნენ. ახლა ქართული კომპანიების მარკიანი პროდუქცია იგზავნება რუსეთში, ყაზახეთში, ბელარუსში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ისრაელსა და იაპონიაში.

ბოლო მონაცემებით, 2001 წლის სამი თვის განმავლობაში საზღვარგარეთ გაიგზავნა 396 528 დეკალიტრი ღვინო და ღვინომასალა. ეს რამდენადმე აღემატება შარშანდელ დონეს. ქართული სამარკო ღვინოების ძირითადი იმპორტიორი კვლავაც რუსეთია, სადაც მთელი ექსპორტირებული ღვინო-არყის პროდუქციის 90 პროცენტი იგზავნება.

### ინვესტორია მსოფლიო ბანკი

მსოფლიო ბანკმა კოლხეთის ეროვნული პარკის გასაშენებლად 3,3 მილიონი ამერიკული დოლარი გამოყო. პროექტის დაფინანსებაში, ჰოლანდიის მთავრობაც მონაწილეობს. პროექტი, რომლის განხორციელებაც უკვე დაიწყო, ითვალისწინებს შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნას, ეკოტურიზმის, სათევზაო და სხვა სახეობის გართობის განვითარებას — განაცხადა პარკის დირექტორმა მარლენ ფაცაციამ.

### სილიკომანგანუმის ჯართი და რაინდი

ოც ტონამდე სილიკომანგანუმის ნაყარი ჯართი აღმოაჩინეს პარასკევს დილით ქუთაისის ცენტრალურ ავტოსადგურზე „ლაზის“ ტიპის სამგზავრო ავტობუსში შსს იმერეთის რეგიონული სამმართველოს მიერ მიწოდებული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ქუთაისის უშიშროების სამსახურის თანამშრომლებმა.

ავტობუსი, სახელმწიფო ნომრით — კაა-330, რომელსაც მართავდა ზესტაფონში მცხოვრები გაროელ წიწილაშვილი, ზესტაფონიდან ბათუმის მიმართულებით ასრულებდა რეისს.

სილიკომანგანუმის ჯართი ეკუთვნოდა ზესტაფონის რაიონის სოფელ ცხრაწყაროში მცხოვრებ რაინდი ბახტაძეს.

### მაისი იმაისებს

მაისში ჰაერის მაქსიმალური ტემპერატურა 30 გრადუსს მიაღწევს — აცნობებს „იფრინდას“ ჰიდრომეტცენტრში.

დასავლეთ საქართველოში ჭარბი ნალექებია მოსალოდნელი, მაშინ როდესაც აღმოსავლეთში — ზომიერი.

მაისის პირველი დეკადა შედარებით გრილი იქნება, ხოლო მეორე და მესამე დეკადაში ჰაერის ტემპერატურა მოიმატებს.

**ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა, პრაიმ-ნიუსმა და იფრინდამ.**

ექო

# მარტო კაცი?

22 აპრილს „რუსთავი-2“-ის გადაცემა „60 წუთში“ ნაჩვენები იყო სიუჟეტი, რომელიც პოლიციელთა მხრიდან ნაზიკო რაშოევა-ნასოევას ოჯახისათვის ქრთამის სახით 2500 დოლარის გამოძალვის ფაქტს ასახავდა.

ერთი შეხედვით, ავტორმა ყველა ხერხს მიმართა, რათა ეჩვენებინა სამართალდამცავთა უკანონო ქმედება და დაერწმუნებინა მაყურებელი ჟურნალისტური გამოძიების ობიექტურობაში. კორესპონდენტმა რატომღაც არ ისურვა აღენიშნა, რომ ნაზიკო ნასოევასათვის ქრთამის გამოძალვის ფაქტზე პროკურატურაში სისხლის სამართლის საქმეა აღძრული. ხრადა, „ჟურნალისტ-გამომძიებელს“ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის ფაქტი ნამდვილად უნდა სცოდნოდა. ჯერ ერთი, ეს ფაქტი 18 აპრილს საინფორმაციო სააგენტოების მიერ გავრცელდა და პრესაში გამოქვეყნდა. მეორეც, ობიექტურობაზე პრეტენზიის მქონე კორესპონდენტი ქრთამის გამოძალვის საქმესთან დაკავშირებულ საკმაოდ ბევრ ორგანიზაციას და პიროვნებას დაუკავშირდა. პროკურატურის გარდა... რატომ?..

ცნობისათვის: მას შემდეგ, რაც ნაზიკო ნასოევამ პოლიციელთა მხრიდან ქრთამის გამოძალვის ფაქტზე სახალხო დამცველის აპარატს მიმართა, ამ უკანასკნელმა შესწავლის მიზნით წერილი საქართველოს გენერალურ პროკურატურაში გადმოგზავნა.

გენერალური პროკურატურის ხელმძღვანელობის მითითებით ნასოევას განცხადება განსაკუთრებულ კონტროლზეა აყვანილი. ჩატარებული შემოწმების საფუძველზე კი 12 მარტს თბილისის პროკურატურაში ისანი-სამგორის რაიონული პოლიციის მუშაკების მიმართ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლის I ნაწილით (ქრთამის აღება) სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. მოგვიანებით, ქვემდებარეობის პრინციპიდან გამომდინარე, საქმე გამოსაძიებლად ისანი-სამგორის რაიონის პროკურატურაში გადაიგზავნა. გამოძიება გრძელდება.... უახლოეს მომავალში სხვა საგამოძიებო სამუშაოებთან ერთად გათვალისწინებულია გადაცემა „60 წუთში“ დასახელებული ფაქტების გადამოწმებაც.

ასე რომ, უსამართლობის წინააღმდეგ საქართველოში „რუსთავი-2“-ის გარდა სხვა ორგანიზაციებიც იბრძვიან. მაგრამ ისინი, გადაცემა „60 წუთისგან“ განსხვავებით, საზოგადოებაზე ეფექტის მოხდენას „ნახევარფაბრიკატი გამოძიებით“ არ ცდილობენ.

**საქართველოს გენერალური პროკურატურის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საინფორმაციო უზრუნველყოფის სამსახური.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 100. შაბათი, 28 აპრილი, 2001 წელი.



ფიქრები

# თეთრი ხმაური

საიდან ქრიან პოლიტიკური ქარები?

ან ვინ აყურადებს დროის მაჯისცემას?

ამაზე პასუხი, ალბათ, ერთგვაროვანი უნდა იყოს: იმ ადამიანთა ერთობლიობა, ქვეყნის ყველაზე გამოსაჩენ ადგილას რომ სხედან.

ასე მგონია, საქართველო რალაცნაირად შეიკუმშა და იმ სატენში აპირებს ჩაჩურთვას, თბილისი რომ ჰქვია.

მაგრამ მხოლოდ თბილისი რომ საქართველო არაა, ეს ყველამ კარგად იცის...

ისიც „იცის“, რა უამრავი საყოფაცხოვრებო და სოციალური პრობლემებით არის დამძიმებული მოსახლეობა.

რატომღაც მახსენდება ერთი კარიკატურა: კაზაკი კასრზე ზის. ზის დედიშობილა. წელზე ხმალი აქვს შემორტყმული. ყველაფერი გაყიდა და გასცა. ხმალს ვერ შეელია. ეს მისი ღირსებაა.

ხანდახან ვფიქრობ: ღირსების რა ატრიბუტი დაგვრჩა, რომელიც ვერა და ვერ გავიმეტეთ?

ყველამ საკუთარ სულში მოიძიოს ამის პასუხი.

თერთმეტი წელიწადია სუვერენული და დემოკრატიული სახელმწიფოს დროშას ვაფრიალებთ. იმდენად გავერთეთ ამ დროშის ფრიალით, ვერ შევნიშნეთ მის ჩრდილქვეშ შეყუჟული მედროვენი. შევნიშნეთ მაშინ, როცა ამ ჩრდილიდან გაჩახჩახებულ კაზინოებში, ფეშენებელურ სასახლეებში, საკუთარ ბანკებსა და პრესტიჟულ აგარაკებზე გადაინაცვლეს: ქვეყნის უდიდესი ნაწილი კი იმ დროშის ჩრდილში დარჩა, ეს უდიდესი ნაწილი მუქს, სითბოსა და ხელფასს დანატრული ელის, ელის შეპირებულ ლამაზ მომავალს.

მაგრამ ჩნდება უამრავი კითხვა:

სად ქრება ამდენი კრედიტი...

რას ხმარდება გამოყოფილი მილიონები, რატომ ვერ მოგვარდა ენერგეტიკული პრობლემა. რატომ ფერხდება ხელფასები, პენსიები, რატომ გარბიან ქვეყნიდან მისი საუკეთესო შვილები...

რა ეშველება უმუშევრობას;

გამეფებულ კორუფციას;

კატასტროფულად მომატებულ სუიციდს.

და, რაც მთავარია, საქრისტიანოს, ლამის ათასგვარი ჯურის სექტებისა და გაუკულმართებული მიმდინარეობის ტყვეობაში რომ მოქცეულა.

სარწმუნოება ერის ის უმთავრესი ღირსებაა, ათასწლეულის სიღრმიდან რომ გამოვიტანეთ. ესეც თუ შეგვერყა, ჩავთვალოთ, რომ საკუთარი ხელით ამოვძირკვეთ ჩვენი ფესვები.

რატომ ვამბობ ყოველივე ამას?

ეს ხმელა რიტორიკად რომ არ მოეჩვენოს მავანს, ისევ მინდა გავიმეორო — საიდან ქრიან პოლიტიკური ქარები, ვინ აყურადებს დროის მაჯისცემას.

ცხადია, იმ ადამიანთა ერთობლიობა, ქვეყანამ თავის რჩეულად რომ მიიჩნია და ყველაზე უზენაესი ტრიბუნა მისცა...

რა დონემდე უნდა მივიდეს ადამიანი, რომ არ უყვარდეს თავისი მოყვასი, თავისი საქმე და საკუთარი თავი?

ეს კითხვა, ალბათ, ყველა მოაზროვნე არსებაში ჩნდება. ეს არსება უკვე კარგა ხანია ზის ჩქაროსნულ მატარებელში.

მატარებელი მიჰქრის.

ეს ცხოვრებაა.

ამ მატარებელზე არ ადიან მგზავრები.

ჩამოდიან მხოლოდ.

ისეთი შთაბეჭდილება გექმნება, ბოლო სადგურზე მხოლოდ ცარიელი ვაგონებიღა აღმოჩნდება.

მართლაც, საჭირო აღარ არის გაურკვეველი სადგურის მოლოდინი...

* * *

სპეცსამსახურთა საქმიანობას ყოველთვის განსაკუთრებული სიფრთხილით აყურადებს გარეშე კაცი. ეს, უპირველესად, იმ ყოვლისშემძლეობის მითით არის განპირობებული, შორეული წლებიდან რომ იღებს სათავეს. ეს მითი სისხლითა და სისასტიკითაა გაჯერებული. ტკივილსა და ცრემლთან ასოცირდება. საქართველოში ვერ მოძებნით ოჯახს, წითელი რეპრესიების ქარიშხალს თავისი კვალი არ დაეტოვებინოს. მისი გამოძახილი გენეტიკურ სიმპტომად იქცა მთელი თაობებისათვის. ეს შიშის სინდრომია.

იგი ყოველთვის აფხიზლებს ადამიანს.

ეძებს მისი ჩამოშორების გზებს.

დამოუკიდებლობა და თავისუფალი აზრი — ეს არსია შემოქმედებისა. იგი იმათ აღიზიანებს, ვისაც თავისუფლების ეშინია. შემოქმედების თავისუფლება და საერთოდ, ყველა თავისუფლების საზომი თვით საზოგადოება გახლავთ. იქ, სადაც არ არის გადაადგილების თავისუფლება, სიტყვის თავისუფლება, შემოქმედება ჭკნება. ჭკნება მაშინაც, როცა დროდადრო გამოიბრწყინებს გაბედული ნაწარმოები. გამოიბრწყინებს-მეთქი, შემთხვევით არ მიხსენებია. რადგან ეს გამობრწყინებაც შეზღუდულია ხოლმე და გაგრძელება არ ახლავს.

პოლიტიკური ხელისუფლება პასუხისმგებელია ხელოვნების წინაშე. მან უნდა შექმნას მისი განვითარების აუცილებელი პირობები.



ყოველი სპეცსამსახური ძლიერია აგენტურული ქსელით, გასაიდუმლოებული არქივებით და, ცხადია, უდიდესი გამოცდილებით. მთავარია, როგორ წარიმართება ეს გამოცდილება.

თებერვლის რევოლუციის დროს, 1917 წელს, შედგა დროებითი მთავრობის საგანგებო საგამოძიებო კომისია. იქ დაიკითხა მეფის მთავრობის თითქმის ყველა მოხელე — მინისტრებიდან დაწყებული, მეფის კართან დაახლოებული პირებით დამთავრებული. ეს იყო ერთგვარი საგანგებო კომისია, რომელიც იძიებდა იმ დროს კატასტროფულად ფესვგადგმული დანაშაულობებისა და კორუფციის შედეგებს. იძიებდა და ადგენდა, **რა სიმძიმის დანაშაული იდო ამა თუ იმ პიროვნების სინდისზე.** მოდით, ჯერ ეს პრობლემა მოვაწესრიგოთ ჩვენს შორის და მერე დავერიოთ ერთმანეთს, — რა ყაიდის სამთავრობო სავარძლები მოვირგოთ.

* * *

რატომღაც ამ ბოლო ხანს ძალზე თავგამოდებულად იბრძვიან ლუსტრაციის კანონის მისაღებად. უნებურად ასეთი ტერმინი — **თეთრი ხმაური** — მახსენდება.

რა არის თეთრი ხმაური?

ფიზიკური მოვლენა, ქაოტური რხევები თქვენს თვალთახედვაში მოხვედრილი არეალისა, დიაპაზონების ყველა განზომილებით შემოკავებული. მაგრამ „თეთრის“ განსაზღვრა ოპტიკური ანალოგიიდან იღებს სათავეს, სადაც ერთმანეთში ათქვეფილა სპექტრის ყველა ფერი, ისე რომ, თეორიულად თეთრი ხმაური მოიცავს ბუნებაში არსებულ მთლიან ინფორმაციას. და მისი ცალკე აღქმა, ყველა ცდის მიუხედავად, შეუძლებელია.

როცა ლუსტრაციის პრობლემა დგება დღის წესრიგში, უპირველესად უნდა ვიკითხოთ, ვის სჭირდება იგი. ჯერ ერთი, სახელმწიფო ფორმაციის შეცვლის შემდეგ ეს პრობლემა ან მაშინვე უნდა გაიზომოს თავისი სიგრძე-სიგანით, ან უნდა ამოქმედდეს საერთო მიტევების მექანიზმი, მაგრამ თუ ეს აუცილებელია მთელი ათი წლის შემდეგ, მაშინ მზერის სხვა კუთხით უნდა შევხედოთ ლუსტრაციას. მისი ყველა ძაფი სპეცსამსახურის სპეციფიკიდან იღებს სათავეს და უნებურად ჩნდება შემხვედრი კითხვა: სჭირდება დღევანდელ ქვეყანას სპეცსამსახური?

როცა 17 წელს რუსეთში სახელმწიფო გადატრიალება მოხდა, იქაც კი არ დამდგარა ეს პრობლემა. უფრო მეტიც — უკვე გაყრილი, მტრებად შერაცხული მაშინდელი სპეცსამსახურების გამოცდილი მუშაკები ისევ მოიწვიეს და აკეთებინეს სახელმწიფო საქმე. ყოველი სპეცსამსახური ძლიერია აგენტურული ქსელით, გასაიდუმლოებული არქივებით და, ცხადია, უდიდესი გამოცდილებით. მთავარია, როგორ წარიმართება ეს გამოცდილება. წარმოდგენილი ლუსტრაციის კანონის პროექტით ეჭვი ჩნდება პროფესიონალთა განდევნის ტენდენციისა, რადგან დღევანდელი სპეცსამსახურების უდიდესი ნაწილი წინა სახელმწიფოებრივ სტრუქტურათა მეთოდებსა და გამოცდილებებზეა დაფუძნებული. ვფიქრობ, არქივული აგენტურის გახსნაც კი საშიშია, რადგან ეს გამოიწვევს ჩვენი კულტურის, მეცნიერების, მწერლების და ერის სხვა უმნიშვნელოვანესი პიროვნებებით აშენებული ბრწყინვალე წარსულის ტრაგედიას. ამასთან, ლუსტრაციის პროექტი აშკარად წარმოაჩენს საზოგადოების დიფერენციაციას, ე. წ. ფენებად დაყოფას. დღეს ამის გაკეთება, ისედაც დაძაბული ვითარების გამო, დანაშაულის ტოლფასია.

სულ სხვაა, როცა დგება საკითხი უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების მიერ გადაბირებული და მათ სასარგებლოდ მომუშავე აგენტების შესახებ. ყველა პოზიცია მხოლოდ და მხოლოდ სპეცსამსახურმა (უშიშროების სამინისტრო, დაზვერვის დეპარტამენტი) უნდა იკუთვნოს.

უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე ქვეყანა მართლაც უდიდესი და უმძიმესი პოლიტიკური, სოციალური კატაკლიზმების წნეხში აღმოჩნდა. ვერავინ გამორიცხავს სხვა ქვეყნების სპეცსამსახურების ქსელის არსებობას. მათთან ბრძოლას წარმატებით გაართმევენ თავს ჩვენი სპეცსამსახურები. როცა ამა თუ იმ პიროვნების საკითხი დგება სახელისუფლო სტრუქტურებში დანიშვნის ან არჩევის შესახებ, აქ საზომი მხოლოდ ერთი უნდა იყოს — უშიშროებისა და დაზვერვის სამსახურების დასკვნა-რეკომენდაცია, განეკუთვნება თუ არა ესა თუ ის პიროვნება იმ კატეგორიას, რომელსაც სპეცსამსახურის აგენტურას უწოდებენ. არავის არა აქვს უფლება, ცალსახად მიუდგეს ამ საკითხს. ბრბოს მიერ აგორებული სიტყვა „სუკის აგენტის“ შეფასების კრიტერიუმი, მხოლოდ და მხოლოდ, პროფესიონალების პრეროგატივა უნდა იყოს.

ერის წინაშე დგას უამრავი პრობლემა — სოციალური დაუცველობა, ტრეფიკინგი, ელექტროენერგიის მოწოდების მიზანმიმართული შეზღუდვა, ე. წ. მოსახლეობის ფსიქიკური ტერორი, კორუფცია და სხვა და, რაც მთავარია, უშიშროების სტრუქტურების რეორგანიზაცია — ახალ ყაიდაზე გარდაქმნა, რომელიც ეტაპობრივად უნდა განვითარდეს და წინ უსწრებდეს ლუსტრაციის კანონის მიღებას.

* * *

ამ რამდენიმე ხნის წინათ უცხოელმა კოლეგამ დამირეკა. პოლონელი მწერალი გახლავთ. თავის დროზე მისი რომანი „გემბანზე ორმოცი ადამიანია“ მილიონიანი ტირაჟით გამოიცა საბჭოეთში. ამჯერად კალიფორნიაში კითხულობს ლექციებს.

„რა ხდება თქვენთან?“ როცა ადამიანი დედამიწის ბოლოდან გისვამს ასეთ კითხვას, ცხადია, პაწია შტრიხით უნდა დაუხატო ქვეყანაში შექმნილი ვითარება. წამით შევყოვნდი. გამახსენდა ის დრო, როცა იგი გაჩახჩახებულ რუსთაველზე მთელი ღამეები დაეხეტებოდა. მას თავდავიწყებით უყვარს ჩვენი დედაქალაქი. მან იცოდა ის საშინელებები, რაც ჩვენმა ქვეყანამ გადაიტანა. მე ვუთხარი: „შენ შეგიძლია მთელი ღამეები ძველებურად ისეირნო გაჩახჩახებულ რუსთაველზე“... დუმილი. მერე ისევ შეკითხვა: „სხვა?“ „წინ მივდივართ“. ჩუმი, სასიამოვნო სიცილი: „ეს კარგია, წინ მიმავალი შეუძლებელია ჩამორჩენილი იყოს...“

**გიორგი სანადირაძე.**

პროკურატურა

# დიდი დანაშაული და პატარა სასჯელი

**ბოლო სამი წლის მანძილზე ტყის უკანონოდ გაჩეხვისათვის თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა დამნაშავეთა მხოლოდ 2 პროცენტს.**

(პირველი გვერდიდან)



1998-2000 წლების ანალიზმა გვიჩვენა, რომ პროკურორთა მიერ გაძლიერდა ზედამხედველობა პოლიციის ორგანოებში ტყის კანონმდებლობის დარღვევებზე შემოსული განცხადებების, საჩივრებისა და მასალების მოკვლევის კანონიერებაზე, გაუმჯობესდა საპროცესო ხელმძღვანელობა ამ კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიებაზე, ამაღლდა სასამართლოში სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის ეფექტიანობა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციის სამმართველოს მონაცემებით 1998-2000 წლებში ქვეყანაში ტყის უკანონო ჩეხვაზე აღიძრა სისხლის სამართლის 679 საქმე, ტყის ფონდის მიწის თვითნებურ მითვისებაზე — 20, ხოლო ტყის მასივების განზრახ განადგურებასა და ცეცხლის წაკიდებით დაზიანებაზე — 3. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ვხვდებით ამ სფეროში ჩადენილი დანაშაულის დამალვის, მოკვლევის ვადების გაჭიანურების, მასალებზე დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებების გამოტანის ცალკეულ ფაქტებს.

მაგალითად, ყვარელში ხეტყის უკანონო ჭრაში ამხილეს ვინმე მოლაშვილი, რომელმაც სახელმწიფოს მიაყენა 5126 ლარის ზარალი. სატყეო მეურნეობამ მასალები გადასცა შინაგან საქმეთა განყოფილებას, რომელმაც დანაშაული არ აღრიცხა. ეს ფაქტი 1999 წლის 2 თებერვალს რაიონის პროკურორმა გამოავლინა, სისხლის სამართლის საქმე აღიძრა და იგი განსახილველად სასამართლოშიც წარიმართა;

სამი წელი ჭიანურდებოდა მასალების მოკვლევა ლანჩხუთის რაიონის სოფელ აცანაში 1997 წლის 11 იანვარს 30 ძირი კრიპტომერიის მოჭრის ფაქტზე. საბოლოო გადაწყვეტილება აქ მიიღეს 2000 წლის 17 იანვარს ისე, რომ ზარალი — 770 ლარი — არც კი აანაზღაურეს;

თეთრიწყაროს რაიონის უშიშროების განყოფილების უფროსმა დარსაძემ დმანისის სატყეოში 1998 წელს უკანონოდ მოჭრა 12 ძირი კაკლის ხე. ზარალმა შეადგინა 6.789 ლარი. მასალები გადაეგზავნა ქვემო ქართლის უშიშროების სამმართველოს. დანაშაულის ამ ფაქტზე მოკვლევა არ ჩატარებულა, სამართლებრივი გადაწყვეტილება დღემდე არ მიღებულა, ზარალი არ ანაზღაურებულა. მასალები, რომლებიც ხელზე აღმოაჩნდა თვით დარსაძეს, ამჟამად მოწმდება მთავარ სამხედრო პროკურატურაში.

ამ კუთხით სხვადასხვა სახის დარღვევები აღმოჩნდა ქედის, ადიგენის, ხონის, ვანის, მარტვილის, ცაგერის, ასპინძის, წალენჯიხის, ხობის, ახმეტის, ლაგოდეხის და სხვა რაიონებში. ამ დარღვევების გამო პოლიციის თუ პროკურატურის ბევრი მუშაკი დაისაჯა, ზოგმა თანამდებობაც კი დატოვა. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ მოთხოვნები მომავალში კიდევ უფრო გამკაცრდება.

დამაფიქრებელია ის გარემოება, რომ პოლიციისა და ტყის დაცვის სამსახურების ზოგიერთი მუშაკი აღკვეთის ნაცვლად თავად უწყობს ხელს ხეტყის უკანონოდ მოპოვებას, გატანას და რეალიზებას.

2000 წლის 25 ოქტომბერს ზესტაფონი-ჭიათურის საავტომობილო გზაზე, შინაგან საქმეთა იმერეთის სამხარეო სამმართველოსა და ზესტაფონის რაიონული განყოფილების მუშაკებმა გააჩერეს ხეტყით დატვირთული „კამაზი“, რომელსაც გადაჰქონდა 39,5 კუბური მეტრი დახერხილი წაბლი. ტვირთს აცილებდა გარდაბნის პოლიციის თელეთის ქვეგანყოფილების სპეცოცეულის უფროსი ინსპექტორი ზ. ნოზაძე, რომელმაც წარმოადგინა ხეტყის შესყიდვის დამადასტურებელი ყალბი დოკუმენტები. დანაშაულის ამ ფაქტზე იმერეთის საოლქო პროკურატურაში აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და მიმდინარეობს გამოძიება;

ბაღდათის სატყეო მეურნეობის ტყის მცველები გიორგი კბილაშვილი და სხვები დანაშაულებრივად დაუკავშირდნენ წყალთაშუას სატყეოს უფროსს გივი კბილაშვილს და უკანონოდ დაამზადეს 2600 ლარის 60 კუბური მეტრი წიფელი. აქედან, შეთანხმებისამებრ, 40 კუბური მეტრი გივი კბილაშვილს გადაეცა, 20 კუბური მეტრი კი გიორგი კბილაშვილმა გაყიდა.

აჯამეთის სახელმწიფო ნაკრძალის მცველმა ე. კამლაძემ 2000 წლის ნოემბერში ნაკრძალის ტერიტორიაზე ბაღდათისა და ზესტაფონის რაიონების მცხოვრებლებს უკანონოდ დაამზადებინა 34000 ლარის ღირებულების 95 კუბური მეტრი მუხის ხე. ამ ფაქტზეც ბაღდათის რაიონის პროკურატურაში აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და მიმდინარეობს გამოძიება.

გაცილებით აღმაშფოთებელია ის შემთხვევები, როცა, მაგალითად, დანაშაული მხილებულია, დამნაშავე გამოკვეთილია, მაგრამ ყოველივე ამაზე რეაგირება ნულის ტოლია. აქ ერთად იყრის თავს სამსახურებრივი უპასუხისმგებლობაც, მოქალაქეობრივი გულგრილობაც და, თუ გნებავთ, ზნეობრივი დაცემაც.

2000 წელს მარტვილის პოლიციიდან, დიდი დაგვიანებით გადაგზავნის გამო, სასამართლომ ხანდაზმულობის მოტივით შეწყვიტა ადმინისტრაციული სამართალწარმოება 18 აქტის მიმართ. ამაზე კი არავითარი რეაგირება არ მოუხდენია არც პოლიციის უფროსს და არც რაიონის პროკურორს;

გარემოს დაცვის ქვემო სვანეთ-ლეჩხუმის რეგიონულმა სამმართველომ 1998-99 წლებში გამოავლინა 27 კაცის მიერ 1221 კუბური მეტრი ხეტყის უკანონოდ მოჭრის ფაქტები. მასალები შეიცავდნენ სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს, მაგრამ ისინი არ გადაუციათ არც პოლიციისთვის და არც პროკურატურისთვის. ეს მასალები ადმინისტრაციული წესით წარმართეს ლენტეხის რაიონულ სასამართლოში, რომელიც დღემდე არავის განუხილავს.

ყოველივე ამის მიზეზი არის ის, რომ უკიდურესად დაბალია მიყენებული ზარალის ამოღების მაჩვენებელი. პროკურორების ინფორმაციით, 1998-2000 წლებში, მოკვლევის პროცესში, ამოღებულია მიყენებული ზარალის მხოლოდ 3,1 პროცენტი. თუმცა, აქ გასათვალისწინებელია ჩვენი მოსახლეობის გაჭირვებული ყოფაც, რომელიც ტყეს უკანონოდ ჩეხავს სათბობისა თუ საკვების მოსაპოვებლად, თავის გადასარჩენად. შარშან, მაგალითად, ლენტეხის რაიონში სოფელ ნანაროს 42 კომლმა უკანონოდ გაჩეხა 204 კუბური მეტრი ხეტყე, რომელიც შემდეგ, ფქვილის შეძენის მოტივით, ეს უკანონობა დოკუმენტურად დაუკანონეს.

**შინაგან საქმეთა საგამოძიებო დეპარტამენტის ორგანოებში აღიძრა 702 სისხლის სამართლის საქმე 720 პირის მიმართ. აქედან, გამოძიებით დამთავრდა და სასამართლოში არსებითი განხლებისათვის წარიმართა 580 საქმე 602 პირის მიმართ. გამოძიების პროცესში ამოღებულია ზარალის მხოლოდ 4,3 პროცენტი.**

ისე, სამართალდამცავი ორგანოები მთლად გულხელდაკრეფილები არ სხედან და ტყის გამჩანაგებლებს შეძლებისდაგვარად მაინც ებრძვიან. 1998-2000 წლებში, მაგალითად, ტყის კანონმდებლობის დარღვევაზე შინაგან საქმეთა საგამოძიებო დეპარტამენტის ორგანოებში აღიძრა 702 სისხლის სამართლის საქმე 720 პირის მიმართ. აქედან, გამოძიებით დამთავრდა და სასამართლოში არსებითი განხილვისათვის წარიმართა 580 საქმე 602 პირის მიმართ. გამოძიების პროცესში ამოღებულია ზარალის მხოლოდ 4,3 პროცენტი.

მთავარი მაინც საბოლოო შედეგია, სასამართლო ვერდიქტია. აქ კი პირველი ინსტანციით განხილულია 407 საქმე 423 პირის მიმართ. ოთხის გარდა, ყველა საქმეზე დადგენილია გამამტყუნებელი განაჩენი. მსჯავრი დაედო 419 პირს,აქედან თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა მხოლოდ 8 კაცს, ანუ 2 პროცენტს, დანარჩენებს ერგოთ არასაპატიმრო სასჯელები. ჩვენი აზრით, სასჯელთა უმეტესობა ლმობიერია. რაც დამნაშავეებს ათამამებს, სახელმწიფოს კი, პირიქით, აზარალებს. სასამართლოების მიერ ანაზღაურებულია ზარალის მხოლოდ 8,9 პროცენტი.

ან რა ზარალის ანაზღაურებაზეა ლაპარაკი, როცა ასეთ კურიოზულ ფაქტებს შეხვდებით: ახალქალაქის რაიონის სასამართლომ ე. ამირხანიანი დააჯარიმა მხოლოდ 200 ლარით. არადა, მას ბრალი ედებოდა 15 კუბური მეტრი მრგვალი მორის მოჭრაში და სახელმწიფოსათვის 1100 ლარის ზარალის მიყენებაში. ამავე სასამართლომ იგივე ჯარიმა დააკისრა ვ. მერტიჩიანს, რომელმაც 10 კუბური მეტრი მრგვალი მორი მოჭრა და ქვეყანა 1000 ლარით აზარალა.

**ხშირად** ვამბობთ, ტყე ჩვენი მარჩენალიაო, ტყე ჩვენი მწვანე ფილტვებიაო. ვამბობთ, მაგრამ ბოლო ხანს ამ ჩვენს მარჩენალს ფესვებს ვუჭრით და ქანცბადს ვუკეტავთ. რა ვქნათ? გვიჭირს, არ გვილხინს, მაგრამ ტყის გაჩანაგებით, უდაბნოს მომრავლებით უფრო არ გავიჭირდება? ლაპარაკი აღარაა ხვალინდელ ქათამზე. ჩვენ დღევანდელი კვერცხიც გადავყლაპეთ და დღევანდელი ტყეც გავაჩანაგეთ.

ამ საკითხზე მსჯელობისას საქართველოს გენერალური პროკურატურის კოლეგიაზე გამოკვეთილად ითქვა, რომ დროა ცული შევასვენოთ, გვერდზე გადავდოთ, კარგად დავითვალოთ, რაღა დაგვრჩა, თორემ ხვალ შეიძლება ანკარა წყალი და სუფთა ჰაერი სანატრელი გაგვიხდეს.

არა გჯერათ? სომხეთის გენერალური პროკურატურის ცნობით, მარტო 2000 წელს ჩვენგან ამ ქვეყანაში შეტანილია 3700 კუბური მეტრი ხეტყე, რომელიც რეგისტრირებულიც კი არ არის საქართველოს საბაჟოზე. აღარაფერს ვამბობ თურქეთზე, რომელზეც ხეტყის ექსპორტის 98 პროცენტი მოდის.

ახლა ხელი ერთად უნდა გამოიღოს ყველამ, დიახ, ყველამ, რათა ბუნებაც გადავარჩინოთ და საკუთარი თავიც.

**ბონდო გულიაშვილი**

## ფაქტი

**იმერეთის სამხარეო სამმართველოს კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის განყოფილების თანამშრომლებმა ამხილეს ზესტაფონის შპს „თამზრამზის“ დირექტორი თამაზ გეწაძე. მას ბრალად ედება „საქნავთობპროდუქტებიდან“ მიღებული საწვავის რეალიზაციიდან შემოსული თანხის — 10000 ლარის მითვისება, რომელიც თამაზ გეწაძემ სახელმწიფო ბიუჯეტს დაუმალა.**

საქინფორმი.

კონტრაბანდა

(პირველი გვერდიდან)

**— ბატონო ვალერი, განა რამდენი ბლოკი სიგარეტი უნდა გადმოიტანოს კონტრაბანდისტმა მსუბუქი მანქანით სომხეთიდან, რუსეთიდან ან თურქეთიდან, რომ მოსახლეობა დააკმაყოფილოს?**

— ვაღიარებთ, რომ ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო, დაუცველი საზღვრის მონაკვეთებზე მოძრაობს კონტრაბანდა, მაგრამ ეს ის მასშტაბი არ არის, რომელიც ქვეყნის ეკონომიკას ანგრევს. არალეგალური კონტრაბანდის მოცულობა დაახლოებით 15 პროცენტია მთლიანი კონტრაბანდის მოცულობაში. იგი ძირითადად მოდის საზღვრისპირა რაიონების მცხოვრებლებზე, როგორც საარსებო წყარო. გადმოიტანს ორ კანისტრა ბენზინს, ერთს — თავისთვის, მეორეს — პურის საყიდლად...



# საზღვარი — ჩვენი მღელვარებისა

ის ბენზინი, რომლითაც ბენზინგასამართი სადგურები ივსება, ლეგალური კონტრაბანდა გახლავთ. ასევეა სიგარეტი, ფქვილი...

მე ყოველთვის ვამბობდი, რომ საქართველოში არსებობს ლეგალური კონტრაბანდა. ეს არის „გარეცხილი“ დოკუმენტაციით, „გარეცხილი“ სატრანსპორტო საშუალებებით შემოტანილი ტვირთი. ამ საქმეში ძალზე ბევრია ჩართული.

**— ამ ცოტა ხნის წინათ ტრაგედია დატრიალდა წითელ ხიდთან: მესაზღვრემ მოკლა მოქალაქე, რომელსაც კონტრაბანდა გადმოჰქონდა აზერბაიჯანიდან. მაინც რა მოხდა იქ?**

— მე არ მინდა შევიჭრა გამოძიების ფუნქციებში. ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ მესაზღვრე იდგა იქ, სადაც უნდა მდგარიყო, მოქალაქე მიდიოდა იქ, სადაც არ უნდა გაევლო.

**— ისე აზერბაიჯანიდან ძირითადად რა კონტრაბანდა შემოდის?**

— ძირითადად საწვავი, ასევე — ნარკოტიკები და პატარა პარტიებით დუბაიდან ჩამოტანილი პროდუქცია, რომელიც მერე ლილოსა და სადახლოს ბაზრობებზე მიდის.

**— ახლა ბევრი ლაპარაკია აფხაზეთიდან მოძალებულ კონტრაბანდაზე...**

— თუ ვინმეს აინტერესებს, რა მოედინება აფხაზეთიდან, წავიდეს ენგურის ხიდთან და თავისი თვალით ნახოს. ის საქონელი აფხაზეთში რუსეთიდან და ზღვით შედის.

**— ჩვენი შავი ზღვის ტერიტორიული წყლები ხშირად ირღვევა. რატომ ვერ ვაკავებთ დამრღვევებს?**

— იმიტომ, რომ სანაპიროს დამცავი გემებისთვის საწვავი არ გვყოფნის, ამის გამო ოთხის ნაცვლად მხოლოდ ერთი გემი გადის ხოლმე საპატრულოდ. ოთხივე გემის ამოქმედების საშუალება რომ გვქონდეს, ყველას დავაკავებთ, ვინც სოხუმში შედის ან ოჩამჩირიდან გამოდის. ხელმოკლეობის მიუხედავად, მაინც ვახერხებთ ხოლმე დამრღვევთა დაკავებას, ოღონდ შემდეგ, რაღაც მანქანებით, დაკავებულნი ჩვენი იურისპრუდენციის ლაბირინთებს იოლად აღწევენ თავს...

*საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებებით, ზუსტად არის განსაზღვრული აფხაზეთის საზღვაო ნავსადგურებში, პორტპუნქტებსა და საზღვაო აკვატორიაში სასაზღვრო და საბაჟო რეჟიმები, აგრეთვე, დამტკიცებულია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ნავსადგურებში გემების მიმოსვლის დროებითი წესები, რომლებიც საერთაშორისო მოსახერხებელი პირობების შექმნის შესახებ 1965 წლის კონვენციის და გაეროს 1982 წლის საზღვაო კონვენციის თანახმად, საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის მეშვეობით დაეგზავნა ყველა ზღვაოსან ქვეყანას. ბრძანებულებათა ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნა ითვალისწინებს, რომ საქართველოს საზღვაო ზონაში სათანადო პროცედურების გავლის შემდეგ საზღვრის გახსნასა და დახურვას ახდენს სასაზღვრო საკონტროლო-გამშვები პუნქტი „ფოთი“. მიუხედავად ამისა, უცხო ქვეყნების გემები სისტემატურად მიმოდიან აფხაზეთში, შეაქვთ კონტრაბანდული ტვირთი, რომლის ნაწილიც საქართველოს სხვა რეგიონებშიც იყიდება, გააქვთ ხეტყე და ა. შ.*

*1999-2001 წლებში საქართველოს მესაზღვრეებმა სახელმწიფო საზღვრის დარღვევის ფაქტებზე, მათ შორის აფხაზეთის ტერიტორიულ ზღვაში, გამოავლინეს და დააკავეს უცხო ქვეყნების 6 გემი, სასამართლოში კი წარიმართა მხოლოდ 1 საქმე... დამნაშავენი დაუსჯელნი რჩებიან.*

*ნიშანდობლივია, წლეულს, 11 მარტს, თურქეთის სეინერის „მაქირ-რეის 2“-ის დაკავების ფაქტთან შექმნილი ვითარება, რომელიც არც კანონისა და არც ლოგიკის ჩარჩოებში არ ეტევა.*

*დაკავებული სეინერის კაპიტანმა სასაზღვრო ძალების წარმომადგენელს ვერ წარუდგინა გემისა და ტვირთის დოკუმენტაცია. სეინერზე 31 ტონა თევზი (ქაშია) აღმოჩნდა, რომელსაც ერთი ფარატინა საბუთიც კი არ ახლდა. მოკვლევისა და წინასწარი საგამოძიებო მასალების საფუძველზე, ფოთის სამხედრო პროკურორმა 12 მარტს სისხლის სამართლის საქმე აღძრა. ხოლო, შემდგომში ეს საქმე სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს დაექვემდებარა.*

*თურქული სეინერის მიერ სახელმწიფო საზღვრის დარღვევის, ულიცენზიო თევზის მოპოვებისა და მისი ქვეყნიდან უკანონო გატანის ფაქტები, აგრეთვე, სასაზღვრო ძალების მოქმედების კანონიერება, საქმეში არსებული მასალებით, უცილობლად იყო დადასტურებული. ამის მიუხედავად, სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა ჩათვალა, რომ მოკვლევის მასალებში გამიჯნული არ არის გემის დაკავების კოორდინატები, გამოკვეთილი არ არის, განეკუთვნება თუ არა პორტის აკვატორია სოხუმის პორტს (თუმცა, ამის გარკვევა საზღვაო სპეციალისტის მეშვეობით უპრობლემოდ შეიძლებოდა) და აღძრა შუამდგომლობა საქმის მოკვლევამდე დაბრუნების შესახებ.*

*გენერალურმა პროკურატურამ საქმე ფოთის პროკურატურაში დააბრუნა — მოკვლევის მასალები სრულყავით, თურქი კაპიტნის მძიმე დანაშაულის დადასტურების შემთხვევაში მისი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შემდეგ, კვლავ დააყენეთ საკითხი საქმის სუშ-ის საგამოძიებო სამსახურისათვის გადაცემის შესახებ.*

*ფოთის რეგიონულმა სამხედრო პროკურატურამ გენერალური პროკურორის მითითება თავისებურად აღიქვა და ისე, რომ ეკიპაჟის რამდენიმე წევრის დაკითხვის გარდა სხვა საგამოძიებო მოქმედება არ ჩაუტარებია, გამოიტანა დადგენილება სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესახებ — არ არსებობს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება, გემის კაპიტანმა და მისმა თანაშემწემ... არ იცოდნენ საერთაშორისო და საქართველოში არსებული კანონებით.*

*ეს მტკნარი სიცრუეა. გემის კაპიტანმა თავისი ქვეყნის ტერიტორიული ზღვა არალეგალურად დატოვა, რითაც, უპირველეს ყოვლისა, დაარღვია თურქეთის კანონები, არ გაიარა სასაზღვრო და საბაჟო კონტროლი (ყოველ შემთხვევაში ამის დამადასტურებელი დოკუმენტები მან არ, ან ვერ წარმოადგინა). ამასთან, მას, როგორც გამოცდილ კაპიტანს (15 წელია, რაც ზღვაშია), არ შეეძლო არ სცოდნოდა ის გარემოება, რომ როდესაც გემი შედის სხვა სახელმწიფოს ტერიტორიულ ზღვაში, გაეროს საზღვაო სამართლის კონვენციის თანახმად, მან უნდა დაიცვას იმ ქვეყნის საბაჟო, ფისკალური, იმიგრაციული და სანიტარიული კანონები და წესები, გარდა ამისა, მას, ამავე კონვენციის თანახმად, ეკრძალება იქ ნებისმიერი ტვირთის ჩატვირთვა-გადმოტვირთვა, თევზჭერა.*

*ფოთის რეგიონის სამხედრო პროკურატურის გადაწყვეტილების შესახებ საზღვრის დაცვის დეპარტამენტმა 5 მარტს პროტესტით მიმართა მთავარ სამხედრო პროკურორს, ხოლო სახელმწიფო დეპარტამენტის ფოთის რეგიონულმა სამმართველომ საჩივარი შეიტანა ფოთის საქალაქო სასამართლოში. მაგრამ სასამართლომ საჩივარი არ განიხილა იმ მოტივით, რომ... საჩივრის ავტორი წარმოადგენს მოკვლევის ორგანოს თანამდებობის პირს და კანონით უფლება არა აქვს სასამართლოში გაასაჩივროს სისხლის სამართლის პროცესის მწარმოებელი სხვა ორგანოს, ამ შემთხვევაში პროკურორის, გადაწყვეტილება სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესახებ. თუმცა, ამ შემთხვევაში „დაზარალებული მხარე“, რომელსაც შეუძლია სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტაზე საჩივრის შეტანა, არის სახელმწიფო. ფოთის რეგიონული სამმართველოს უფროსი, რეგიონში წარმოადგენს არა მარტო მოკვლევის ორგანოს, არამედ აღმასრულებელი ხელისუფლების ერთ-ერთ სტრუქტურას — სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტს.*

*ამ მაგალითიდან, ისევე, როგორც წინა წლებში გამოვლენილ მსგავს სამართალდარღვევებზე რეაგირების პრაქტიკიდან, იკვეთება, რომ საქართველოს შესაბამისი სტრუქტურები, ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო, ვერ უზრუნველყოფენ არსებული კანონმდებლობის აღსრულებას, რის შედეგადაც დაუსჯელი რჩება ქვეყნის სუვერენიტეტის ერთ-ერთი შემადგენელი ელემენტის — სახელმწიფო საზღვრის ხელყოფა, ილახება მისი ეკონომიკური ინტერესები და ა. შ. მით უმეტეს, რომ საქართველოში საზღვრის რეჟიმისა და წესების დაცვის არსებული კანონმდებლობა, სხვა დემოკრატიული ქვეყნების კანონმდებლობასთან შედარებით, ლიბერალურია.*

**— ბატონო გენერალო, რამდენი გჭირდებათ საამისოდ, რომ მეტნაკლებად ნორმალურად გააკონტროლოთ საზღვარი, რა თანხაზეა ლაპარაკი?**

— მე რომ ვიცოდე, რომ წლეულს გარანტირებულად მომცემენ 24-25 მილიონ ლარს, ძირითადი მიმართულებების ჩაკეტვას შევძლებდი,ავაშენებდი, პირობებს შევქმნიდი, ჯარისკაცებს ავიყვანდი, ჩავაცმევდი, გამოვკვებავდი... მოთხოვნილი თანხიდან წლეულს მხოლოდ 9 მილიონი ლარი დაგვიმტკიცეს, ანუ საჭირო თანხის მესამედი და ჯერჯერობით მისი მხოლოდ მცირე ნაწილი მივიღეთ. პირველ კვარტალში 1 830 ათასი ლარი უნდა მიგვეღო, მივიღეთ კი მხოლოდ 1 404 ათასი ლარი, ანუ 76,7 პროცენტი მივიღეთ. გვაწევს კომუნალური ვალი, გაზი გამორთულია, შუქი გამორთულია, 1999 წლის ორი თვისა და 2000 წლის სამი თვის ხელფასი გაუცემულია... საწვავი მაისიდან უკვე აღარ გვექნება.. არადა, მარტო გემებისა და ვერტმფრენების საწვავისათვის წელიწადში 7 მილიონი ლარი გვჭირდება...

**— იმ 9 მილიონში, რამდენია საწვავისათვის გამოყოფილი?**

— არც ერთი თეთრი.

**— მაშ, როგორ გადიხართ იოლად?**

— გვწყალობენ ამერიკელი კოლეგები, მაგრამ ეს მაისამდე! მერე რა უნდა ვქნათ, არ ვიცი. თუმცა, წერილი კი გავგზავნე ამერიკაში, მაგრამ დიდი იმედი არ მაქვს. ერთადერთი, რეალურად შეიძლება საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია დაგვეხმაროს. ჩვენ ვიცავთ სუფსის ტერმინალს ზღვაზე, 24-საათიანი რეჟიმით გვიდგას იქ კატარღა, როცა ტანკერები იტვირთება; 24-საათიანი რეჟიმით მუშაობს ლოკატორი... ამდენად, კორპორაციის ახლობლები ვართ. ამიტომ, მჯერა, რომ კორპორაციის პრეზიდენტი გია ჭანტურია არ გაგვწირავს.

**ბატონი გია, ალბათ, მართლაც არ გაწირავს და არ დატოვებს საქართველოს საზღვარს გემისა და შეულამურენის გარეშე, მაგრამ როდემდე უნდა იყოს მათხოვრობაზე დამოკიდებული ჩვენი საზღვრების შეუვალობა?..**

**ალეკო ასლანიშვილი.**

## ფაქტი

**პოლიციამ ამხილა თბილისის შპს „სანას“ დირექტორი, ბორჯომში მცხოვრები ლევან ხუციშვილი. მან 2000 წლის მაისში ქუთაისის სააქციო საზოგადოება „ელექტრომშენს“ მიჰყიდა ტრანსფორმატორი, რომლის ღირებულებაა 50.000 ლარი. ხუციშვილმა თავი აარიდა 8334 ლარის ოდენობით დღგ-ს გადახდას.**

**ამასთან, შპს „საქართველოს“ სახელით დამზადებული და გამოყენებულია ყალბი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურები, რომლებითაც „ელექტრომშენს“ შესყიდული აქვს 13946 ლარის ღირებულების სხვადასხვა დასახელების ელექტროსამონტაჟო საქონელი.**

**ამ ფაქტთან დაკავშირებით აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, რომელსაც საგამოძიებო დეპარტამენტის იმერეთის სამხარეო სამსახური იკვლევს.**

საქინფორმი.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 100. შაბათი, 28 აპრილი, 2001 წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ორბიტაზე

### ირენა სლიზევიჩუტე-ჯიქია: „1990 წლის 11 მარტს ლიტვის დამოუკიდებლობის გამოცხადებას ერთ-ერთმა პირველმა საქართველომ დაუჭირა მხარი".

ჩვენი სტუმარია ლიტვის რესპუბლიკის წარმომადგენელი საქართველოში, საპატიო კონსული ირენა სლიზევიჩუტე-ჯიქია.

დაიბადა ქ. ვილნიუსში. დაამთავრა ვილნიუსის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესიით ფილოლოგია. 1983 წლიდან ცხოვრობს თბილისში. დააარსა საქართველოში მცხოვრებ ლიტველთა კავშირი. 1998 წლიდან საქართველოში ლიტვის რესპუბლიკის საპატიო კონსულია. ფლობს რუსულ, ინგლისურ და ქართულ ენებს. ჰყავს მეუღლე და 2 შვილი.

1990 წლის 11 მარტს ლიტვამ ერთ-ერთმა პირველმა (ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის) დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ერთ-ერთი პირველი ქვეყანა, ვინც ჩვენი მხარდამჭერი მიტინგები გამართა, საქართველო იყო.

ევროკავშირსა და ნატოში შესვლა, კეთილმეზობლური ურთიერთობა ყველა მეზობელ ქვეყანასთან, რეგიონული თანამშრომლობა – ლიტვის საგარეო პოლიტიკის უპირველესი პრიორიტეტებია.

ლიტვამ ერთადერთმა ბალტიის ქვეყნებიდან 1991 წელს მიიღო მოქალაქეობის ნულოვანი ვარიანტი.

ლიტვაში მოქმედებს საპარლამენტო დემოკრატიის მრავალპარტიული სისტემა, რომელიც ეფუძნება ადამიანის უფლებების, კერძო საკუთრების პატივისცემასა და კანონის უზენაესობას.

სეიმის ბოლო არჩევნების შემდეგ, რომელიც გასული წლის ოქტომბერში გაიმართა, შეიქმნა კოალიციური მთავრობა. მმართველ უმრავლესობას შეადგენდნენ ლიბერალებისა და სოციალ-ლიბერალების პარტიები, რომლებიც ახალი პოლიტიკის ბლოკად გაერთიანდნენ. სულ ლიტვაში 39 პოლიტიკური პარტიაა, მათ შორის არჩევნებში 15 მონაწილეობდა. სეიმი 141 დეპუტატისაგან შედგება. სეიმში წარმოდგენილი ყველა პარტია ქვეყნის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტად ერთსულოვნად ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრაციას მიიჩნევს. ქვეყნის კანონმდებლობით ლიტვაში აიკრძალა კომუნისტური პარტიის საქმიანობა. სეიმმა მიიღო კანონი მამაკაცთა და ქალთა თანასწორუფლებიანობისა და ლუსტრაციის შესახებ.

რესპუბლიკის პრეზიდენტი ვალდას ადამკუსი ამაყობს იმით, რომ ლიტვის პრესას აღიარებენ ყველაზე თავისუფალ პრესად ცენტრალურ ევროპაში.

ხაზგასმით მსურს აღვნიშნო, რომ ლიტვის რესპუბლიკის სეიმის ერთ-ერთი ყველაზე ქმედითი სტრუქტურა ეთიკის კომისიაა. მისი მთავარი ამოცანაა პოლიტიკოსთა და მაღალი თანამდებობის პირების მოღვაწეობის შესწავლა, შეფასება და საჯაროდ გამოცხადება. ამ კომისიის მუშაობის შედეგად ბევრი პოლიტიკოსი იძულებული გახდა დაეტოვებინა სამოღვაწეო ასპარეზი.

არჩევნები ლიტვის რესპუბლიკაში დემოკრატიის ყველა ნორმის დაცვით ტარდება. ირჩევენ პრეზიდენტს, სეიმს, თვითმმართველობის საბჭოს წევრებს (საბჭო ირჩევს მერს). პრეზიდენტი სეიმს დასამტკიცებლად წარუდგენს პრემიერ-მინისტრის კანდიდატურას.

ლიტვას არა აქვს უთანხმოება მეზობელ სახელმწიფოებთან ტერიტორიულ თუ ეროვნულ საკითხებზე. საზღვრების შესახებ დადებულია შეთანხმებები პოლონეთთან, ლატვიასთან, რუსეთთან და ბელორუსიასთან. უვიზო რეჟიმი მოქმედებს ევროპის ყველა სახელმწიფოსთან. არმიის ფორმირება მიმდინარეობს ნატოს სტანდარტების შესაბამისად. წლეულს თავდაცვის საჭიროებისათვის ბიუჯეტში გათვალისწინებულია შიდა ეროვნული პროდუქტის 1,95 პროცენტი. წლეულს, გაზაფხულზე ვილნიუსში მოეწყო ნატოს საპარლამენტო ასამბლეა, ხოლო ზაფხულში გაიმართება სამხედრო სწავლება. მიაჩნიათ, რომ ბალტიის ქვეყნებიდან ლიტვა ყველაზე უკეთესად არის მომზადებული ნატოში შესასვლელად. ლიტვა იმედოვნებს, რომ 2002 წელს, პრაღაში, ნატოს სამიტზე, მას მიიწვევენ ამ ორგანიზაციაში შესასვლელად, ევროკავშირში ინტეგრაცია ახალ შესაძლებლობებს ქმნის ევროკავშირის ქვეყნების გამოცდილების გამოსაყენებლად პოლიტიკურ და ეკონომიკურ თანამშრომლობაში. ეს კარგი წინაპირობაა წარმოების მოდერნიზაციისა და ვაჭრობის შემდგომი განვითარებისათვის. 2002 წლისთვის ლიტვა გეგმავს დაამთავროს ევროკავშირთან მოლაპარაკება ყველა საკითხზე და 2004 წლისათვის მის სრულუფლებიან წევრად მიღების იმედი აქვს. წლეულს, ნოემბრიდან ლიტვა ევროსაბჭოს სხდომების თავმჯდომარე იქნება.



## ასე მისაბაძი ლიტვა საქართველოსთან მეგობრობას ესწრაფვის

ვინაიდან ქვეყნის მოსახლეობის უსაფრთხოება და კეთილდღეობა, უწინარესად, თვით ქვეყნის მოსახლეობის ძალისხმევაზეა დამოკიდებული, ლიტვა განაგრძობს მეურნეობის რესტრუქტურიზაციას, რაც დამოუკიდებლობის აღდგენისთანავე დაიწყო.

ლიტვა კონკურენტუნარიანი ღია საბაზრო ეკონომიკის ქვეყანაა.

აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნებს შორის ლიტვის ინფრასტრუქტურა ერთ-ერთი ყველაზე მაღალხარისხიანია. მისი საავტომობილო გზები, საჰაერო ხაზები, მთელი წლის განმაელობაში მოქმედი კლაიპედის პორტი იზიდავს ინვესტორებს, ბიზნესმენებს, რომლებიც დაინტერესებული არიან უკრაინის, რუსეთის, ბელორუსიისა და შუა აზიის ბაზრებით.

რუსეთის 1998 წლის ცნობილი კრიზისის შემდეგ ლიტვამ საკმაოდ სწრაფად შეძლო თავისი ექსპორტის დასაელეთზე, უმთავრესად ევროკავშირის ქვეყნებზე ორიენტირება. დღეისთვის პრივატიზებულია სამეურნეო ობიექტების დიდი ნაწილი. ახლა პრივატიზაციისათვის მზადდება ელექტროენერგიისა და გაზის სახელმწიფო კომპანიები, რკინიგზა, საჰაერო ხაზები, საზღვაო ხომალდები და სხვა.

ლიტვაში ინვესტიციების სახით უკვე დაბანდებულია 2 მილიარდ ამერიკულ დოლარზე მეტი კაპიტალი. ქვეყნის მთავარი ინვესტორები არიან: დანია, ამერიკის შეერთებული შტატები, შვედეთი, გერმანია.

შიდა ეროვნულმა პროდუქტმა 2000 წელს შეადგინა 11 მილიარდი აშშ დოლარი, 2001 წლის ეროვნული ბიუჯეტი 2,35 მილიარდი აშშ დოლარია. 2000 წლისათვის საშუალო ხელფასი 262 აშშ დოლარი იყო, მინიმალური – 110 ამერიკული დოლარი, პენსია – 79 ამერიკული დოლარი.

საგანგებო ყურადღება ექცევა ტურიზმს, განსაკუთრებით აგროტურიზმის განვითარებას. 1999 წელს ტურიზმით შემოსავალმა 591 მლნ აშშ დოლარი შეადგინა და ეს მაშინ, როცა ქვეყნის მოსახლეობა 3,7 მილიონია.

ამ მხრივ საქართველოს შესაძლებლობანი განუზომლად დიდი, უნიკალური და პრაქტიკულად ამოუწურავია, რასაც ახლო წარსულის გამოცდილება მჭევრმეტყველურად ადასტურებს.

ბერლინის კედლის დანგრევა ბალტიის ქვეყნების სახელმწფოებრიობისათვის ახალი ერის დაწყებად იქცა. ევროპისა და ტრანსატლანტიკურ ინსტიტუტებთან – ევროკავშირთან და ნატოსთან ერთ რეგიონში ჩართვამ, ამ ორგანიზაციების წევრობის რეალურმა პერსპექტივამ ბალტიის სახელმწიფოებს ისტორიული შესაძლებლობა მისცა დაბრუნებოდნენ სტაბილურობასა და კეთილდღეობას.

პოლონეთი ლიტვის სტრატეგიული პარტნიორია ევროკავშირისა და ნატოსაკენ მიმავალ გზაზე. ჩვენ მჭიდრო ისტორიული განზომილების თანამშრომლობა გვაკავშირებს ყველა სფეროში, განსაკუთრებით თავდაცვის სფეროში. შეიქმნა ერთობლივი ბატალიონი „ლიტპოლბატი", სულ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება ერთობლივ პროექტებს – ენერგოსისტემათა შერწყმას, „ვიაბალტიკის" ავტომაგისტრალს. შემიძლია დარწმუნებით განვაცხადო, რომ ლიტვა და პოლონეთი ევროპაში კეთილმეზობლური ურთიერთობის ნიმუშია.

ლიტვისა და რუსეთის კეთილმეზობლური ურთიერთობა ეფუძნება 1991 წლის 29 ივლისს ხელმოწერილ სახელმწიფოთაშორის შეთანხმებას, სადაც სხვა პრინციპებთან ერთად დადგენილია პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამხედრო კავშირებსა და ორგანიზაციებში შესვლის ურთიერთპატივისცემა.

ლიტვა დაინტერესებულია ჰქონდეს რუსეთთან ისეთი კეთილმეზობლური კავშირი, რომელიც განაპირობებს ორივე მხარისთვის თანასწორუფლებიან, ორმხრივ სასარგებლო ურთიერთობას, განამტკიცებს ურთიერთგაგებასა და ნდობას, შექმნის სასარგებლო ფონს ლიტვის ევროპის გაერთიანებაში დასაბრუნებლად და ტრანსატლანტიკურ სტრუქტურებში შესასვლელად.

საგანგებო ყურადღება ექცევა კალინინგრადის ოლქთან ურთიერთობის განვითარებას. ლიტველი დიპლომატები რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და კალინინგრადის ოლქის ადმინისტრაციასთან ერთად ამუშავებენ წინადადებებს, თუ როგორ ჩართონ კალინინგრადის ოლქი ევროკავშირის პროგრამებში. უკვე შემუშავებულია ლიტვა-რუსეთის ერთობლივი წინადადებები, რომელთა განხორციელება ხელს შეუწყობს ოლქის ეკონომიკის აღორძინებას და ხალხის კეთილდღეობის ზრდას.

ლიტვასა და საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობა 1994 წელს დამყარდა. ხელი მოეწერა სხვადასხვა სფეროში თანამშრომლობის დოკუმენტებს. 2001 წლის თებერვალში საქართველოს თავდაცვის მინისტრი დავით თევზაძე ვიზიტად იმყოფებოდა ლიტვაში. ვილნიუსში ლიტვის მხარის დაცვის სამინისტროსა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შორის ხელმოწერილი იქნა თანამშრომლობის შეთანხმება. საქართველო ოფიციალურად მხარს უჭერს ლიტვის ნატოში გაწევრიანებას.

ობიექტური მიზეზების გამო საქართველოს მხარე, ჯერჯერობით, ვერ ახერხებს სათანადო ქმედითი, პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმას ჩვენს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის გასაღრმავებლად.

ვფიქრობ, მეტი დაინტერესება უნდა გამოიჩინოს საქართველოს სამინისტროებმა, უწყებებმა და ბიზნესის წარმომადგენლებმა. კარგი იქნება თუ საქართველოს პარლამენტის სათანადო კომისიები ეწვევა ლიტვის სეიმს იმ კანონმდებლობისა და პრაქტიკული ნაბიჯების გასაცნობად, რომელმაც ხელი შეუწყო საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ შედარებით უმტკივნეულოდ სოციალისტურიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას, ლიტვიდან კაპიტალის არა თუ გადინებას, არამედ უცხოური ინვესტიციების მოზიდვას.

დიდი ოპტიმიზმით შევყურებ საქართველო-ლიტვის მეგობრული ურთიერთობის გაღრმავებას, რასაც მტკიცე საფუძველს შეუქმნის ურთიერთსასარგებლო სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების კონკრეტული და პერსპექტიული გეგმების ერთობლივად შემუშავება.

ჩაიწერა
**ირაკლი ჯაფარიძემ.**



სურათებზე: ლიტვის რესპუბლიკის პრეზიდენტი ვალდას ადამკუსი და საპატიო კონსული ირენა სლიზევიჩუტე-ჯიქია; ლიტვის მშვენება.



## წამოსცდა თუ შეეშალა?

ამერიკის ტელევიზიამ გადმოსცა ბუშთან ინტერვიუების მთელი სერია მისი მმართველობის პირველი ასი დღის გასვლასთან დაკავშირებით.

პრეზიდენტმა იმსჯელა მთელ რიგ საკითხებზე, მაგრამ ნამდვილი სენსაცია გახდა მისი საკმაოდ უაპელაციო გამონათქვამები ტაივანისადმი დახმარების შესახებ.

მართალია, მთელი რიგი მეთვალყურენი ხაზს უსვამენ, რომ ბუშს რაღაც განსაკუთრებით რევოლუციური არაფერი უთქვამს, თუმცა ვაშინგტონი წლების მანძილზე განზრახ ხვევდა ამ საკითხს გაურკვევლობის ბურუსში, პენტაგონს, როგორც იტყვიან, ყოველთვის ჰქონდა გეგმები ჩამოცილებულ კუნძულ-პროვინციაზე ჩინეთის,თავდასხმის შემთხვევისათვის.

აღნიშნავენ, რომ არსებითად არაფერი არ შეცვლილა და რომ ტაივანის მხარეზე ამერიკის სამხედრო ჩარევის ალბათობა ახლაც ისეთივეა, როგორც წინათ. ასეთ გადაწყვეტილებებს ყოველთვის იღებენ გარემოებათა კვალობაზე.

ზოგიერთი ექსპერტი ამბობს, რომ ადმინისტრაციის გადაწყვეტილება, განაახლოს ურთიერთობა ტაივანელ სამხედროებთან, გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ბუშის ეს განცხადება (რომელიც მან, ფაქტობრივად, თუ არ გააქარწყლა, ყოველ შემთხვევაში, ძალიან შეარბილა მეორე ინტერვიუში).

აღადგინა რა 1979 წელს დიპლომატიური ურთიერთობა პეკინთან, შეერთებულმა შტატებმა ამით გაწყვიტა ამერიკა-ტაივანის ხელშეკრულება თავდაცვის შესახებ და, თუმცა ვაშინგტონი განაგრძობდა კუნძულისათვის იარაღის მიყიდვას, ამერიკელ სამხედროებს თითქმის არ ჰქონდათ ოფიციალური კონტაქტების ტაივანელებთან.

როგორც „ვაშინგტონ პოსტში" აღნიშნა კურტ კემპბელმა, სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევის ცენტრის თანამშრომელმა, მთელი თაობის მანძილზე მსოფლიოს არც ერთი გენერალიტეტი (მათ შორის, ერაყის და ჩრდილოეთ კორეისა) არ ყოფილა ისეთ საერთაშორისო იზოლაციაში, როგორც ტაივანისა.

შეერთებულ შტატებში ყოველწლიურად ჩადიოდნენ არცთუ მაღალი თანამდებობის ტაივანელი სამხედროების დელეგაციები, რათა ემსჯელათ კუნძულის თავდაცვითი მოთხოვნილებებზე, რომელთა დაკმაყოფილებაც ვაშინგტონმა ივალდებულა 1979 წელს კონგრესის მიერ მიღებული კანონით.

მაგრამ ეს დელეგაციები ვაშინგტონში უფრო „უკანა კარიდან" შედიოდნენ, ვიდრე მთავარი სადარბაზოდან.

ამჯერად კი ტაივანის დელეგაციის ვიზიტს ფართოდ აშუქებენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები. დიდი ყურადღება ეთმობოდა სამხედრო ტექნიკის ფართო ასორტიმენტს, რომლის ტაიბეისათვის მიყიდვასაც ბუში დათანხმდა, მაგრამ ბევრმა ვერ შეამჩნია მხარეთა მიერ მიღწეული მორიგება, რაც „ინსტრუქტაჟებისა" და „ტექნიკური მიმოხილვების" შესახებ.

* * *

კემპბელის თქმით, ეს აშკარად მოწმობს, რომ შეერთებული შტატებისა და ტაივანის სამხედროებს შორის უფრო მჭიდრო თანამოქმედება მყარდება. პეკინმა დროზე განჭვრიტა ეს პერსპექტივა და ხმამაღლა ცდილობდა მის თავიდან აცილებას.

სინამდვილეში, ამ თანამოქმედებას უფრო აქტიური ფორმები მიენიჭა ჯერ კიდევ ბილ კლინტონის დროს, რომლის ადმინისტრაციაც მიხვდა, რომ წარმოდგენაც კი არა აქვს, რა რეაგირება შეიძლება მოახდინონ ტაივანის შეიარაღებულმა ძალებმა კონტინენტის მხრივ ამა თუ იმ გამოხდომაზე.





ამიტომ კონტაქტები უკვე კარგა ხანია გახშირდა, მაგრამ ამას თითქმის ვერავინ ამჩნევდა, სანამ ბუში გააკეთებდა თავის სენსაციურ განცხადებას, რომ შეერთებულ შტატებს გადაწყვეტილი აქვს, გაუწიოს სამხედრო დახმარება ტაივანს.

იგი გახდა პირველი პრეზიდენტი მთელი თაობის მანძილზე, რომელმაც გადადგა ასეთი ნაბიჯი: ბუშის წინამორბედნი განზრახ აბუნდოვანებდნენ თავიანთ თვალსაზრისს ამ თემაზე.

* * *

იდეა ის იყო, რომ არავინ იცოდა, რას მოიმოქმედებდნენ ამერიკელები, ამიტომ, ჩინელები ვერ გაბედავდნენ ტაივანზე გადასვლას, ხოლო ტაივანელები ვერ გაბედავდნენ თავიანთი დამოუკიდებლობის ცალმხრივი წესით გამოცხადებას.

ეს „სტრატეგიული გაურკვევლობა" სავსებით აძლევდა ხელს ვაშინგტონს, სანამ ბუშმა ყველაფერი მკაფიოდ არ თქვა.

არავინ იცის, ეს შეგნებულად მოუვიდა, თუ უბრალოდ წამოსცდა (საყოველთაო აზრით, აშშ ახლანდელი პრეზიდენტი არ არის ორატორული ჟანრის ოსტატი).

ყოველ შემთხვევაში, სი-ენ-ენისადმი მომდევნო ინტერვიუში ბუშმა უკვე გამოასწორა ნათქვამი, და ხაზი გაუსვა: ტაივანი და ჩინეთი, რა თქმა უნდა, მშვიდობიანი გზით უნდა მორიგდნენ, ხოლო შეერთებული შტატები კვლავაც დაიცავსო „ერთი ჩინეთის" პრინციპს, ამავე დროს სახელმწიფო დეპარტამენტის პრესმდივანმა ფილიპ რიკერმა განაცხადა, „ჩვენი პოლიტიკა დღეს არ შეცვლილაო", წერს დასასრულ **ვლადიმერ კოზლოვსკი, ბი-ბი-სის** ნიუიორკელი მიმომხილველი.

## სავალუტო ფონდი: პანიკის საფუძველი არ არის

**ვაშინგტონში მიმდინარე საერთაშორისო სავალუტო ფონდის სესიაზე გამოცხადდა, რომ ეკონომიკის გლობალური დაქვეითება ნაკლებად მოსალოდნელია, თუმცა, მისი ზრდა უფრო სწრაფად ნელდება, ვიდრე ჩვენ ვისურვებდით.**

ფონდის კონფერენციის გახსნისას ამ გაერთიანების მთავარმა ეკონომისტმა მაიკლ მუსამ თქვა: მსოფლიო ეკონომიკის ზრდის ტემპი ნელა, მაგრამ განუხრელად მიდის დაქვეითებისაკენ, თუმცა, მისი აზრით, პანიკის საბაბი ჯერჯერობით არ არსებობს.





„ჩვენ სრულიად მკაფიოდ ვხედავთ ეკონომიკური ზრდის ტემპის არსებითს შენელებას მიმდინარე წელს, მაგრამ – სულ ცოტა მოცემულ მომენტში – ეს არ მოასწავებს გლობალურ ეკონომიკურ დაქვეითებას", – ხაზი გაუსვა მაიკლ მუსამ.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის ანგარიში შეიცავს რამდენიმე საკვანძო კარს: ისინი ეხება საქმეთა მდგომარეობას ამერიკის შეერთებული შტატების, იაპონიის, ახლო აღმოსავლეთის, ევროკავშირისა და მისი წევრობის მოსურნე სახელმწიფოების, აგრეთვე, ყოფილი სსრ კავშირის ქვეყნების ეკონომიკაში.

* * *

იმ მხრივ, რაც ამერიკის ეკონომიკას შეეხება, ეკონომისტთა უმრავლესობას, – და საერთაშორისო სავალუტო ფონდის ანალიტიკოსები გამონაკლისს არ წარმოადგენენ, – მისი მდგომარეობა მიაჩნიათ არასტაბილურად, ხოლო ზრდის ტემპის შენელება – გარდაუვალად. ექსპერტები აღიარებენ, რომ ეს უფრო ნელა მიმდინარეობს, ვიდრე მოელოდნენ. იაპონიის ეკონომიკის მდგომარეობა, სადაც უკვე დაახლოებით ათი წელიწადია, გრძელდება უძრაობა, ასევე არ იძლევა ოპტიმიზმის საფუძველს.

ნავთობის ფასები თუმცა განიცდის ცვლილებებს, მაგრამ მაინც მაღალი რჩება და, საერთაშორისო სავალუტო ფონდის აზრით, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების მთავრობები ერთობ გონიერულად განკარგავენ მისი გაყიდვით მიღებულ შემოსავალს. ასე რომ, წელს ნავთობის ფასების შესაძლო შემცირება, ალბათ, მართვადი პროცესი იქნება.

მეორე მხრივ, ვარაუდობენ ანგარიშის ავტორები, ნავთობის ვაჭრობისაგან დიდი შემოსავლის მიღების შესაძლებლობა ნავთობმომპოვებელი ქვეყნების მთავრობებს საშუალებას აძლევს, რამდენადმე დამშვიდნენ და დროებით დაივიწყონ ეროვნული ეკონომიკების დივერსიფიკაციის საჭიროება.

* * *

იმ მხრივ, რაც ევროპას შეეხება, საერთაშორისო სავალუტო ფონდი ვარაუდობს, რომ ევროპის ცენტრალურმა ბანკმა, უმჯობესია, შეამციროს პროცენტული განაკვეთები. ხუთშაბათს ვიმ დუიზენბერგის უწყებამ, კვლავ გადაწყვიტა, ჯერჯერობით არ გადადგას ასეთი ნაბიჯი.

ანგარიში აშუქებს ევროზონის თითოეული ქვეყნის მდგომარეობას ცალ-ცალკე და ადასტურებს, რომ არსებითად შენელდა ზრდა გერმანიაში, მეტნაკლებად მდორედ მიმდინარეობს შემცირების პროცესი საფრანგეთში, იტალიასა და დიდ ბრიტანეთში. მთლიანად კი დაქვეითების ტემპი ევროპაში უფრო ნაკლებია, ვიდრე ამერიკის შეერთებულ შტატებსა და იაპონიაში.

ნიშანდობლივია, რომ ყველაზე სასიკეთო შედეგები აქვს ქვეყნებს, რომლებიც ჯერ არ გამხდარან ევროკავშირის წევრები, მაგრამ ისწრაფვიან იქ მოხვედრას. მაგალითად, ლატვიის, ლიტვისა და სლოვაკეთის ეკონომიკები წელს შარშანდელზე უფრო სწრაფად ვითარდება.

* * *

რუსეთში ზრდა არსებითად შენელდება – შარშანდელი შვიდი პროცენტიდან წელს ოთხ პროცენტამდე დაიკლებს. ამის მიზეზია ნავთობის ფასების შემცირება და რუსული საქონლის კონკურენტუნარობა.

თუმცა, რუსეთის ბიუჯეტში გადასახადების შემოსვლა დაიკლებს, 2001 წელს იგი მაინც უდეფიციტო დარჩება, და საერთაშორისო სავალუტო ფონდი მოუწოდებს, ისარგებლონ სასიკეთო სიტუაციით რუსეთში რეფორმების დაჩქარებისათვის.



მაიკლ მუსა: შენელება არის, დაქვეითება – არა.

## ორბიტაზე

BBC, CNN, საქინფორმი. საინფორმაციო ორბიტაზე

### „შატლი" ორბიტაზე რჩება

„Endeavour"კოსმოსური მაქო ორი დღით მეტ ხანს დარჩება დედამიწის ორბიტაზე. მისი ეკიპაჟი დაეხმარება საერთაშორისო კოსმოსური სადგურის მწყობრიდან გამოსული საბორტო კომპიუტერების შემკეთებლებს. ამერიკის NASA კოსმოსურმა სააგენტომ გადაწყვიტა, გაუგრძელოს ექსპედიციის ვადა „შატლს", რადგან ახლა მხოლოდ მისი მეშვეობით ამყარებენ კავშირს სადგურის მუდმივი ეკიპაჟის სამ ასტრონავტთან. სადგურის მთავარი კომპიუტერები სამი დღის წინათ „დაეკიდა", და ამერიკელი სპეციალისტები განაგრძობენ მათი მუშაობის მოგვარების ცდებს.



### მგზავრები გაათავისუფლეს

მშვიდობიანად დასრულდა სუდანში დამჯდარი ეთიოპიის სამხედრო თვითმფრინავის შეპყრობა. არც ერთი მგზავრი და ეკიპაჟის წევრი არ დაშავებულა. ეთიოპიის შიდა რეისიდან გატაცებული თვითმფრინავი 9 საათს იდგა სუდანის დედაქალაქ ხართუმის აეროპორტში, სანამ გამტაცებლები ხელისუფალთ დანებდებოდნენ. სუდანის ინფორმაციის მინისტრმა თქვა, რომ მათ მიეცათ თავშესაფარი. გამტაცებელთა ვინაობა ჯერჯერობით არ არის ცნობილი.

### აშშ კონგრესი კლონირების წინააღმდეგია

აშშ კონგრესში შევიდა კანონპროექტი ადამიანის კლონირების სრული აკრძალვის შესახებ. კანონი განსახილველად შეიტანეს რესპუბლიკელებმა, რომლებსაც ადამიანების კლონირება მეუწყნარებლად მიაჩნიათ მორალისა და მედიცინის თვალსაზრისით. თუ კანონპროექტი დამტკიცდა, მაშინ ამერიკის ხუთ შტატში უკვე მოქმედი აკრძალვა მთელ ქვეყანაზე გავრცელდება. წამყვანმა ამერიკელმა მკვლევარმა კლონირების დარგში დოქტორმა პანოს ზავოსმა განაცხადა, რომ კონგრესი დიდ შეცდომას ჩაიდენს, თუ ამ კანონს მიიღებს. ზავოსი, ადამიანის კლონირების საერთაშორისო პროექტის ერთ-ერთი მონაწილე – მიიჩნევს, რომ ადამიანის პირველი კლონის შექმნა დაახლოებით ორი წლის შემდეგ მაინც გარდაუვალია, და ამიტომაც კონგრესს ურჩევენია, ყურადღება დაუთმოს ახალი მეცნიერული ტექნოლოგიების „სწორი მიმართულებით" განვითარების პირობების შექმნას.



### სოლანა რადას გადაწყვეტილებას აკრიტიკებს

ევროპის კავშირის საგარეო პოლიტიკის კოორდინატორმა ხავიერ სოლანამ ევროკავშირის სახელით იმედგაცრუება გამოთქვა უკრაინელი რეფორმატორის ვიქტორ იუშჩენკოს კაბინეტის გადადგომის გამო. სოლანამ ხაზი გაუსვა, რომ იუშჩენკო ევროკავშირის ნდობით სარგებლობდა, და კიევი დიდ შეცდომას დაუშვებს, თუ უარს იტყვის პოლიტიკურ და ეკონომიკურ რეფორმებზე. როგორც ცნობილია, უკრაინის უმაღლესმა რადამ გუშინ ხმის დიდი უმრავლესობით დაამტკიცა კომუნისტთა მიერ ინიცირებული იუშჩენკოს კაბინეტის უნდობლობის ვოტუმი.

უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით გვერდს უძღვება
*არჩილ მანჯგალაძე.*

## აფხაზეთში უგზო-უკვლოდ დაკარგულ მებრძოლთა მოძიების სახელმწიფო კომისიის და მშობელთა კომიტეტის ერთობლივი განცხადება

ჩვენ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ მებრძოლთა 1000-კაციანი კოლექტივი, გამოვთქვამთ პროტესტს, პარტიზანული რაზმის „ტყის ძმების" მეთაურის დავით შენგელიას უსაფუძვლო განცხადებასთან დაკავშირებით. ამასთანავე სინანულით აღვნიშნავთ, რომ:

1. ჩვენ არასოდეს არ ჩავრეულვართ პარტიზანთა საქმიანობაში მათი არაერთგზის თხოვნის გარდა, გადმოგვესვენებინა მათი დაღუპული მეომრები ან გამოგვეყვანა ცოცხლები. შეძლებისდაგვარად ვეხმარებოდით მათ ჩვენი ავტორიტეტით, შესაძლებლობებით, სახსრებით. გადმოვასვენეთ მრავალი დაღუპული ზუგდიდში, სენაკში, თბილისში (კერძოდ, თბილისში, ძმათა სასაფლაოზე დავასაფლავეთ 5 პარტიზანი), გამოვიყვანეთ ბევრი მძევალი-პატიმარი, მათ შორის, შევძელით გაგვენთავისუფლებინა სიკვდილმისჯილი რ. გოგოხია, დავეხმარეთ მათ ოჯახებს, როგორც მატერიალურად, ისე ოჯახის წევრების შრომით მოწყობაში. ჩვენი ფუნქციებიდან გამომდინარე და მთავრობის დავალებით, ყველაფერს აბსოლუტურად უანგაროდ ვაკეთებდით.

2. დ. შენგელიას თავისი არამართლზომიერი განცხადებით სურს საზოგადოებრივი აზრის დეზორიენტაცია და დეზინფორმაცია; ამით კი ზიანს აყენებს როგორც სახელმწიფო კომისიას, ისე მშობელთა კომიტეტისა და ფონდის კეთილშობილურ საქმიანობას. ვასრულებდით რა ქართველი და აფხაზი მშობლების თხოვნას, ბევრჯერ იყო შემთხვევები, როცა იმართებოდა აქციები მდინარე ენგურის ხიდის ორივე მხარეს, კომისიის წევრებს არ გვიშვებდნენ აქციებზე და გვეუბნებოდნენ, ჯერ გადმოასვენეთ ჩვენი მიცვალებულები „პარტიზანები" და შემდეგ გაგატარებთო.

3. ჩვენ არ ვმონაწილეობთ აფხაზეთის გარდაცვლილი მკვიდრი მოსახლეობის გადმოსვენებაში, თუ ისინი არ მოგვმართავენ განცხადებით, დაგვეხმარეთო. ამჟამადაც გვაქვს განცხადებები (ნორაკიძისა და ცაგურიასი). არის ბევრი ასეთივე ადრინდელი განცხადება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობის რეზოლუციით.

4. ისმის კითხვა, რატომ არ აძლევთ ხელს ჩვენი საქმიანობა ზოგიერთებს? ვის ვუშლით ხელს? საერთოდ დაღუპულთა მშობლები მიმართავენ სახელმწიფო კომისიას, როგორც ოფიციალურ სტრუქტურას, რომელსაც, თავის მხრივ, საქმის გაკეთება შეუძლია. მშობლებს არ სურთ საქმე იქონიონ მერყევი შეხედულების არასერიოზულ პირებთან. ჩუმად გაურიგდნენ და საეჭვო ვითარებაში გადმოასვენონ შვილები.

5. სამართალდამცავებმა კარგად უნდა იცოდნენ, ვინ ვინ არის, ან წესრიგი როგორ უნდა დამყარდეს. გაკვირვებული ვართ, ნუთუ ცილისწამებისთვისაც არის ჯილდო?

6. საკუთარი შვილების ძებნასა და გადმოსვენებას გვიშლიან, ვის აქვს ამის უფლება?! ვინც უნდა იყოს... ამის საქვეყნოდ განცხადება მკრეხელობად მივაჩნია. ნუთუ, ეს ადამიანის უფლებების დარღვევა არ არის? პარტიზანებთან ჩვენი დაღებითი დამოკიდებულება საქვეყნოდაა ცნობილი. არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, არც ერთი საგაზეთო პუბლიკაცია, სადაც ჩვენ პარტიზანთა მიმართ იოტისოდენა შენიშვნა გაგვეკეთებინოს. მაშ რაშია საქმე?! რა ხდება?! ჩვენ არ გაგვიყვია „ასფალტის" და „გაზეთის" პარტიზანად, როგორც ისინი ერთმანეთს უწოდებენ.

7. მხოლოდ სახელმწიფო კომისიის მოძიების ჯგუფი და ხელმძღვანელობა ფლობს ინფორმაციას აბსოლუტურად და კომპეტენტურ დონეზე, სხვა არავინ.

8. ჩვენ ვთხოვთ ხელისუფლებას აღნიშნულ ცილისწამებაში გაარკვიოს მტყუან-მართალი. მტყუანმა საქვეყნოდ მოიხადოს ბოდიში, ან დაპირისპირებული მხარეები დავსხდეთ და ნებისმიერ დონეზე ვიმსჯელოთ და გავარკვიოთ სიმართლე, ოღონდ ეს ცნობილი უნდა გახდეს ფართო საზოგადოებისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში ყველაფერი სასამართლომ გადაწყვიტოს.

**მშობელთა კომიტეტი:**

**1. დობორჯგინიძე, 2. დემეტრაშვილი, 3. ზალდასტანიშვილი, 4. ოშორიძე, 5. დაჩიბერიძე, 6. კიკილაძე, 7. გულბანი, 8. ანდრიაძე, 9. თოფურიძე, 10. ზაალიშვილი და სხვები.**

თბილისი. 20.04.2001 წ.

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!**

GCF

№ 4 (50)

საქართველოს ჭადრაკის
ფედერაციისა და გაზეთ
„საქართველოს რესპუბლიკის“
ერთობლივი ყოველთვიური გამოცემა

ჩვენი ნონა

# სიყვარული სიყვარულის წილ

3 მაისს გასული საუკუნის საქართველოს საუკეთესო სპორტსმენ ქალს, მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონს ნონა გაფრინდაშვილს დაბადების საიუბილეო თარიღი უსრულდება.

როგორც ჭადრაკის მოყვარულებმა იციან, ქალბატონი ნონა ამჟამად ვარშავაში მიმდინარე ევროპის ქალთა მეორე ჩემპიონატში ასპარეზობს და თბილისში მხოლოდ 6 მაისს დაბრუნდება. ამიტომ მისი საიუბილეო საღამო 12 მაისს გაიმართება თბილისის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის შენობაში.

საიუბილეოდ გამოიცემა ნონა გაფრინდაშვილის „რჩეული პარტიები“, აგრეთვე – უხვად ილუსტრირებული ფოტოალბომი.

მადლიერების გრძნობით უნდა აღინიშნოს საქველმოქმედო ფონდ „გამარჯვების“ და მისი პრეზიდენტის, ქართქული კულტურის, ხელოვნების და სპორტის დიდი მოამაგის ბადრი პატარკაციშვილის მამულიშვილური თანადგომა ამ მნიშვნელოვან თარიღთან დაკავშირებით.

თბილისის მერიის ხელშეწყობით გაიმართება საჭადრაკო ფესტივალი „ნონა-60“, რომლის პროგრამაშია რეიტინგ-ტურნირი, მოყვარულთა ტურნირი, საჭადრაკო ეტიუდების შედგენის კონკურსი, თბილისში მყოფი დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენელთა ასპარეზობა. 9, 10 და 11 მაისს ვერის პარკში გაიმართება ერთდროული თამაშის სეანსები, რომელშიც მონაწილეობის მიღება ჭადრაკის ყველა მოყვარულს შეუძლია. სეანსებს ცნობილი ქართველი დიდოსტატები გამართავენ.

9 მაისს გაიმართება მატჩი თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა შორის. ამავე დღეს გაიმართება შოუ-ტურნირი ქართული ჭადრაკის ვარსკვლავების მონაწილეობით.

8 მაისს 18 საათზე ჭადრაკის სასახლეში დაიწყება ტურნირი შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენელთა მონაწილეობით.

11 მაისს კი გამოჩნდება ვინ უკეთ თამაშობს ჭადრაკს ჩვენს მინისტრებს, მათ მოადგილეებს და სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარეებს შორის.



**ნონა გაფრინდაშვილის საიუბილეო საღამო, უეჭველია, გახდება დასტური იმისა, რომ ხალხი არ ივიწყებს დიდ სიხარულს, რომელიც მოგვანიჭა სწორუპოვარმა ნონამ. მას კი არაერთხელ უთქვამს: „ჩემი გამარჯვებები ძირითადად განაპირობა ჩემი ხალხის დიდმა სიყვარულმა“.**

### ლექსპრომტი

შენ გარდა, ვინ გაიარა
შენი გზა გასაკვირველი?
გაფრინდაშვილი კი არა,
შენ გვარადა ხარ — პირველი.

ჯანსუღ ჩარკვიანი.

23 IV 2001 წ.

ევროპა-2001

# ლიდერთა შორის

პოლონეთის დედაქალაქი ვარშავა წლეულს მეორედ მასპინძლობს ევროპის მოჭადრაკე ქალთა პირად ჩემპიონატს (პირველად იგი შარშან ბათუმში გაიმართა). შეჯიბრებაში სხვადასხვა ქვეყნის 157 დიდოსტატი, საერთაშორისო და ეროვნული ოსტატი მონაწილეობს. ამგვარი ხალხმრავლობა შემთხვევითი არ არის. პირველ-ოცდამეცხრე ადგილებზე გასული მოჭადრაკეები წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონატის საგზურებს მიიღებენ. გრანდების ბრძოლაში ჩაებნენ აღიარებული ფავორიტებიც: მსოფლიოს ყოფილი ვიცე-ჩემპიონი რუსი ალისა გალიამოვა, შარშანდელი ევროპის ჩემპიონი უკრაინელი ნატალია ჟუკოვა და ვიცე-ჩემპიონი რუსი ეკატერინა კოვალევსკაია, ასევე, ცნობილი მოჭადრაკეები – ბულგარელი ანტუანეტა სტეფანოვა, რუმინელი კორინა პეპტანი, იუგოსლაველი ნატაშა ბოიკოვიჩი, რუსი ტატიანა სტეპოვაია და სხვები.

ვარშავულ ბატალიებში საქართველოს ღირსებას იცავენ დიდოსტატები – ნონა გაფრინდაშვილი, ნინო ხურციძე, მაია ლომინეიშვილი, ქეთევან არახამია, თამარ ხმიადაშვილი, საერთაშორისო ოსტატები – საქართველოს წლევანდელი ჩემპიონი ლელა ჯავახიშვილი, ანა მათნაძე, სოფიკო ხუხაშვილი, ფიდეს ოსტატი ნანა ძაგნიძე და ეროვნული ოსტატები – სოფიკო ტერელაძე და სოფიკო გვეტაძე. საგზურების მოსაპოვებლად იბრძვიან უცხოეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეები – ქეთევან კახიანი-გერშინსკა (გერმანია), თეა ლანჩავა (ჰოლანდია), ჰენრიეტა ლაგვილავა (ბელარუსი).

* * *

**გაუწყებთ ქართველ მოჭადრაკეთა მე-5 ტურის შედეგებს:** ქეთევან არახამია – ალექსანდრა კოსტენიუკი 1:0, ნატალია კისილიოვა – ნინო ხურციძე 0,5:0,5, ქეთევან კახიანი – სოფიკო ხუხაშვილი 1:0, ანა მათნაძე – ანა ზატონსკიხი 0,5:0,5, ელენა ზაიაცი – ჰენრიეტა ლაგვილავა 0:1, ოლგა სტაშკინა – სოფიკო ტერელაძე 1:0, ნონა გაფრინდაშვილი – ტატიანა ბაკლანოვა 1:0, მონიკა სოქო – თამარ ხმიადაშვილი 1:0, თეა ლანჩავა – ანდრეა დიქსოარა 1:0, ლელა ჯავახიშვილი – პეტრა შუურმენი 0,5:0,5, ფარვანა ისმაილოვა – მაია ლომინეიშვილი 0:1, სოფიკო გვეტაძე – ოლგა ალექსანდროვა 0,5:0,5, ნანა ძაგნიძე – მაგდალენა ზავადსკა 1:0.

ხუთი ტურის შემდეგ ქეთევან არახამიას 4,5 ქულა აქვს და ლიდერთა სამეულშია, ელენა სედინასა და ინა გაპონენკოსთან ერთად. ნინო ხურციძეს 3,5 ქულა აქვს, ნონა გაფრინდაშვილს და მის შეგირდს ანა მათნაძეს – 3-3, მაია ლომინეიშვილს, სოფიკო ხუხაშვილს, სოფიკო ტერელაძეს, ლელა ჯავახიშვილს, ნანა ძაგნიძეს – 2,5 (თითოეულს), თამარ ხმიადაშვილს და სოფიკო გვეტაძეს – 2 ქულა (თითოეულს).

ჩემპიონატის დამთავრებამდე 6 ტური დარჩა.

ლევან ციცაძე.

სენსაცია

# კარპოვი, კასპაროვი და კრამნიკი ფიდეს წინააღმდეგ გაერთიანდნენ





**მსოფლიოს XII, XIII და XIV ჩემპიონებმა ანატოლი კარპოვმა, გარი კასპაროვმა და ვლადიმერ კრამნიკმა გამოაქვეყნეს ღია წერილი, რომელშიც პროტესტი გამოხატეს ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის მიერ უკანასკნელ წლებში ცალმხრივად განხორციელებული ღონისძიებების გამო, რომლებიც, მათი აზრით, ეჭვქვეშ აყენებს ჭადრაკის მომავალს. კერძოდ, ფიდეს მოქმედებას დროის ოფიციალური კონტროლის, მსოფლიოს ჩემპიონატის გამართვის ინტერპრეტაციის თვალსაზრისით. მათ აღელვებთ აგრეთვე დაუფარავი მტრობა ტრადიციული საჭადრაკო ტურნირების ორგანიზატორთა მიმართ.**

ისინი, როგორც უმაღლესი დონის მოჭადრაკეები, თავს მოვალედ თვლიან, რომ ღიად გამოთქვან მხარდაჭერა იმ თამაშისადმი, რომელსაც ყველასათვის მოჰქონდა და ახლაც მოაქვს შემოქმედების უშრეტი სიხარული.

დრომ დაადასტურა, წერენ დიდოსტატები, რომ ჭადრაკის ტრადიციებსა და წესებს პატივი უნდა მივაგოთ, ყოველგვარი ცვლილება ამ სფეროში მხოლოდ ყოველმხრივი და ღია განხილვის შემდეგ განვახორციელოთ. სვლების მოფიქრების დროის მკვეთრი შემცირება არის თავდასხმა როგორც მოჭადრაკეებზე, ასევე ჭადრაკის თამაშის შემოქმედებით და მეცნიერულ მხარეზე.

სერიოზულ შემფოთებას იწვევს ფიდეს პოზიცია ჭადრაკში მსოფლიო პირველობის გამართვის ტრადიციების და პრესტიჟისადმი. ფიდეს თეირანის დეკლარაცია სინამდვილეში არის მცდელობა მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის და მასთან დაკავშირებული მთელი ისტორიის საბოლოო პრივატიზებისა; იმ ტიტულისა, რომელიც ფიდეს ჩამოყალიბებამდე დიდი ხნით ადრე არსებობდა და იარსებებს იმ შემთხვევაშიც, თუკი ფიდე გაქრება.

საუკუნეზე მეტი ხნის ისტორია არ შეიძლება გაწყდეს უბრალო განცხადებით, რომ საჭადრაკო ტრადიციებმა თავი ამოწურა. ჭეშმარიტი ტრადიციები ცოცხლობს ჩვენში და მთელი მსოფლიოს მილიონობით ჭადრაკის მოყვარულთა გულებში.

კომერციალიზაციის მოუფიქრებელი გეგმები დარტყმის ქვეშ აყენებს ტრადიციულ ტურნირებს, რომლებმაც ჭადრაკს ბევრი სიკეთე მოუტანა. აშკარა მუქარა, რომ ახალი ასპარეზობანი გამართონ ტრადიციული ტურნირების ვადებში, უნდა განვიხილოთ როგორც აგრესია ორგანიზატორების, მოთამაშეთა და ჭადრაკის წინააღმდეგ, იმათ მიმართ, ვინც პატივს მიაგებს, ვთქვათ, ლინარესის, დორტმუნდის ან ვეიკ-ანზეეს ტურნირებს.

ჭადრაკი არ გახლავთ ფიდეს საკუთრება, რომ იგი ათამაშონ, როგორც საჩხარუნო. თამაში ეკუთვნის მსოფლიოს საჭადრაკო ერთიანობას, ამიტომაც ყველა მცდელობას, ლახვარი ჩასცენ საჭადრაკო მემკვიდრეობას, ღირსეულად მოვიგერიებთ.

როგორც ფიდეს ხელმძღვანელობა აცხადებს, აღნიშნული ზომები ცხოვრებაში უნდა გატარდეს მხოლოდ საჭადრაკო სპორტის პოპულარიზაციის მიზნით. მიზანი ნამდვილად ღირსეულია, მაგრამ თუ გაიწირება – რაც ყველაზე მეტად ალამაღლებს ჩვენს თამაშს – ლამაზი პარტიები, ტრადიციული ექსტრაკლასის ტურნირები, მსოფლიო პირველობის გამართვის სრულყოფილი სისტემა – ვერავითარ შემთხვევაში ვერ შევძლებთ საჭადრაკო აუდიტორიის გაფართოებას.

დღეს შექმნილი იმ არადამაკმაყოფილებელი ვითარების დემოკრატიულად გადაწყვეტის გზების ძიებაში საჭადრაკო სამყარო თავის ლიდერებზეა დამოკიდებული. ჩვენ გთავაზობთ ღია დიალოგს ყოველ საკითხზე ფიდეს ეროვნული ფედერაციების (რომელთაგანაც შედგება ეს ორგანიზაცია) და როგორც პროფესიონალი, ისე მოყვარული მოთამაშეების მონაწილეობით, ვისაც უნდა წარმოადგენდეს ფიდე. ამ დიალოგის ბედი დიდად იქნება დამოკიდებული არა მხოლოდ დიდოსტატებზე, არამედ ჭადრაკის მრავალრიცხოვან მოყვარულებზე, ორგანიზაციებსა და სპონსორებზე.

ჩვენ ბევრი გავიღეთ ჭადრაკისათვის, ძალიან ბევრიც მივიღეთ და კვლავაც ვაპირებთ ვაკეთოთ ყოველივე აუცილებელი, რათა დავიცვათ ჩვენი საყვარელი თამაშის სტატუსი და მემკვიდრეობა.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 100, შაბათი, 28 აპრილი, 2001 წელი

## საქართველოს ჩემპიონატი

**29 მარტიდან 9 აპრილამდე თბილისის ჭადრაკის სასახლეში ერთმანეთის პარალელურად მიმდინარეობდა საქართველოს ქალთა 58-ე და ვაჟთა 61-ე ჩემპიონატები. შეჯიბრება ე. წ. „ნოკაუტ-სისტემით" მოეწყო. მოჭადრაკეები იბრძოდნენ როგორც ქვეყნის ჩემპიონის სახელისთვის, ასევე ევროპის ქალთა და ვაჟთა ჩემპიონატების სამ-სამი საგზურისთვის.**





# ახალი სახელები

ამ ბოლო დროს საგრძნობლად დაწინაურდნენ ახალგაზრდა მოჭადრაკეები, ამიტომ მათი პრეტენზიები წარმატებებზე დიდ ტურნირებში უთუოდ საყურადღებოა. ეს ამბავი ქალთა ჩემპიონატმაც დაადასტურა.

რა თქმა უნდა, სტარტზე მთავარი ფავორიტები იყვნენ დიდოსტატები – ნინო გურიელი, მაია ლომინეიშვილი, სოფიო ტყეშელაშვილი და ვეტერანი თამარ ხმიადაშვილი, აგრეთვე, მაღალი რეიტინგის მქონე ოსტატები – საქართველოს შარშანდელი ჩემპიონი სოფიო ტერელაძე, ანა მათნაძე, ლელა ჯავახიშვილი, სოფიო ხუხაშვილი და ნათია ცაძიკიძე. ეს მოჭადრაკეები (ხმიადაშვილის გარდა) ბრძოლაში მეორე ტურიდან ჩაებნენ.

ბრძოლის სიცხარეს ხელი შეუწყო „ნოკაუტ-სისტემამ", რომელიც ოლიმპიური სისტემით არის ცნობილი (წაგებული ეთიშებოდა ტურნირს). მეტოქეები თამაშობდნენ მინი-მატჩებს (ორ-ორ პარტიას). ყაიმის შემთხვევაში კვლავ ხვდებოდნენ ორ 15-წუთიან პარტიაში. თუ ბრძოლა აქაც ვერ გამოილებდა შედეგს, მეტოქეები ურთიერთობას ბლიცში (5-წუთიან ორ პარტიაში) არკვევდნენ. ცხადია, ბრძოლის ასეთი წესი მაქსიმალურად ამძაფრებდა ორთაბრძოლებს.

ჩემპიონატში 25 მოჭადრაკე ქალი მონაწილეობდა. სტარტზე ერთმანეთს 16 მოჭადრაკე დაუპირისპირდა. პირველი მოულოდნელობა გახლდათ 14 წლის ნანა ძაგნიძის გამარჯვება (1,5:0,5) ხმიადაშვილთან.

კიდევ უფრო დაიმუხტა შეხვედრები, როცა ბრძოლაში ზემოდასახელებული დიდოსტატები და ოსტატები ჩაებნენ. ყველამ სენსაციად აღიქვა ლომინეიშვილისა და გურიელის დამარცხება. პირველს თბილისის ჩემპიონმა სოფიო გვეტაძემ მოუგო (1,5:0,5), მეორეს – ქუთაისელმა ინგა ჭარხალაშვილმა (2:0). ამ დღეს ძაგნიძემ თავისი კოლეგა – 16 წლის გოგონათა მსოფლიო ჩემპიონი სოფიო ხუხაშვილი დაამარცხა (1,5:0,5). მესამე ტურის საგზურებს დაეუფლნენ, აგრეთვე, მათნაძე, ჯავახიშვილი, ტერელაძე და ცაძიკიძე.

მესამე ტურში კვლავ ისახელა თავი გვეტაძემ, ამჯერად მან ტყეშელაშვილი იმსხვერპლა (1,5:0,5). ოთხი პარტიის თამაში დაჭირდათ ძაგნიძესა და მათნაძეს. პირველი მინი-მატჩი ყაიმით (1:1) რომ დაამთავრეს, ორ დამატებით პარტიაში ძაგნიძემ იმარჯვა (2:0). ორი პარტიით მეტის თამაში მოუწია ტერელაძეს, რათა ჭარხალაშვილი დაემარცხებინა. მათი მატჩის ბედი ბლიცში გადაწყდა, რომელიც ტერელაძემ მოიგო (2:0).

ამ დღეს ჯავახიშვილმა სძლია ცაძიკიძეს.

მეოთხე ტურში, ე. ი. ნახევარფინალებში უფრო მიზანმიმართულად თამაშობდნენ ძაგნიძე და ჯავახიშვილი. პირველმა ხელმოცარული დატოვა „დიდოსტატთა რისხვა" გვეტაძე, რომელიც მხოლოდ 15-წუთიან პარტიებში დაამარცხა (2:0). ჯავახიშვილმა ტერელაძეს აჯობა (1,5:0,5).

დიდი ინტერესი გამოიწვია ფინალმა (მეხუთე ტურმა). პირველ პარტიაში ძაგნიძემ ფარ-ხმალი დააყრევინა ჯავახიშვილს, მაგრამ ვერ შეინარჩუნა უპირატესობა. დამატებით მინი-მატჩში მან ვერ მოიკრიბა ძალა, მაშინ როცა 17 წლის თელაველი ოსტატი ენერგიულად წარმართავდა ბრძოლას, მან ორივე პარტიაში გაიმარჯვა და პირველად მოიპოვა საქართველოს ჩემპიონის წოდება.

მესამე ადგილი მოიპოვა ტერელაძემ, რომელმაც გვეტაძეს დამატებით შეხვედრაში სძლია.

მაშ ასე, ევროპის პირველობის საგზურები დაისაკუთრეს ლელა ჯავახიშვილმა, ნანა ძაგნიძემ და სოფიო ტერელაძემ. (უკვე ერთი კვირაა, ისინი ევროპის პირველობაში მონაწილეობენ, რომელიც ქ. ვარშავაში (პოლონეთი) მიმდინარეობს.





ასე დასრულდა სპორტული ბრძოლა ჩემპიონატში. იგი მართლაც მოუს მოგაგონებდათ, რაც დამახასიათებელია „ნოკაუტ-სისტემის" შეჯიბრებისთვის. ძნელია საუბარი ტურნირის შემოქმედებით მონაპოვარზე. აჩქარებულ თამაშში თითქმის შეუძლებელია მთლიანი პარტიის შექმნა. ამიტომ მხოლოდ ფრაგმენტებზე შეიძლება ყურადღების გამახვილება. ჩანს, მოჭადრაკეები უნდა შეეჩვიონ ახალი სისტემით თამაშს, რომ შემდგომ წარმატებებს დიდ ტურნირებშიც მიაღწიონ.

* * *

ვაჟთა ჩემპიონატის სცენარი თითქმის არაფრით განსხვავდებოდა ქალებისას. ტურნირის 26 მონაწილეს შორის იყვნენ დიდოსტატები ბ. გურგენიძე, ზ. სტურუა, გ. ბალათუროვი, თ. გელაშვილი და მ. კეკელიძე. ახალგაზრდა დიდოსტატებმა ვერც აქ გამოიჩინეს თავი. ყმაწვილმა ოსტატებმა ისინი ფინალამდე არ მიუშვეს. მხოლოდ ყველაზე მაღალრეიტინგიანმა სტურუამ შეძლო გამკლავება ნიჭიერ ყმაწვილებთან, თუმცა ბოლოს, ფინალურ მატჩში მაინც დათმო პირველობა 22 წლის მიხეილ მჭედლიშვილთან, რომელიც დიდი ალმაცერობით თამაშობდა მთელ ტურნირს...

პირველ ტურში 18 მოჭადრაკე მონაწილეობდა. ამ დღეს რაიმე მოულოდნელობა არ მომხდარა. აღვნიშნავთ მხოლოდ მჭედლიშვილის გამარჯვებას ვეტერან ბ. გურგენიძესთან და 15 წლის ლ. ფანცულაიას ფიდეს ოსტატ ვ. ვეფხვიშვილთან.

მაღალი რეიტინგის მქონე სტურუა, ბალათუროვი, გელაშვილი, კეკელიძე, დ. ლობჟანიძე და 17 წლის ბ. ჯობავა მეორე ტურიდან ჩაებნენ ბრძოლაში, რამაც ინტერესი შემატა ამ დღის ორთაბრძოლებს და თუმცა ყველგან უშეღავათო თამაში მიმდინარეობდა, არც ერთი შეხვედრა მოულოდნელი შედეგით არ დამთავრებულა.

სტურუამ სძლია პ. გელაზონიას (1,5:0,5), გელაშვილმა – დ. შენგელიას (3:1), ბალათუროვმა – დ. არუთიანიანს (6:4), ჯობავამ – ფანცულაიას (2:0), კეკელიძემ – ჯ. მახარაძეს (2:0), ლობჟანიძემ – მ. გაგუნაშვილს (1,5:0,5), მჭედლიშვილმა – ვ. გაფრინდაშვილს (3:1) და ხ.სუპატაშვილმა – ზ. იზორიას (2:0).

მესამე ტურში მჭედლიშვილმა დამაჯერებლად მოუგო საქართველოს შარშანდელ ჩემპიონს გელაშვილს (2:0). ასეთივე ანგარიშით გაიმარჯვა ჯობავამ კეკელიძესთან. სტურუასა და ბალათუროვს უპირატესობის დამტკიცება ბლიცში მოუწიათ. პირველმა მოუგო სუპატაშვილს (2:0), მეორემ – ლობჟანიძეს (2:0). ცხადია, მანამდე მათი ორი მინი-მატჩი ყაიმით დასრულდა.

ჩემპიონის კანდიდატები მეოთხე ტურში გამოვლინდნენ. სტურუამ ორივე პარტიაში დაჯაბნა ჯობავა (2:0), ამაოდ არ დამშვრალა მაჭარაშვილი ბალათუროვთან შეხვედრაში. მან გაიმარჯვა ანგარიშით 1,5:0,5.

ფინალურმა მატჩმა სტურუასა და მჭედლიშვილს შორის გულგრილი არავინ დატოვა. ძირითადი მინი-მატჩის ორივე პარტია ყაიმით დასრულდა. დამატებით 15-წუთიან პირველ შეხვედრაში აღინიშნა ყაიმი, მაგრამ მეორე პარტიაში მჭედლიშვილმა შეძლო მრისხანე მეტოქის დამარცხება, რამაც მას პირველად საქართველოს ჩემპიონის ტიტული მოუტანა.

მესამე ადგილისთვის მინი-მატჩში ჯობავამ ბალათუროვს ფარ-ხმალი დააყრევინა.

აღსანიშნავია საერთაშორისო ოსტატ მიხეილ მჭედლიშვილის მიღწევა, რომელმაც ოთხი დიდოსტატი დაამარცხა, და საერთაშორისო დიდოსტატის ნორმატივი შეასრულა.

საუცხოო შთაბეჭდილება დატოვა ბაადურ ჯობავამ. იგი ზღაპრული სისწრაფით იზრდება, რასაც ადასტურებს მისი ამასწინანდელი მიღწევები ევროპის საერთაშორისო ტურნირებში.

ვაჟთა ჩემპიონატი შემოქმედებითი თვალზრისითაც საინტერესო გამოდგა. სწრაფ თამაშში, მართალია, ძნელია სრულფასოვანი, მომხიბლავი იდეებით გაჯერებული პარტიების შექმნა, მაგრამ გულდასმითი ანალიზით შეიძლება რამდენიმე მაგალითის მოძიება.

ევროპის ვაჟთა პირველობის (ქ. ოხრიდი, მაკედონია, 1-14 ივნისი) ფინალში საასპარეზოდ გაემგზავრებიან მ. მჭედლიშვილი, ზ. სტურუა და ბ. ჯობავა.

**თენგიზ გიორგაძე.**

**სურათებზე: ლელა ჯავახიშვილი, ნანა ძაგნიძე, სოფიკო ტერელაძე (ზევით); მიხეილ მჭედლიშვილი, ზურაბ სტურუა, ბაადურ ჯობავა.**

ვაჟა დანელიას ფოტო.

## 16-წლიანთა ტურნირი

# საგზურები – უძლიერესებს

16 წლის მოჭადრაკეთა საქართველოს პირველობაში, რომელიც თბილისის ჭადრაკის სასახლეში დამთავრდა, 37 გოგონა და 66 ვაჟი მონაწილეობდა. მედლებისთვის ორთაბრძოლებისას გოგონებში თავიდანვე დაწინაურდა ბათუმის დავით აღმაშენებლის სახელობის მე-2 გიმნაზიის მერვეკლასელი სალომე მელია.

მან ბოლომდე შეინარჩუნა ლიდერობა და 7 ქულით ჩემპიონობა მოიპოვა: ბოლო ტურის შემდეგ ერთბაშად ოთხ მოჭადრაკეს აღმოაჩნდა 6,5 ქულა. უკეთესი კოეფიციენტით მეორე ადგილი წილად ხვდა სოხუმიდან დევნილ, სენაკის მე-2 საშუალო სკოლის მეათეკლასელ ალა ვახანიას, მესამე იყო თბილისის 182-ე სკოლის მეათეკლასელი თამარ წერეთელი.

ვაჟთა ტურნირში ბოლო ტურის წინ ერთბაშად ოთხ მოჭადრაკეს ჰქონდა ჩემპიონობის შანსი. წალენჯიხის პირველი საშუალო სკოლის მეათეკლასელმა კონსტანტინე შანავამ გადამწყვეტი ორთაბრძოლა მოუგო ერთ-ერთ კონკურენტს – ლევან ფანცულაიას, მოაგროვა 7,5 ქულა და სხვებისთვის მიუწვდომელი გახდა, რადგან თბილისის 162-ე სპეციალიზებული საჭადრაკო სკოლის მეათეკლასელი მერაბ გაგუნაშვილი, რომელიც მთელი შეჯიბრების განმავლობაში ლიდერობდა, მე-9 ტურში თორნიკე სანიკიძეს დაუზავდა და 7 ქულით მეორე ადგილს დასჯერდა. ამდენივე ქულა მოაგროვა ამავე სკოლის მეცხრეკლასელმა მალხაზ სულაშვილმაც, რომელმაც ბოლო პაექრობაში ლევან აროშიძეს სძლია, მაგრამ უარესი კოეფიციენტით მესამე ადგილზე გავიდა.

ამრიგად, მსოფლიო პირველობაზე მელია და შანავა გაემგზავრებიან, ხოლო ვახანია და გაგუნაშვილი ევროპის პირველობაზე ითამაშებენ.

**ვაჟა დანელია.**

**სურათზე:** მარცხნიდან – სალომე მელია, კონსტანტინე შანავა, ალა ვახანია, მერაბ გაგუნაშვილი, თამარ წერეთელი, მალხაზ სულაშვილი.

**ავტორის ფოტო.**



## რეგიონი

# კომპოზიტორი თერჯოლიდან

ემზარ ჭუმბურიძისთანა პიროვნება იშვიათად შემხვედრია იმერეთში: თბილი, გულწრფელი, სასიამოვნოდ მოსაუბრე, თავის საქმეში ღრმად ჩახედული, ნამდვილად კარგი ქართველია.

შესანიშნავმა ოჯახიშვილმა მშობლიურ სოფელში, ზედა სიმონეთში დაამთავრა საშუალო სკოლა და შემდეგ – ინდუსტრიული ტექნიკუმი, გაიარა მთავარი ენერგეტიკის კურსები, მუშაობდა თერჯოლის სამშენ მასალათა კომბინატში თავისი სპეციალობით. თუმცა ამ საწარმოში დიდხანს არ უმოღვაწია. ხელმძღვანელობამ მასში დაინახა მზარდი მოჭადრაკე და რაიონში ჭადრაკის განვითარებისათვის ზრუნვა შესთავაზა.



ემზარი მალე დაინიშნა რაიონში ჭადრაკის მთავარ მწვრთნელად, მოკლე ხანში – რაიონში ჭადრაკის კლუბის გამგედ.

ემზარის თავდადებულმა შრომამ და ენთუზიაზმმა შედეგი გამოიღო. გაჩნდნენ პირველთანრიგოსნები, ოსტატობის კანდიდატები: მალხაზ სეფისკვერაძე, ჯულიეტა ქოჩიაშვილი, ზაზა ცინცაძე, მერი და ალეკო ჩაფიჩაძეები, და-ძმა ჯულიეტა და მანუჩარ ცხელიშვილები...

როგორც შემდეგ გაირკვა, ემზარის მოწოდება ეტიუდების შედგენა იყო. პირველად ემზარმა მონაწილეობა მიიღო ამომხსნელთა რესპუბლიკურ და საკავშირო კონკურსებში და გამარჯვებებიც მოიპოვა. ამასთანავე დაიწყო საჭადრაკო ამოცანების შედგენა. მისი პირველი ამოცანა 1970 წელს დაიბეჭდა გაზეთ „სოფლის ცხოვრებაში". 1972 წელს საკავშირო პირველობაზე კი მისმა ამოცანებმა მესამე საპრიზო ადგილი დაიმსახურა.

მაშინ ემზარ ჭუმბურიძის შემოქმედებას მაღალი შეფასება მისცა საერთაშორისო არბიტრმა ვლადიმიროვმა. მან აღნიშნა, რომ „ემზარმა შეძლო მკაცრ გაანგარიშებებზე, ანუ საჭადრაკო აზროვნებაზე დამყარებული თამაში კარგი გემოვნებისათვის დაემორჩილებინა და მის მიერ შეთხზული ამოცანებისათვის მეტი ხიბლი მიენიჭებინა".

გადიოდა დრო, წარმატებას წარმატება მისდევდა. 1970-80 წლამდე შეჯამებულ რესპუბლიკურ ჩემპიონატებში ორ, სამ და მრავალსვლიანებში ემზარ ჭუმბურიძე ხუთეულში მოხვდა. 1980 წელს კი საჭადრაკო ეტიუდების საკავშირო კონკურსში, სადაც ჩვენი ქვეყნის 100-მდე ეტიუდმა მიიღო მონაწილეობა, ემზარ ჭუმბურიძემ კვლავ გამოიჩინა თავი – მისმა ეტიუდმა პირველი და მესამე ადგილი დაიმსახურა.

ამავე 1980 წელს ემზარის ამოცანა „მოსკოვი-80", რომელიც მიეძღვნა მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებს, დაიბეჭდა ჟურნალ „შახმატი ვ სსრ"-ში და სპეციალური პრიზით აღინიშნა. ამის შესახებ მოსკოველი დიდოსტატი იური ავერბახი ამბობს: „ეს ნამდვილი ხელოვნებაა".

რაც შეეხება რაიონში ჭადრაკის განვითარებას, სამწუხაროდ, აქ ვითარება უაღრესად რთულია. აღსადგენია საჭადრაკო კლუბი, არა აქვთ ფინანსები, აკლიათ ელემენტარული ყურადღებაც კი – იგრძნობა ჭადრაკის დაფების, საათების, ალმების და სხვა საჭადრაკო ატრიბუტების მწვავე დეფიციტი.

ყოველივე ამას გულისგულამდე განიცდის ჭადრაკისთვის თავგადაგებული ადამიანი, რომელმაც მთელი სიცოცხლე მიუძღვნა ბრძენთა თამაშს.

ემზარ ჭუმბურიძეს, საქართველოს ნაკრების წევრს, ორასამდე ნაწარმოების ავტორს დაბადებიდან 55 წელი შეუსრულდა. ვულოცავთ!

**ჰენრი შარიქაძე.**

თერჯოლა.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

ჩვენებურები

# გერმანიაში ცხოვრობს ქართველი ბიჭი...



დიდოსტატ არტურ იუსუპოვს ფარ-ხმალი დააყრევინა ჰანდიკაპ-მატჩში, რომელიც დიდოსტატმა გამართა ამ ქვეყნის ექვს ნიჭიერ ახალგაზრდასთან ჩვეულებრივი დროის კონტროლით.

ნიჭიერი ბავშვი მიიწვიეს გერმანიის ჩემპიონატებში მოზრდილთა შორის, მისი წარმატებებით სერიოზულად დაინტერესდა დორტმუნდის საჭადრაკო კლუბი „ბრეკელი“. განვმარტავთ, რომ ამ კლუბის მესვეურები არიან დორტმუნდის ცნობილი სუპერტურნირის ორგანიზატორები, ტურნირებში კი მსოფლიოს წამყვანი მოჭადრაკეები, მათ შორის – გარი კასპაროვი ასპარეზობენ.

სწორედ „ბრეკელის“ მიწვევით გადავიდნენ ბარამიძეები დორტმუნდში, დათო კი ამ კლუბში ჩაირიცხა. იგი იმყოფება კლუბის ხელმძღვანელობის და გერმანიის ჭადრაკის ფედერაციის განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ.

მოგეხსენებათ, საქართველოში დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ შექმნილი რთული და ხშირად გაურკვეველი, ზოგჯერ კი სახიფათო პოლიტიკური ვითარება ბევრ ჩვენს თანამემამულეს უბიძგებდა, სხვა ქვეყნებში ეძებნა მშვიდი ნავსაყუდელი.

სწორედ იმ წლებში გერმანიაში, კერძოდ, ტიურინგიის ოლქის ქალაქ გოთაში გადაბარგდა პატარა დათო ბარამიძის ოჯახი. ბიჭმა ადგილობრივ კლუბში განაგრძო ბრძენთა თამაში, რომლის დიდი სიყვარული საქართველოდან გადმოჰყვა. სულ მალე დათო 10 წლამდე ბავშვებს შორის ევროპის ვიცეჩემპიონი გახდა ჯერ 1997 წელს ტალინში, შემდეგ ავსტრიის ქალაქ მურეკში (1998 წელს). ამავე ასაკის ბავშვთა შორის საფრანგეთის ქალაქ კანში გამართულ მსოფლიო პირველობაზეც იყოჩაღა – პრიზიორი გახდა.

11 წლის დათომ უკვე გერმანიის ჩემპიონობაც მოიპოვა 14 წლამდე ასაკის მოჭადრაკეთა შორის, თანაც იშვიათი შედეგით, 9-დან 9 ქულით (!).

დათომ დიდი მოჭადრაკეებიც გააოცა, როდესაც ერთდროული თამაშის სეანსში ყაიმით დაამთავრა შეხვედრა თვით გარი კასპაროვთან, ხოლო გერმანიის უძლიერეს მოჭადრაკეს, ცნობილ

დათო ბარამიძის მწვრთნელი ამჟამად თბილისელი საერთაშორისო ოსტატი დავით ლობჟანიძეა, პირველი მწვრთნელი კი ვალიკო ურიდია გახლდათ. ლობჟანიძის აზრით, დათოს, უაღრესად ნიჭიერ მოჭადრაკეს, ხელეწიფება დაიპყროს საჭადრაკო მწვერვალები.

დათო ბარამიძე აპირებს მონაწილეობის მიღებას შვეიცარიის საერთაშორისო ტურნირში (მაისში), 12 წლის ვუნდერკინდი პერსონალურად არის მიწვეული გერმანიის 18 წლამდე ასაკის მოჭადრაკეთა პირველობაზე (ივნისი), სადაც იასპარეზებს 24, ასევე პერსონალურად დასახელებული ახალგაზრდა.

ამას წინათ დათომ მაღალი შედეგით დაამთავრა გერმანიის ქალაქ ბადვორსჰოფენში გამართული ტურნირი (6,5 ქულა 9-დან), უკან მოიტოვა არაერთი დიდოსტატი და ოსტატი.

მოგვყავს პარტია, რომელშიც დათომ დაამარცხა პოლონელი საერთაშორისო ოსტატი. ვფიქრობთ, იგი კარგად მიუთითებს ნორჩი მოჭადრაკის მაღალ შესაძლებლობებზე.

ანდრო ბაქრაძე.

## ბარამიძე (2265) – ს/ო კოსილსკი (2358).

### სიცილიური დაცვა

1. e4 c5 2. მf3 d6 3. d4 cd 4. მXd4 მf6 5. მc3 a6 6. f3 e5 7. მb3 კe7 8. კe3 კe6 9. ლd2 0-0 10. 0-0-0 b5 11. მd5 კXd5 12. ეXd მbd7? (უკეთესია 12. ... ლc7) 13. მa5! (დათო იყენებს პირველივე შესაძლებლობას შეიჭრას მოწინააღმდეგის განლაგებაში). ლc7 14. მc6 კd8 15. მfb1 ეc8 16. c4! (საუკეთესო გეგმა, რომელიც ხაზს უსვამს თეთრების უპირატესობას) 16. ... მb6 17. კXb6 ლXb6 18. cXb aXb 19. ეc1 მფh8 20. g3 ლb7 21. კh3 ეa8 22. ეhd1 კb6 23. კf1 კc5 24. b4 კd4 (შავები პაიკის შეწირვით ცდილობენ c6 მხედრის გაცვლას და მდგომარეობის შემსუბუქებას) 25. მXd4 eXd 26. ლXd4 ეa3 27. ეd3! ეa8 28. ეXa3 ეXa3 29. f4 h6 30. კd3! ლa8 31. კf5 ლa4 32. ეc8 მg8



33. ლe4! g6 34. ლd4! მფh7 35. კXg6! (დათოს თამაში მთამბეჭდავია) 35. ... მფXg6 (თუ 35. ... fg, მაშინ 36. ეc7+) 36. ეg8 მფh5 37. f5 ეb3 38. მფa1! ეXb4 (38. ... ლXb4 39. ლd1 შამათით) 39. g4 მფh4 40. ლf2 შავები დანებდნენ შემდეგ სვლაზე შამათის გამო.

საერთაშორისო ოსტატ დავით ლობჟანიძის კომენტარი.

პირველობა

# საგზურები ათწლიანებმაც გაითამაშეს

ბათუმი ცხრა დღეს მასპინძლობდა 10 წლის მოჭადრაკეთა საქართველოს პირველობას, რომელშიც 30 გოგონა და 70 ჭაბუკი მონაწილეობდა.

შვეიცარიული სისტემით 9 ტურად გამართული ასპარეზობა დაძაბული და მიმზიდველი გამოდგა. საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლას იმანაც შემატა სიმძაფრე, რომ აჭარის დედაქალაქის მშვენიერ ჭადრაკის სასახლეში გამართული ტურნირი მსოფლიო და ევროპის პირველობების შესარჩევი შეჯიბრებაც იყო.

გოგონებში ჩინებულად იასპარეზა თბილისელმა სოფიკო გურამიშვილმა (მწვრთნელი ირაკლი ცქიტიშვილი), რომელმაც 9 შესაძლებლიდან 7,5 ქულით პირველი ადგილი დაიკავა. გამარჯვებულს ნახევარი ქულით ჩამორჩა დედაქალაქელი ანა ხაყომია. 6 ქულით მესამე ადგილი გორელ ეკა გოგლიძეს ხვდა.

ვაჟთა ტურნირში 7,5-7,5 ქულა მოაგროვეს რუსთაველმა ლუკა პაიჭაძემ და ქუთაისელმა დავით ბენიძემ. ჩემპიონობა უკეთესი კოეფიციენტით პაიჭაძეს (მწვრთნელი კობა ფანიაშვილი) მიეკუთვნა, ვერცხლის მედალი ბენიძეს ერგო. 7 ქულით მესამე ადგილზე თბილისელი ლევან ბრეგაძე გავიდა.





ამრიგად, გურამიშვილი და პაიჭაძე მსოფლიო პირველობაზე გაემგზავრებიან, ხოლო ხაყომია და ბენიძე ევროპელ თანატოლებთან პაექრობაში გამოცდიან ძალებს.

ალექსი შონია.

წარსულის ფურცლები

# მივიწყებული ტურნირი

გადავწყვიტე, გიამბოთ საბჭოთა წლებში გამართული ერთი მივიწყებული ტურნირის შესახებ. სხვადასხვა დროს მოსკოვში გამოცემულ ზოგიერთ საცნობარო ლიტერატურაში არც კი მოიხსენიება. მერედა რა ვუყოთ თუ ოფიციალური სტატუსით თავიდანვე სავარჯიშო ტურნირი უწოდეს. შემადგენლობით ფაქტობრივად იგი საკმაოდ მაღალი დონის საერთაშორისო შეჯიბრება გახლდათ.

ეს სავარჯიშო ტურნირი გაიმართა 1939 წლის დასაწყისში, ლენინგრადში – მოსკოვში, რომელშიც ხუთი დიდოსტატი (მათგან ოთხი უცხოელი) და 13 საბჭოთა ოსტატი (მაესტრო, როგორც მაშინ უწოდებდნენ). მონაწილეთა შორის იყვნენ ABPO ლეგენდარული ტურნირის ერთ-ერთი გამარჯვებული ესტონელი პ. კერესი, ამავე ტურნირის მონაწილენი ამერიკელი ს. რეშევსკი (იგი კერესის მსგავსად პირველად სტუმრობდა საბჭოთა კავშირში) და ჩეხოსლოვაკიელი ს. ფლორი. მეოთხე უცხოელ დიდოსტატად ითვლებოდა უნგრელი ა. ლილიენტალი, რომელიც თუმცა საბჭოთა კავშირში ცხოვრობდა, მაგრამ მოქალაქეობა ჯერ კიდევ არ ჰქონდა მიღებული.

საბჭოთა მოჭადრაკეთაგან ტურნირში მიწვეული იყვნენ „ძველი გვარდია“ – ქვეყნის ჩემპიონი დიდოსტატი 50 წლის გ. ლევენფიში, 48 წლის ი. რაბინოვიჩი და 47 წლის პ. რომანოვსკი, ოსტატები, რომელთაც პრესაში პერიოდულად მოიხსენიებდნენ ნახევრადდიდოსტატების ეპითეტით – ვ. რაგოზინი, ვ. მაკოგონოვი, ს. ბელავენეცი და ვ. ალატორცევი, მოსკოვის ჩემპიონი სტუდენტი ვ. სმისლოვი, მოსკოველები ი. კანი, ვ. პანოვი, ლენინგრადელი ა. ტოლუში, დონის როსტოველი ი. ბონდარევსკი. ტურნირის მონაწილეთა შორის ვხედავთ ჩვენს ვ. გოგლიძეს.

თავდაპირველად გათვალისწინებული იყო მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, უკრაინისა და კიევის მრავალგზის ჩემპიონის, ქვეყნის ერთ-ერთი უძლიერესი ოსტატის, 47 წლის ფ. ბოგატირჩუკის მონაწილეობაც, მაგრამ, სავარაუდოა, სათანადო ორგანოებისთვის იმ მომენტისთვის ცნობილი გახდა საბჭოთა სისტემის მიმართ მისი არალოიალური განწყობა და შესაძლოა, ამიტომაც შეიცვალა იგი სხვა კიეველით – ბოლო საკავშირო ჩემპიონატის (თბილისი, 1937) პრიზიორი ა. კონსტანტინოპოლსკით. ცნობილია, რომ მოგვიანებით ბოგატირჩუკი საცხოვრებლად დარჩა (1949 წ.) კანადაში, სადაც გარდაიცვალა 92 წლის ასაკში.

მაინც რით იყო განპირობებული ასე მოულოდნელად სავარჯიშო ტურნირის გამართვა, მაშინ როცა უკვე 15 აპრილისთვის დანიშნული იყო სსრ კავშირის მორიგი მე-11 ჩემპიონატის გახსნა?

1938 წლის 17 დეკემბერს გაზეთი „კრასნი სპორტი“ იტყობინებოდა, რომ საბჭოთა კავშირში უცხოელი დიდოსტატების პ. კერესის, ს. რეშევსკისა და ს. ფლორის ჩამოსვლასთან დაკავშირებით ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტმა გადაწყვიტა, გამართოს სავარჯიშო ტურნირი, რომელიც 1939 წლის 2 იანვარს ლენინგრადში გაიხსნებაო.

სავარჯიშო ტურნირი მოულოდნელობით დაიწყო. პირველივე ტურში მაკოგონოვმა კერესთან შეხვედრაში „ამსტერდამულ“ ეივე-კერესის ყაიმით დამთავრებულ პარტიაში გაძლიერება იპოვა და 35-ე სვლაზე გაიმარჯვა. მესამე ტურში – ბელავენეცმა, როგორც ბოლოს გამოირკვა, ერთადერთი დამარცხება მიაყენა ფლორს კარო-კანის დაცვაში, რომლის მეფედ იყო მიჩნეული ჩეხოსლოვაკიელი დიდოსტატი. ამავე ტურის გადადებული პარტიების დამთავრების დღეს რაგოზინმა რევანში აიღო კერესთან ზემერინგ-ბადენში (1937 წ.) განცდილი მარცხისათვის. მესამე ტურშივე რეშევსკიმ ლევენფიშთან წაგებას თავი მხოლოდ მუდმივი ქიშით დააღწია.

ლენინგრადი – მოსკოვის სავარჯიშო ტურნირი ს. ფლორის სარეაბილიტაციო შეჯიბრება გამოდგა – ABPO ტურნირში განცდილი ჩავარდნისათვის. მან 17-დან 12 ქულის მოგროვებით ერთნახევარი ქულით გაასწრო მეორე ადგილზე გასულ ს. რეშევსკის.

– ბევრისთვის ჩემი გამარჯვება მოულოდნელი იყო, – განაცხადა ფლორმა, – მეც არ ვფიქრობდი, ამსტერდამში განცდილი ფიასკოს შემდეგ ასე მალე მოვიდოდი გონს...

მესამე-მეექვსე ადგილები 10-10 ქულით გაინაწილა ოთხმა: დიდოსტატებმა ლევენფიშმა, ლილიენტალმა (ტურნირის დამთავრების დღეს, 1 თებერვალს დააკმაყოფილეს მისი თხოვნა და მიანიჭეს სსრ კავშირის მოქალაქეობა), ოსტატებმა მაკოგონოვმა და რაგოზინმა. ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩნენ მათ ბელავენეცი და რაბინოვიჩი, შემდეგ მოდიან ალატორცევი და კანი (9-9), კონსტანტინოპოლსკი (8,5 ქ.) 8-8 ქულით მე-12-13 ადგილები გაინაწილეს კერესმა და სმისლოვმა. ჭაბუკ მოსკოველს არც გამოცდილება ეყო და არც ფიზიკური წრთობა. მოვუსმინოთ ესტონელ დიდოსტატს:

– მსურდა, გავცნობოდი საბჭოთა მოჭადრაკეებს, მომესინჯა მათი ძალები დაფასთან, შემესწავლა თამაშის სტილი და გამოკვლევები. მაგრამ ყოველივე ეს არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამეკეთებინა იმ მდგომარეობაში, რომელშიაც ABPO ტურნირის შემდეგ ვიმყოფებოდი. გონივრული იქნებოდა მიმებაძა ბოტვინიკისათვის, რომელმაც მართებულად თქვა უარი ტურნირში მონაწილეობაზე, მით უმეტეს, რომ ჩემთვის ცნობილი იყო მონაწილეთა მაღალი კლასი (გაზეთ „კრასნი სპორტის“ ფურცლებზე კერესმა დაბეჯითებით განაცხადა, რომ საბჭოთა მოჭადრაკეები უძლიერესნი არიან მსოფლიოში. ტურნირში მონაწილეთა ნახევარზე მეტი დიდოსტატური ძალით თამაშობსო, თქვა მან). შედეგებმა ჭკუა მასწავლა.

ვ. გოგლიძის სატურნირო შედეგები (7,5 ქ. XIV) გაშუქებული აქვს თ. გიორგაძეს საინტერესო მონოგრაფიაში „ცხოვრება ვიქტორ გოგლიძისა“, მოჰყავს მის მიერ ორივე მოგებული პარტია (კანი, რომანოვსკი) კომენტარებით.

ცხრილის დასკვნით ნაწილში განლაგდნენ ტოლუში (7 ქ.), რომანოვსკი (6 ქ.), ბონდარევსკი (5 ქ.) და პანოვი (3,5 ქ.), რომელიც ავადმყოფობის გამო მე-11 ტურის შემდეგ შეჯიბრებას გამოეთიშა.

გთავაზობთ პარტიის ფრაგმენტს ამ ტურნირიდან

კერესი



მაკოგონოვი

მაკოგონოვის ბოლო სვლა 28. c5! თეთრების სტრატეგიული გეგმის ტრიუმფია. კატასტროფა d6 პუნქტზე გარდაუვალია. 28. ... ეc6 29. cd მd6 30. ეd6 ეcd6 31. კd6 ლb7 32. კe6 მფh8 33. ლb6 ეe8 34. კe5 ლe7 35. ეa7 დანებდა.

გიორგი მახარაძე.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

გამოიცა

# სასარგებლო ცნობარი




საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტის ნონა გაფრინდაშვილის თაოსნობით პირველად გამოიცა ჩვენი ქვეყნის საჭადრაკო ცხოვრების ამსახველი ცნობარი – „ქართული ჭადრაკი – 2000“. მისასალმებელია, რომ მის შემდგენელთ დავით გურგენიძესა და გიორგი მაჭარაშვილს განზრახული აქვთ შემდგომშიც, ყოველწლიურად მსგავსი ცნობარის გამოცემა.

ცნობარი შეიცავს 2000 წლის ჩვენი საჭადრაკო საქმიანობის ამსახველ ფაქტებს. ეჭვგარეშეა, ყველა დიდი ინტერესით გაეცნობა საქართველოს, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებში ქართველი დიდოსტატებისა და ოსტატების, აგრეთვე, ყმაწვილი (10, 12, 14, 16, 18, 20 წლის) მოჭადრაკეების მიღწევებს. აქვეა მოყვანილი ყველა მათგანის ფიდეს ბოლო სამი რეიტინგი (01. 01. 2000, 01. 07. 2000, 01. 01. 2001).

დიდად საინტერესოა ქართველი მოჭადრაკეების მონაწილეობის შედეგები სხვადასხვა საერთაშორისო შეჯიბრებაში. უპირველესად, აღსანიშნავია სტამბოლის ვაჟთა 34-ე და ქალთა მე-19 ოლიმპიადები, რომლებშიც ჩვენმა ნაკრებებმა წარმატებით იასპარეზეს. მოყვანილია, აგრეთვე, ქართველი დიდოსტატებისა და ოსტატების მიღწევები გერმანიის, ნორვეგიის, შვეიცარიის, საბერძნეთის, ესპანეთის, ტუნისისა და სხვა ქვეყნების საერთაშორისო ტურნირებში.

ცნობარის მკითხველი გაეცნობა 2000 წელს ჩვენში გამოცემულ ქართულ საჭადრაკო წიგნებს და მრავალ სხვა საინტერესო მასალას.

განსაკუთრებით ძვირფასია ცნობარში მოყვანილი 2000 წელს ქართველი მოჭადრაკეების 176 რჩეული პარტია მ. ჩიბურდანიძის, ზ. აზმაიფარაშვილის, ზ. სტურუას, თ. გელაშვილის, გ. ყაჭეიშვილის, ბ. ჯობავას და სხვების შენიშვნებით. ამ პარტიების მიხედვით შეიძლება მსჯელობა ქართველი მოჭადრაკების შემოქმედებით წინსვლაზე.

ცნობარი უხვადაა ილუსტრირებული, რაც მკითხველს საშუალებას აძლევს ახლოს გაეცნოს ჩვენს ნიჭიერ გოგო-ბიჭებს, რომელთაგან ხვალ-ზეგ დიდ მიღწევებს მოველით.

და ბოლოს, ჩვენი აზრით, საჭირო და დროულია მომზადდეს ცნობარი, რომელიც 1995 წლიდან ასახავს ჩვენი საჭადრაკო ცხოვრების ისტორიას. როგორც ცნობილია, 1995 წლამდე ეს ცნობები თავმოყრილია თენგიზ გიორგაძის სამტომეულის „ქართული ჭადრაკის მატიანეს“ პირველ წიგნში.

„ქართული ჭადრაკი – 2000“-ის შედგენა ადვილი როდი იყო და, ამდენად, მისი ავტორები მადლიერებას ნამდვილად იმსახურებენ.

**ნინო იმესაშვილი.**

ტურნირი

# ქალთა შორის უძლიერესი

აპრილის პირველ დეკადაში გერმანიის ქალაქ ბად ვორის ჰოფენში დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი 200 მოჭადრაკის მონაწილეობით. შეჯიბრებაში ბევრი ცნობილი დიდოსტატი მონაწილეობდა. პირველი პრიზი მოიპოვა მინსკელმა დიდოსტატმა ალექსეი ალექსანდროვმა. მან 9 პარტიაში 8 ქულა მოაგროვა და ნახევარი ქულით გაუსწრო ვალერი ფილიპოვს. 7 ქულით სხვებთან ერთად დაამთავრეს ტურნირი ეპიშინმა და ნენაშევმა.

ნინო ხურციძემ 6 ქულით ქალთა შორის პირველი ადგილი დაიკავა.

კომპოზიცია

# საეტიუდო ფინალი თუ საჭადრაკო დრამატურგია?

„არის უფრო ფასეული რამ, ვიდრე ორიგინალობა, სახელდობრ უნივერსალობა“.

**პოლ ვალერი.**

საეტიუდო ხელოვნებაში მეტად მნიშვნელოვანია ნაწარმოების ფინალი, რომელიც ხშირად აგვირგვინებს თემის განვითარების ისტორიას. საეტიუდო ფინალი მრავალი და მრავალგვარი შეიძლება იყოს – პატის, მატის, პოზიციური ყაიმისა და სხვა სახით. ეტიუდისტებს შორის განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს კომპოზიციები საშამათო ფინალით.

როგორც ცნობილია, საშამათო იდეის გატარება ხორციელდება სტრატეგიული და ტაქტიკური ხერხით. ამ თემას ორგანულად დაუკავშირდა ტაქტიკური ხერხები: ფიგურის ჩაკეტვა, უჯრის ბლოკირება, ერთდროული თავდასხმა, ფიგურის გადაკეტვა და სხვა. შამათის იდეა, როგორც აღვნიშნეთ, ხშირ შემთხვევაში დაკავშირებულია მეფის ირგვლივ უჯრების ბლოკირებასთან, რაც, თავის მხრივ, მრავალი მოტივით შეიძლება იყოს განპირობებული. ასე, მაგალითად, ერთ მხარეს შეიძლება დასჭირდეს მატერიალური წონასწორობის აღდგენა, რამაც ბრძოლის პროცესში შეიძლება განაპირობოს ერთი ან რამდენიმე უჯრის ბლოკირება, რომელიც შემდგომში შამათს განაპირობებს.

№ 1 ვ. კალანდაძე, 1977 წ.



თეთრები იგებენ

ერთიდაიგივე საშამათო ფინალი შეიძლება მივიღოთ სხვადასხვა ტაქტიკური ხერხისა და მოტივის გამოყენებით. ამიტომ ხშირად ნაწარმოების მხატვრული ღირსება განისაზღვრება თემის გამოსახვის სიმწვავითა და იმ ტაქტიკური ხერხებისა და მოტივების მრავალფეროვნებით, რომელთაც ავტორი მისი განხორციელების დროს იყენებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რამდენად მნიშვნელოვანია ამ შემთხვევაში საეტიუდო დრამატურგია. ამის ნათელსაყოფად გავეცნოთ რამდენიმე მნიშვნელოვან მაგალითს.

თავის დროზე ჩვენ გამოვაქვეყნეთ ეტიუდი, რომელშიც ცნობილი საშამათო ფინალი ხორციელდება, (იხ. დიაგრამა № 1).

1. ლd3 მფh8 2. ლc3 მფh7
3. ლc2 მფh8 4. მფb2 მფh7
5. ლb1 მფh8 6. ლh1 კh5!
7. ლh5 ლh7 8. g6!! ლh5
9. g7 მფh7 10. g8ლ მფh6
11. ლg7X.

მოგვიანებით, ამავე საშამათო ფინალით ეტიუდი გამოაქვეყნა იტალიელმა ეტიუდისტმა კონსტანტინიმ. (იხ. დიაგრამა № 2).

№ 2 კ. კონსტანტინი, 1978 წ.



თეთრები იგებენ

1. g6 მg5 2. მფb6! მe6
3. მc7 მc7 4. მფc7 d2
5. g7 d1ლ 6. g8ლ მფa7
7. ლc4 მფa8 8. ლc3! ლa4
9. ლh8 მფa7 10. ლb8 მფa6
11. ლb7 მფa5 12. ლb6X.

მართალია, ორივე ნაწარმოები ერთიდაიგივე შამათით მთავრდება, მაგრამ ორივე აღიქმება, როგორც ორიგინალური ნაწარმოები.

მომდევნო ეტიუდში, წარმოდგენილია შამათის იდეა უჯრის ბლოკირებით (იხ. დიაგრამა № 3).

1. h8 ლh8 2. მფf5 მფh7
3. ეh6! მფh6 4. g5 მფh7
5. g6 მფg8 6. კc5 ლh6
7. კe3 ლh8 8. მფe6 მფf8
9. მფd7 ლg8 10. კc5X!

№ 3 ვ. კალანდაძე, რ. თავარიანი, 1968 წ.



თეთრები იგებენ

უფრო მოგვიანებით ჩვენ გამოვაქვეყნეთ ნაწარმოები, სადაც აღნიშნული ფინალი ხორციელდება ორიგინალური სისტემატური მოძრაობის ფონზე. გავეცნოთ ეტიუდის გადაწყვეტას.

№ 4 ვ. კალანდაძე, 1979 წ.



თეთრები იგებენ

1. h8ლ ლh8 2. კc1 მფh7
3. კg6 მფg8 4. h3! მფf8
5. კa3 მფg8 6. კb4 ლh6
7. კd2 ლh8 8. კe3 მფf8
9. კc5 მფg6 10. მფd2 ლh6
11. კe3 ლh8 12. მფd3 მფf8
13. კc5 მფg8 14. მფe4! ლh6
15. კe3! ლh8 16. მფd5 მფf8
17. მფc6!! ლg8 18. კc5X!

კიდევ მრავალი მაგალითის მოტანა შეიძლება, მაგრამ განხილული მაგალითებიდანაც შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საშამათო ფინალი ძირითადად ამშვენებს საჭადრაკო ეტიუდს, თუმცა ხშირ შემთხვევაში ნაწარმოების საერთო მხატვრულ დონეს საეტიუდო დრამატურგია განსაზღვრავს.

**ველიმირ კალანდაძე,**
საერთაშორისო ოსტატი.

ანონსი

# საჭადრაკო ფესტივალი — „ბათუმი 2001“

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობის მხარდაჭერით შავი ზღვის ქვეყნების საჭადრაკო ასოციაცია 18 ივნისიდან 12 ივლისამდე ფესტივალს – „ბათუმი 2001“ – მართავს. ფესტივალში ასოციაციის 9 ქვეყნის (საქართველო, რუსეთი, უკრაინა, ბულგარეთი, თურქეთი, რუმინეთი, საბერძნეთი, მოლდოვა, აზერბაიჯანი) მოჭადრაკეები იასპარეზებენ.

საჭადრაკო ფესტივალი „ბათუმი 2001“ აერთიანებს:

1. შავი ზღვის ჩემპიონატებს 10 – 12 – 14 – 16 წლის გოგონათა და ჭაბუკთა შორის;

2. ღია საერთაშორისო ტურნირს ქალთა და ვაჟთა შორის შავი ზღვის ჩემპიონების გამოსავლენად;

3. „მემედ აბაშიძის“ მემორიალს სწრაფ ჭადრაკში;

4. „ალორძინების“ ბლიც-ტურნირს;

5. საჩვენებელ მატჩებს ელექტრონული დაფებისა და კომპიუტერის გამოყენებით. ლეგენდარული ნონა გაფრინდაშვილი ითამაშებს შავი ზღვის ჩემპიონი ქალის წინააღმდეგ, აგრეთვე, საქართველოს უძლიერესი მოჭადრაკე ზურაბ აზმაიფარაშვილი – შავი ზღვის ჩემპიონი ვაჟის წინააღმდეგ.

ტურნირები ბათუმის ჭადრაკის სასახლეში, ხოლო მატჩები, სავარაუდოდ, ბულვარში გაიმართება.

ფესტივალის საპრიზო ფონდი 33640 ლარია.

შავი ზღვის საჭადრაკო ასოციაციის ჩემპიონატში დაითვლება ფიდეს რეიტინგი და დაწესდება საერთაშორისო წოდებათა ნორმატივები.

„მემედ აბაშიძის“ მემორიალში დაითვლება საერთაშორისო რეიტინგი სწრაფ ჭადრაკში.

ქალთა და ვაჟთა შორის შავი ზღვის ჩემპიონატები ფიდეს დროის ახალი კონტროლით გაიმართება.

ფესტივალში მონაწილეობა ყველა მსურველს შეუძლია.

ვიმედოვნებთ, რომ კომერციული ორგანიზაციები, ფირმები და კომპანიები გვერდში დაუდგებიან ფესტივალის ორგანიზატორებს, რათა ასპარეზობა მაღალ დონეზე გაიმართოს. ჩვენი მხრიდან კი შევეცდებით მაქსიმალური რეკლამა გავუწიოთ სპონსორებს პრესით და ტელევიზიით.

ცნობებისათვის მოგვმართეთ: ტ: 98-55-89, 99-84-00, 99-77-36.

# შინ და გარეთ

1. 16 – 25.05 საქართველოს პირველობა 14 წლის მოჭადრაკეთა შორის. ქუთაისი.

2. 18 – 23.05. შოთა ინწკირველის მემორიალი. თბილისი.

3. 28.05 – 4.06 ვახტანგ ქარსელაძის მემორიალი. თბილისი.

4. 1 – 16.06 ევროპის ჩემპიონატი ვაჟთა შორის. მაკედონია.

GCF ლა ზიერი
სარედაქციო კოლეგია: დავით გურგენიძე (რედაქტორი), ზურაბ აზმაიფარაშვილი, ნანა ალექსანდრია, ანზორ ბასილაია, გივი გამრეკელი, ნონა გაფრინდაშვილი, თენგიზ გიორგაძე, ბუხუტი გურგენიძე, ველიმირ კალანდაძე, გიორგი მახარაძე, კახა ჩიქოვანი.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## განცხადება

### ქ. თბილისის მერიის გლდანი-ნაძალადევის რაიონის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით ყოფილი ნაძალადევის რაიონის ტერიტორიის მწვანე ზოლის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვებზე

ქ. თბილისის მერიის გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობა აცხადებს ღია ტენდერს ყოფილი ნაძალადევის რაიონის ტერიტორიის მწვანე ზოლის ექსპლუატაციის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე.

შესყიდვის მოკლე დახასიათება:

სკვერი I კატ. — 20 ერთ. 13 ჰა;
სკვერი II კატ. — 17 ერთ. 13.7 ჰა;
სკვერი III კატ. — 10 ერთ. 8.5 ჰა;
გაზონი I კატ. — 23 ერთ. 7.8 ჰა;
გაზონი II კატ. — 12 ერთ. 20.8 ჰა;
გაზონი III კატ. — 23 ერთ. 4.35 ჰა;
ფერდობები I კატ. — 1 ერთ. 21 ჰა;
ბაღი — 1 ერთ. 1 ჰა;
ბულვარი — 3 ერთ. 0.57 ჰა;
დეკორატიული კუთხე I კატ. — 0.28 ჰა;
ყვავილნარი — 2 251 ძირი;
ვარდნარი — 11720 ძირი;
ხეების რაოდენობა (ფოთლოვანი) — 27 155 ძირი;
ხეების რაოდენობა (წიწოვანი) — 29356 ძირი;
ბუჩქები და სხვა ნარგავები — 25 003 ძირი.

- აგროვადების დაცვით უნდა მოხდეს მწვანე ნარგავების შემომარგვლის, გასხვლის, დარგვისა და გადაბელვის სამუშაოები;
- გამხმარი ხეებისაგან უნდა განთავისუფლდეს რაიონის ტერიტორია;
- სკვერები უნდა დასუფთავდეს სისტემატურად;
- სკვერებში უნდა მოხდეს სარწყავი სისტემების ფუნქციონირების უზრუნველყოფა;
- ვარდნარებსა და ყვავილნარებში აგროვადების დაცვით უნდა მოხდეს ორგანული და მინერალური სასუქების შეტანა;
- გზების გასწვრივ განთავსებული მწვანე ზოლის დასუფთავება უნდა მოხდეს ყოველდღე;
- სკვერებში და რაიონის ტერიტორიაზე განლაგებული გამხმარი ნარგავების შევსება უნდა მოხდეს ახლით;

მომსახურების გაწევის ვადაა გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი წელი.

ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს ან სხვა ქვეყნის იურიდიულ და ფიზიკურ პირებს.

ტენდერში გამარჯვებულთან გაფორმდება გენერალური ხელშეკრულება სამუშაოს შესრულების ზოგადი პირობებისა და ანაზღაურების წესის გათვალისწინებით. (ყოველკვარტალური) სამუშაო მოცულობები დაზუსტებული იქნება საანგარიშო პერიოდის დაწყებამდე საბიუჯეტო სახსრების ან სხვა ფინანსური შესაძლებლობების გათვალისწინებით.

საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასებისათვის ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირების მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს დასაბუთებული ინფორმაცია შემდეგზე:

- დარგში მუშაობის გამოცდილებისა და ტექნიკური აღჭურვილობის შესახებ;
- მოცემული მომენტისათვის განმცხადებლის ფინანსური მდგომარეობის შესახებ;
- ფინანსური საქმიანობის ანალიზი ბოლო სამი წლის მანძილზე საგადასახადო ინსპექციის მიერ დამტკიცებული ბალანსის ჩათვლით;
- ცნობა საქ. ნოტარიუსთა პალატიდან, რომ მის ქონებაზე არა არის დადებული ყადაღა;
- ცნობა სასამართლოდან ადგილმდებარეობის მიხედვით, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;
- ცნობა შესაბამისი სასამართლოდან და საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
- ცნობა შსს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ საწარმოს ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ ყოფილან მსჯავრდებულნი და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

საკვალიფიკაციო მონაცემებს თან უნდა ახლდეს წარმოდგენილი დოკუმენტების ნუსხა, ხელმოწერილი განმცხადებლის მიერ.

კვალიფიკაციის გასავლელად განმცხადებელმა უნდა დააკმაყოფილოს ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მოთხოვნა.

საკვალიფიკაციო შერჩევის შედეგად გამოვლენილ პრეტენდენტებს სატენდერო დოკუმენტაცია გადაეცემათ სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენისთანავე.

ტენდერში მონაწილეობისათვის დაწესებული მოსაკრებლის განაკვეთი შეადგენს 500 (ხუთასი) ლარს, რომელიც ირიცხება ქ. თბილისის მერიის საფინანსო სამმართველოს ანგარიშზე ანგ. №025130025 „საქართველოს ეროვნული ბანკის" საოპერაციო სამმართველოს, კოდი 220101107.

საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე.

საკვალიფიკაციო მონაცემების მიღების ვადაა განცხადების გამოქვეყნებიდან 18 (თვრამეტი) კალენდარული დღე. სატენდერო დოკუმენტაციის მიღების კონკრეტული ვადა პრეტენდენტებს ეცნობებათ საკვალიფიკაციო შერჩევის შედეგებთან ერთად, არა უმეტეს 5 (ხუთი) დღისა შეტყობინებიდან.

საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო დოკუმენტების მიღების ადგილია:

**ქ. თბილისი, სარაჯიშვილის გამზ. №1, მე-3 სართული, ოთახი №51-52 გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობა; ტელ: 62-64-15; 62-96-73.**

## განცხადება

### ქ. თბილისის მერიის გლდანი-ნაძალადევის რაიონის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით ყოფილი ნაძალადევის რაიონის ტერიტორიის დაგვა-დასუფთავების სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე

ქ. თბილისის მერიის გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობა აცხადებს ღია ტენდერს ყოფილი ნაძალადევის რაიონის ტერიტორიის დაგვა-დასუფთავების სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე.

შესყიდვის ობიექტის მოკლე დახასიათება:

მოსახვეტი ფართი I კატეგორია — 262,0 ათ. კვ. მ.
მოსახვეტი ფართი II კატეგორია — 140,0 ათ. კვ. მ.
ხევები და ფერდობები — 200,0 ათ. კვ. მ.
ნაგავშემკრები კონტეინერების რაოდენობა — 290 ცალი.
ზიდვის საშუალო მანძილი უახლოეს ნაგავსაყრელამდე შეადგენს 42 კმ.

— რაიონში განლაგებული I კატეგორიის ქუჩების დაგვა-დასუფთავება უნდა მოხდეს 2-ჯერ დღეში.
— II კატეგორიის ქუჩების დაგვა-დასუფთავება — ერთჯერ დღეში;
— ნაგავშემკრები კონტეინერებიდან მონახვეტის გატანა უნდა მოხდეს ყოველდღე ცენტრალური ქუჩების 9 სთ-მდე, შიდაკვარტალური 10 სთ-მდე.
— ნაგვის გატანისთანავე უნდა მოხდეს ნაგავშემკრები კონტეინერების ირგვლივ ტერიტორიის დასუფთავება-დერატიზაცია;
— ზაფხულის განმავლობაში საჭიროების შემთხვევაში უნდა მოხდეს ქუჩების მორეცხვა;
— ზამთრის პერიოდში საჭიროების მიხედვით უნდა მოხდეს ქუჩების ტროტუარების გაწმენდა თოვლისაგან;
— თოვლცვენისას და გაყინვისას ქუჩები უნდა დამუშავდეს მარილით;
— ნაგავშემკრები ბუნკერების ექსპლოატაცია-შეკეთება;
— ხევების და ფერდობების დასუფთავება სისტემატურად.

მომსახურების გაწევის ვადაა გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი წელი.

ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს ან სხვა ქვეყნის იურიდიულ და ფიზიკურ პირებს.

ტენდერში გამარჯვებულთან გაფორმდება გენერალური ხელშეკრულება სამუშაოს შესრულების ზოგადი პირობებისა და ანაზღაურების წესის გათვალისწინებით. ყოველთვიური (ყოველკვარტალური) სამუშაო მოცულობები დაზუსტებული იქნება საანგარიშო პერიოდის დაწყებამდე საბიუჯეტო სახსრების ან სხვა ფინანსური შესაძლებლობების გათვალისწინებით.

საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასებისათვის ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირების მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს დასაბუთებული ინფორმაცია შემდეგზე:

— დარგში მუშაობის გამოცდილებისა და ტექნიკური აღჭურვილობის შესახებ;
— მოცემული მომენტისათვის განმცხადებლის ფინანსური მდგომარეობის შესახებ;
— ფინანსური საქმიანობის ანალიზი ბოლო სამი წლის მანძილზე საგადასახადო ინსპექციის მიერ დამტკიცებული ბალანსების ჩათვლით;
— ცნობა საქ. ნოტარიუსთა პალატიდან, რომ მის ქონებაზე არა არის დადებული ყადაღა;
— ცნობა სასამართლოდან ადგილმდებარეობის მიხედვით, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანქციის საქმის წარმოება;
— ცნობა შესაბამისი სასამართლოდან და საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
— ცნობა შსს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ საწარმოს ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ ყოფილან მსჯავრდებულნი და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

საკვალიფიკაციო მონაცემებს თან უნდა ახლდეს წარმოდგენილი დოკუმენტების ნუსხა, ხელმოწერილი განმცხადებლის მიერ.

კვალიფიკაციის გასავლელად განმცხადებელმა უნდა დააკმაყოფილოს ყველა ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მოთხოვნა.

საკვალიფიკაციო შერჩევის შედეგად გამოვლენილ პრეტენდენტებს სატენდერო დოკუმენტაცია გადაეცემათ სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენისთანავე.

ტენდერში მონაწილეობისათვის დაწესებული მოსაკრებლის განაკვეთი შეადგენს 500 (ხუთასი) ლარს, რომელიც ირიცხება ქ. თბილისის მერიის საფინანსო სამმართველოს ანგარიშზე №025130025 „საქართველოს ეროვნული ბანკის" საოპერაციო სამმართველო, კოდი 220101107.

საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე.

საკვალიფიკაციო მონაცემების მიღების ვადაა განცხადების გამოქვეყნებიდან 18 (თვრამეტი) კალენდარული დღე. სატენდერო დოკუმენტაციის მიღების კონკრეტული ვადა პრეტენდენტებს ეცნობებათ საკვალიფიკაციო შერჩევის შედეგებთან ერთად, არა უმეტეს 5 (ხუთი) დღისა შეტყობინებიდან.

საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო დოკუმენტაციის მიღების ადგილია:

**ქ. თბილისი, სარაჯიშვილის გამზ. №1, მე-3 სართული, ოთახი №51-52 გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობა; ტელ: 62-64-15; 62-96-73.**

## სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო და მისი ტერიტორიული ორგანოები გიწვევთ აუქციონებსა და კონკურსებზე

| რაიონი | ობიექტი | საწყისი გასაყიდი ფასი (აშშ დოლარი) |
|---|---|---|
| თბილისი | ს/ს "ჰიდროსპეცგვირაბმშენის" სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქციათა საკონტროლო პაკეტის 90% (269 973 ცალი აქცია) ჭავჭავაძის გამზ. №50 | 122000 |
| | ს/ს "ჯ.ტ.ს."-ს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქციათა საკონტროლო პაკეტი (საწ. კაპიტ. 50,3%, 762 600 ცალი აქცია) ქ. ახალქალაქი, ალმაშენებლის ქ. მე-3 ქ. | 146654 |
| | ს/ს "მეტალურგრემონტის" სახ. საკუთრებაში არსებ. აქციათა საკონტროლო პაკეტი (საწესდებო კაპიტალის 50,3%, 185 800 ცალი აქცია) ქ. რუსთავი, გაგარინის ქ.№2 | 100435 |
| | ს/ს "კობის" სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქციათა საკონტროლო პაკეტი (საწესდებო კაპიტალის 50,3%, 192 250 ცალი აქცია) წერეთლის გამზ. №115 | 24775 |
| | ს/ს "სპეცმშენის" სახ. საკუთრებაში არსებული აქციათა საკონტროლო პაკეტი (საწესდებო კაპიტალის 50,7%, 14 000 ცალი აქცია) ქ. ხონი, ქაცარავას ქ.№9 | 7820 |
| | თბილისის სახ. სამედიცინო უნივერსიტეტის გ. ჟვანიას სახელ. პედიატრიული კლინიკის 5-სართ.-ნი კორპუსის I სართ. არსებ. 100 კვ.მ. ფართის იჯარა 5 წლით | 600 წლიური ქირა |
| | შ.პ.ს. "ახალმშენის" სახ. საკუთრებაში არსებული სახელმწიფო წილი 100% | 1070 |
| | ს/ს "ბროილერის" სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქციათა საკონტროლო პაკეტი (საწესდებო კაპიტალის 50,31%, 720 000 ცალი აქცია), სოფ. გამარჯვება | 182556 |
| | თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის 270 კვ.მ. ფართის (ი. ჭავჭავაძის გამზ. №32) იჯარა 5 წლით | 2500 წლიური ქირა |
| | ყოფილი ეკონომიკის სამინისტროს სხვენზე 15 კვ.მ. ფართის (ჭანტურიას ქ. №12) იჯარა 5 წლით | 2000 წლიური ქირა |
| | ს/ს ნავთობის ეროვნული კომპანია "საქნავთობის" ბალანსზე რიცხული, გარდაბნის რაიონში, ვაზიანის ტერიტორიაზე მდებარე "სერვისცენტრის" შენობა | 11000 |
| ადიგენი | აბასთუმნის სანატორიუმების საკურორტო გაერთიანების 4-სართულიანი სასტუმრო | 10559 |
| | აბასთუმნის საბინაო-კომუნ. მეურნ. სახლის არასაცხ. ფართი რუსთაველის ქ. №80 | 269,9 |
| | აბასთუმნის საბინაო-კომუნ. მეურნ. სახლის არასაცხ.ფართი რუსთაველის ქ.№94-ში | 317,5 |
| | აბასთუმნის სანატორიუმების საკურორტო გაერთიანების პროდუქტების საწყობი | 994 |
| | აბასთუმნის საბინაო-კომუნ. მეურნ. სახლის არასაცხ. ფართი რუსთაველის ქ.№16-ში | 625 |
| | აბასთუმნის საბინაო-კომუნ. მეურნ. სახლის საცხ. ბინა რუსთაველის ქ. №16-ში | 596 |
| წალკა | ოლიანკის ყველ-კარაქის ქარხანა (სოფ. ოლიანკა) | 7414,3 |
| | საინკუბაციო საამქროს შენობა (ქ. წალკა) | 108,5 |
| | არსარვანის ყოფილი სახ. მეურნეობის შენობა | 324,5 |
| | სოფ. ტექნიკის მეტალის კონსტრუქციები | 7979,5 |
| ხარაგაული | წყალაფორეთის სადურგლო სახელოსნო | 63,5 |
| | სახაზ. საწ. "საქკომუნარმშენის ხარაგაულის წარმომადგენლობა" | 4643 |
| ახალციხე | საქვაბე (თამარაშვილის ქ. №5) | 595 |
| | საქვაბე (მერაბ კოსტავას ქ.№10) | 1368 |
| ასპინძა | ყოფილი სახაზინო საწარმო "სოფტექნიკის" სამართალმემკვიდრე შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "მექანიზატორის" 100% სახელმწიფო წილი | 2976 |
| | საქსოფლდამზადების ადმინისტრაციული შენობა (ყაზბეგის ქ. №3) | 401 |

შენიშვნა: ნუსხაში მოყვანილი ობიექტების ღირებულების დაფარვა მოხდება ეროვნულ ვალუტაში შესაბამისი კურსით.

კონკურსისა და აუქციონის წესით პრივატიზებული იქნება თბილისში, ზესტაფონის, ტყიბულის, ასპინძის რაიონებში განლაგებული სახელმწიფო ქონება.

აუქციონი ნულოვანი საწყისი ფასით, რომელზეც გამოტანილი იქნება ამორტიზებული და ფიზიკურად გაცვეთილი ობიექტები მოეწყობა დმანისში, ახალციხეში, ადიგენში და ხარაგაულში.

აღნიშნულ საპრივატიზებო ობიექტებზე დაწვრილებითი ინფორმაცია გამოქვეყნებულია გაზეთ „მესაკუთრის" 23 მარტის №12-ში.

## განცხადება

### „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის სახელმწიფო სამსახურის ბიურო აცხადებს კონკურსს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე:

1. საერთაშორისო ეკონომიკურ-ურთიერთობათა დეპარტამენტის ევრაზიული სატრანსპორტო-საკომუნიკაციო სისტემის სამმართველოს მრჩეველი – 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო – 47 ლარი);
2. საკონსულო დეპარტამენტის საკონსულო-სამართლებრივი სამმართველოს უფროსის მოადგილე – 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო – 81 ლარი, 65 თეთრი);
3. საგარეო დახმარების კოორდინაციის დეპარტამენტის ფინანსური სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველოს უფროსი – 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო – 66 ლარი);
4. პრესცენტრის მრჩეველი – 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო – 47 ლარი);
5. პრესცენტრის III მდივანი – 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო – 38 ლარი);
6. მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტის კომპიუტერული ტექნიკისა და ორგტექნიკის მომსახურების სამმართველოს უფროსის მოადგილე – 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო – 59 ლარი, 40 თეთრი);

**კონკურსის პირობები:**

კონკურსი სახელმწიფო თანამდებობის დასაკავებლად (შემდგომ – კონკურსი) უზრუნველყოფს სახელმწიფო სამსახურის თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველასათვის.

კონკურსი ეწყობა იმ პირებს შორის, რომლებიც შეიტანენ განცხადებას კონკურსში მონაწილეობის მისაღებად და დააკმაყოფილებენ საკონკურსო მოთხოვნებს.

კონკურსში მონაწილეობა შეიძლება მიიღონ როგორც სახელმწიფო მოსამსახურეებმა, დაკავებული სახელმწიფო თანამდებობის მიუხედავად, ისე პირებმა, რომლებიც არ იმყოფებიან სახელმწიფო სამსახურში, არიან საქართველოს მოქალაქეები, ფლობენ საქართველოს სახელმწიფო ენას.

კანონის შესაბამისად, მისაღები კანდიდატების ასაკი განსაზღვრულია ქალებისთვის 21-დან 60 წლამდე, მამაკაცებისათვის 21-დან 65 წლამდე.

დიპლომატიურ თანამდებობაზე არ დაინიშნებიან საქართველოს მოქალაქეები, რომელთაც არ აქვთ გავლილი სამხედრო სავალდებულო სამსახური, გარდა იმ პირებისა, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობით განთავისუფლებული არიან აღნიშნული სამხედრო სამსახურიდან.

**საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**

● *საერთაშორისო ეკონომიკურ-ურთიერთობათა დეპარტამენტის ევრაზიული სატრანსპორტო-საკომუნიკაციო სისტემის სამმართველოს მრჩევლის თანამდებობაზე:*
– უმაღლესი განათლება, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ან საერთაშორისო სამართლის სპეციალობით:
– ინგლისური და სხვა რომელიმე ევროპული ენის ცოდნა;
– კომპიუტერზე მუშაობის ცოდნა;
– სპეციალობით მუშაობის არანაკლებ ორი წლის გამოცდილება.

● *საკონსულო დეპარტამენტის საკონსულო-სამართლებრივი სამმართველოს უფროსის მოადგილის თანამდებობაზე:*
– უმაღლესი განათლება, იურისტის ან საერთაშორისო სამართლის სპეციალობით;
– ინგლისური და ფრანგული ენების ცოდნა;
– კომპიუტერზე მუშაობის ცოდნა;
– საერთაშორისო სამართლის სფეროში მუშაობის არანაკლებ ორი წლის გამოცდილება.

● *საგარეო დახმარების კოორდინაციის დეპარტამენტის ფინანსური სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე:*
– უმაღლესი განათლება, ეკონომიკური ან ფინანსისტის სპეციალობით;
– ინგლისური ენის ცოდნა;
– კომპიუტერზე მუშაობის ცოდნა;
– საგარეო ურთიერთობების სფეროში მუშაობის არანაკლებ ორი წლის გამოცდილება.

● *პრესცენტრის მრჩევლისა და პრესცენტრის III მდივნის თანამდებობაზე:*
– უმაღლესი განათლება, ჟურნალისტიკის ან საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობით;
– ინგლისური და სხვა რომელიმე ევროპული ენის ცოდნა;
– კომპიუტერზე მუშაობის ცოდნა;
– საინფორმაციო საშუალებებში მუშაობის არანაკლებ ორი წლის გამოცდილება.

● *მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტის კომპიუტერული ტექნიკისა და ორგტექნიკის მომსახურების სამმართველოს უფროსის მოადგილის თანამდებობაზე:*
– უმაღლესი განათლება, ინფორმატიკის, გამოთვლითი მათემატიკის ან გამოყენებითი მათემატიკის სპეციალობით;
– ინგლისური ენის ცოდნა;
– კომპიუტერზე მუშაობის ცოდნა.

კონკურსს ატარებს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონკურსო-საატესტაციო კომისია.

საკონკურსო-საატესტაციო კომისია სახელმწიფო თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის მონაწილეთა შეფასებას ახდენს განათლების, კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტების, სახელმწიფო სამსახურის გავლის, შრომითი საქმიანობის შესახებ მონაცემების საფუძველზე.

კონკურსის მონაწილეები გაივლიან ატესტაციას (ტესტირებას უცხო ენაში).

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს კადრებთან მუშაობის დეპარტამენტში წერილობით განცხადებასთან ერთად უნდა წარადგინონ შემდეგი საბუთები:

1. ავტობიოგრაფია;
2. განათლების ან შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი მოწმობა;
3. უკვე გაცემული შრომის წიგნაკი.

საბუთები მიიღება ორი კვირის ვადაში განცხადების გამოქვეყნების დღიდან.

კონკურსი მოეწყობა განცხადების გამოქვეყნების დღიდან სამი კვირის შემდეგ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში.

კონკურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში გამარჯვებულმა ორ კვირაში უნდა წარმოადგინოს დამატებითი საბუთები („საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად).

**დაწვრილებითი ცნობებისათვის შეგიძლიათ მიმართოთ საკონკურსო-საატესტაციო კომისიას შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ჩიტაძის ქ. № 4, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. ტელ: 98-93-81; 98-93-51. კადრებთან მუშაობის დეპარტამენტი.**

**საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის სახელმწიფო სამსახურის ბიურო.**

## განცხადება

### „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის სახელმწიფო სამსახურის ბიურო აცხადებს კონკურსს მცხეთის რაიონული სასამართლოს აპარატის შემდეგ ვაკანტურ თანამდებობაზე:

**სასამართლო სხდომის მდივანი** – 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო – 100 ლარი);

**კონკურსის პირობები:**

კონკურსი სახელმწიფო თანამდებობის დასაკავებლად (შემდგომ – კონკურსი) უზრუნველყოფს სახელმწიფო სამსახურის თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველასათვის.

კონკურსი ეწყობა იმ პირებს შორის, რომლებიც შეიტანენ განცხადებას კონკურსში მონაწილეობის მისაღებად და დააკმაყოფილებენ საკონკურსო მოთხოვნებს.

კონკურსში მონაწილეობა შეიძლება მიიღონ როგორც სახელმწიფო მოსამსახურეებმა, დაკავებული სახელმწიფო თანამდებობის მიუხედავად, ისე პირებმა, რომლებიც არ იმყოფებიან სახელმწიფო სამსახურში, არიან საქართველოს მოქალაქეები, ფლობენ საქართველოს სახელმწიფო ენას.

კანონის შესაბამისად, მისაღები კანდიდატების ასაკი განსაზღვრულია ქალებისათვის 21-დან 60 წლამდე, მამაკაცებისათვის 21-დან 65 წლამდე.

**საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**

● *სასამართლო სხდომის მდივნის თანამდებობაზე:*
– კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს პირს, რომელსაც, როგორც წე-, სი, გავლილი აქვს სასწავლო კურსი სამოსამართლეო სწავლების ცენტრში ან აქვს სხდომის მდივნად მუშაობის არანაკლებ ერთი წლის გამოცდილება.

კონკურსს ატარებს მცხეთის რაიონული სასამართლოს საკონკურსო-საატესტაციო კომისია.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა მცხეთის რაიონულ სასამართლოში წერილობით განცხადებასთან ერთად უნდა წარადგინონ შემდეგი საბუთები:

1. ავტობიოგრაფია;
2. განათლების ან შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი მოწმობა;
3. უკვე გაცემული შრომის წიგნაკი.

საბუთები მიიღება ორი კვირის ვადაში განცხადების გამოქვეყნების დღიდან.

კონკურსი მოეწყობა განცხადების გამოქვეყნების დღიდან სამი კვირის შემდეგ.

კონკურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში გამარჯვებულმა ორ კვირაში უნდა წარმოადგინოს დამატებითი საბუთები („საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად).

**დაწვრილებითი ცნობებისათვის შეგიძლიათ მიმართოთ საკონკურსო-საატესტაციო კომისიას შემდეგ მისამართზე: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17 მცხეთის რაიონული სასამართლო. ტელ: 23-09.**

**საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის სახელმწიფო სამსახურის ბიურო**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ალბომში

# ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



ცოლ-ქმარი ოლინკა და ანთიმოზ გურგენიძეები. 1928 წელი.

სურათი მოგვაწოდა შვილიშვილმა მაია გურგენიძემ.

## ღიმილის დოზა



ერთი ახალი რუსი მეორეს სასესხებლად ფულს სთხოვს:
— ვთქვათ, გასესხე, რა გარანტიას მაძლევ, რომ დამიბრუნებ?
— პატიოსანი კაცის სიტყვას.
— კარგი! აი, ამ საღამოს მომიყვანე ის პატიოსანი კაცი — შევხედავ, გავიცნობ, დაველაპარაკები.

* * *

ცოლი — ქმარს:
— მიყიდე მანქანა, მოვივლით მსოფლიოს, ქვეყანას ვნახავთ.
— რომელს? ამ ქვეყანას თუ იმ ქვეყანას.

* * *

— ექიმო, მე ღორი ვარ!
— ხდება ხოლმე, მაგრამ არც მე ვარ ფრთიანი ანგელოზი.
— არა, ბატონო, ნამდვილი ღორი ვარ. ვღრუტუნებ, ტლაპოში ვწვები. ღობეზე გვერდებს ვიფხან... ექიმო, მიმკურნალებთ?
— რატომ? გაგასუქებთ საახალწლოდ...

## რადიო „აუდიენციის“ მსმენელთა საყურადღებოდ!

საქართველოს დამოუკიდებლობის 10 წლისთავთან დაკავშირებით, ზუსტად ერთ თვეში, 27 მაისს სტუდია „აუდიენცია“ ხსნის ახალ ქართულ რადიოს ტალღაზე FM-105.9.

## განცხადება

ქალაქის სატელეფონო ქსელი აცხადებს, რომ ქსელის სატრანზიტო ხაზების გამოყენებით დადგმული ტელეფონების დაზიანების ბიუროს ნომრის — 909-ის შეცვლის გამო, ვთხოვთ, ელექტრონული ატესებიდან (ატს-22, 23, 25, 92, 93, 98, 99, 94, 95, 96) ქალაქის სხვადასხვა რაიონებში ტრანზიტული ხაზების გამოყენებით დადგმული ტელეფონების მფლობელებმა მ. წ. 1 მაისიდან ტელეფონების დაზიანების შემთხვევაში დარეკონ ქსელის დაზიანების ბიუროში ნომერზე 9059. სამუშაო დღეებში — 9 საათიდან 20 საათამდე, შაბათს — 9 საათიდან 15 საათამდე. კვირა დასვენების დღეა.

ადმინისტრაცია.

## დიდების ზღაპარი

# ინკვიზიცია

მეთექვსმეტე საუკუნის ევროპაში ინკვიზიცია მძვინვარებს — ხალხს ხმამაღლა ლაპარაკის ეშინია, თუმცა, არც ხმადაბლა ლაპარაკია რეკომენდებული. წმინდა ინკვიზიცია კი ჯურღმულებს ათვალიერებს:

— როგორ ხარ, ძმაო, თარგამაზო?

— არა გვიშავს, ვართ რა, ტანჯვა-წამებაში. ხან ჩვენ ვაწამებთ იმათ, ხან იმათ ვაწამებთ ჩვენ.

— მაინც რა საშინელ პირობებში უხდებათ ცხოვრება ჩვენს პატიმრებს...

— კი, როგორ არა, აი, ვიღაც კაცს „ვანაში“ ახრჩობენ.

— ეგ ვიღაცა კი არა, არქიმედეა. მაგან ისეთი რამე თქვა, დავახრჩობ კი არა, მეტსაც ვუზამ.

— კი მაგრამ, რა თქვა ასეთი?

— „ვანაში“ ჩახტა და იყვირა „ევრიკაო“!

— „ევრიკაო“? არ გადამრიო, ხედავ, როგორ გაბლატავდნენ ეს ერეტიკოსები?!

— ჰოდა, რომ გაბლატავდნენ, იმიტომაც ვუმონტაჟებთ ძმა მიშელ დე სააკაშვილის შხაპებს, ოღონდ თავდაყირა.

— როგორ თუ თავდაყირა?

— როგორ და, „დუში“ იატაკზე დამონტაჟდება და წყალს ზემოთ მიასხამს, ტუსაღს კი თავდაყირა დავკიდებთ, — ვნახოთ ერთი, როგორ იბანავებს.

ჯორდანო ბრუნოს კი, „ნა ვერტილე“ ატრიალებენ. ჯურღმულების შემდეგ წმინდა ინკვიზიცია სასამართლოს დარბაზს ეწვია: — „დაწექით, უკაცრავად, ადექით, წმინდა ინკვიზიცია მოდის“! და პროცესიც იწყება:

— ბრალდებულმა მერაბინო დელ ვანომ, ანუ ვანო დისტეფანომ, ყოფილმა ძმამ, აღიარა დანაშაული და სულგრძელად ითხოვა პატიება, მაგრამ ჩვენ სულგრძელად უარი ვუთხარით და გადავწყვიტეთ კოცონზე დავწვათ.

— მე მგონი, კოცონზე დაწვა ძალიან ჰუმანურია და, უმჯობესია, ჯერ ენა ამოვაგლიჯოთ „პლასკაგუბცით“.

— „პლასკაგუბცით“ კი არა, ბრტყელტუჩათი, ძმაო თარგამაზო.

— კი, გენაცვალე, ძმაო ქვაჩნესკო, ბრტყელი ტუჩებიც ავახიოთ, პაგონებივით.

— სწორია, თორემ იმსიგრძე ენა აქვს, რომ ვაშინგტონის მთავარ პოსტს მისწვდა.

— ენა რომ აღარ ექნება, მერე ვნახოთ, სად რას მისწვდება.

— მართალია, ენით ვერ მისწვდება, მაგრამ ხელები ხომ დარჩება, — დაწერს კიდევ რამეს და თავს მოგვჭრის.

— ჰოდა, სანამ ეგ მოგვჭრის თავს, ჩვენ მოვაჭრათ ხელები, ნაჯახით.

— ძმებო, აქ იასნია, რომ ჩვენი ვანო დი სტეფანოს ბედი გადაწყვეტილია, მაგრამ ველურები ხომ არა ვართ, რომ ადვოკატის გარეშე მოვეხარშოთ, ტო ესტ, შევწვათ, ნუ ვობშემ, ჩავაბასტურმოთ პატიმარი?

არავის სურს მისი დაცვა, მაგრამ მოულოდნელად გამოჩნდება „ეული რაინდი ედუარდო დი აივენგო“, რომელიც განაცხადებს:

— კაცო, გაუშვით, მაგას ვაშინგტონში პოსტის დაკავება უნდოდა და იმიტომ მოუვიდა მაი ამბავი.

— აბა, ტყუილად შევიკრიბეთ?

— რატომ ტყუილად? ჩვენ უფრო სერიოზული საქმე გვაქვს — დროა სახელმწიფოში პოლიტიკური ძალაუფლების გადანაწილებაზე ვიზრუნოთ.

— ეხლა იწყება თავდავიწყება!

— სიწყნარე დარბაზში!

— სიწყნარე კარგია — ქვეყანაში ხელისუფლება სამ ნაწილად უნდა გაიყოსო და ხმაური აწი ნახე.

— დაწყნარდით, კოლეგა ინკვიზიტორებო, — როგორც ჩვენი რაინდი ამბობს, ძლიერი პრეზიდენტი, ძლიერი პარლამენტი და ძლიერი პრემიერ-მინისტრი ქვეყნის სიძლიერის გარანტიაა.

— კი, როგორ არა, აქამდე რაც იყო, იმან ხომ აგვაშენა, ეხლა პრემიერ-მინისტრიც დაგვემატება და ვიქნებით არხეინად.

ზოგიერთი არარსებულ თანამდებობაზე შესაძლო კანდიდატურათა შესახებაც კი იწყებს მსჯელობას, მაგრამ:

— ჯერ რა დროს კანდიდატურებია?! ჯერ ძალაუფლების გადანაწილებაზე და კაბინეტის მოწყობის მოდელზე ვიმსჯელოთ.

— კაბინეტის მოწყობა ჩვენზე იყოს. ისეთ კაბინეტს მოგიწყობთ, რომ გამოსვლა აღარ მოგინდებათ.

— კაბინეტის მოწყობაში მე იმას ვგულისხმობ, თუ როგორ უნდა გადანაწილდეს ძალაუფლება პრეზიდენტს, პარლამენტსა და პრემიერ-მინისტრს შორის. რას იტყვით, ნეტარო ძმებო, რომელი ქვეყნის მოდელის მიხედვით მოვაწყოთ კაბინეტი?

ცხადია, ინკვიზიტორები, აზრს გამოთქვამენ — ზოგიერთს ირანული მოდელი მოსწონს, ზოგიერთს აპაჩის ტომის ინდიელების, ზოგსაც გრენლანდიისა. ზოგიერთი წინადადებით შედის, რომ პრეზიდენტს მიენიჭოს პარლამენტისა და პრემიერ-მინისტრის დაშლის უფლება, მით უფრო, რომ „პრემიერ-მინისტრის დაშლაც შეიძლება, სხვათა შორის, თუ მოინდომებ, ორ ნაწილად — პრემიერად და მინისტრად“.

— მოიცა, კაცო, დავუშვათ პრეზიდენტს მიენიჭა დანარჩენი ორი უწყების დაშლის უფლება, აწყობის უფლება ვიღას უნდა მივანიჭოთ?

— როგორც დაშლის, ისევე აწყობის უფლება პრეზიდენტს უნდა მიენიჭოს.

— ესე იგი, როცა უნდა დაშლის, როცა უნდა ააწყობს?! კუბიკ-რუბიკია, ოხერი?

— რატომ, კაცო, პრეზიდენტს შეუძლია დაშალოს და აღარ ააწყოს.

— აბა, მაგის ამბავი რომ ვიცი, ისე დაშლის, კაციშვილი ვეღარ ააწყობს.

— თუ პრეზიდენტს ექნება პარლამენტის დაშლის უფლება, მაშინ პარლამენტს უნდა მიენიჭოს მინისტრთა კაბინეტის დაშლის უფლება.

— ჰოდა, რა, არ შეიძლება ჩვენც გვქონდეს ვინმეზე „ვლასტი“?

თუ გაინტერესებთ რა დასკვნამდე მივლენ, ვის ვისი დაშლისა და დათხოვნის უფლება მიენიჭება და საერთოდ, როგორ გადაწყდება ეს საკითხი, უყურეთ „დიდების ზღაპრის“ ახალ სერიას (რომელიც გია კაჭარავამ თავისი და ილია და ალექსანდრე ჯიბლაშვილების სცენარის მიხედვით გადაიღო) კვირას, 29 აპრილს საქართველოს ტელევიზიის პირველი არხის საღამოს ეთერში.

**„დიდების ზღაპრის“ ხელმძღვანელია ქეთი დუმბაძე, დირექტორი ირაკლი ქინქლაძე.**

* * *

**„დიდების ზღაპრის“ გენერალური სპონსორია „დიო“, სპონსორი ფიჭური კავშირგაბმულობის კომპანია „მაგთი GSM“. „დიდების ზღაპრის“ საინფორმაციო მხარდაჭერას უზრუნველყოფენ რადიო „აუდიენცია“ FM 105.9 და გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“.**

ტანჯვა წამებაშვილი.



## სპორტი

# თამაშს მწვრთნელებიც აგებენ



კალათბურთელ ვაჟთა X ეროვნული ჩემპიონატის „პლეი-ოფები“ საგულისხმო ფაქტით დაიწყო: რუსთავის „აზოტისა“ და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდის ნახევარფინალური წყვილის პირველ მატჩში ქვეყნის ვიცეჩემპიონები ქლენტისა და ჯაფარიძის ძალისხმევით მეორე პერიოდში დიდი უპირატესობით დაწინაურდნენ 40:19, მაგრამ ამ დროს სტუმართა თავკაცმა ოთარ ხმელიძემ საბედისწერო შეცდომა დაუშვა: მოედნიდან ზემოთ დასახელებული დუეტის ერთდროულად გაყვანას ხოშტარიას, დავითულიანისა და კორძაძის გააქტიურება მოჰყვა, რაც უმალვე აისახა ტაბლოზე — 30:42 (დიდ შესვენებაზე). მართალია, გამოცდილმა სპეციალისტმა მეორე ნახევრის დასაწყისიდანვე დააბრუნა ბრძოლაში თავისი კლუბის ლიდერები, მაგრამ ერთხელ მოშლილი მექანიზმის ხელმეორედ აწყობა მათ ვეღარ მოახერხეს. სტუდენტებმა მოიგეს ეს დრამატული დუელი — 77:72 და სერიაში დაწინაურდნენ — 1:0. დღეს ვერის ბაღში ითამაშებენ „მაქაბი“ — „ბასკო“ (14 საათზე) და „აზოტი“ — სტუ (16 საათზე).

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

## მოკლედ

გაიმართა ფეხბურთელთა მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის XII ტურის შესარჩევი მატჩები სამხრეთ ამერიკის ზონაში. გაუწყებთ მათ შედეგებს:

ბოლივია — არგენტინა 3:3,
ბრაზილია — პერუ 1:1,
ეკვადორი — პარაგვაი 2:1,
ვენესუელა — კოლუმბია 2:2,
ჩილე — ურუგვაი 0:1.

ლიდერთა ჯგუფი: არგენტინა — 29, პარაგვაი — 23, ეკვადორი — 22, ბრაზილია — 21 ქულა.

ბომბარდირები: რომარიო (ბრაზილია), კრესპო (არგენტინა), დელგადო (ეკვადორი) — 8-8 გოლი.

## ხსოვნა

# გურამ მჭედლიშვილი



ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საგარეჯოს რაიონული საბჭოს აღმასკომის ყოფილი თავმჯდომარე **გურამ ნიკოლოზის ძე მჭედლიშვილი.**

ჩვენს რიგებს გამოაკლდა ღვაწლმოსილი სამეურნეო და საბჭოთა მუშაკი, ღირსეული მამულიშვილი, კეთილშობილი და ჭეშმარიტად პატრიოტი მოქალაქე, სათნო და გულისხმიერი პიროვნება, რომელმაც უმწიკვლოდ და სამაგალითოდ განვლო თავისი შინაარსიანი ცხოვრება.

დაიბადა 1935 წელს თბილისში. 1957 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამთო გეოლოგიის ფაკულტეტი. იმავე წელს მუშაობა დაიწყო ინსტიტუტ „საქსახპროექტში“ ინჟინრად, სხვადასხვა დროს მუშაობდა ამავე ინსტიტუტში სპეცსამუშაოების ხარჯთაღრიცხვის წამყვან ინჟინრად, სამთო განყოფილების მთავარ ინჟინრად, ჯგუფის ხელმძღვანელად, 1967 წელს უნარიანი და ენერგიული სპეციალისტი ბაკურიანის ანდეზიტის საწარმოს კარიერის დირექტორად დანიშნეს, ხოლო ერთი წლის შემდეგ — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის წითელწყაროს კარიერის სამმართველოს უფროსად დააწინაურეს.

1973 წელს, როგორც კარგი ორგანიზატორი და აქტიური პიროვნება, აირჩიეს საქართველოს კპ წითელწყაროს რაიკომის მდივნად, 1976 წლის ივნისიდან კი — საგარეჯოს რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ.

სწორედ ამ თანამდებობაზე მუშაობის 10 წლის მანძილზე გამოიჩინა თავი გურამ მჭედლიშვილმა, როგორც ერუდირებულმა, მაღალი პასუხისმგებლობის მქონე, კეთილსინდისიერმა და გულისხმიერმა ხელმძღვანელმა მუშაკმა. დიდი იყო მისი პირადი წვლილი იმ წარმატებებში, რასაც იმ წლებში მიაღწია საგარეჯოს რაიონმა სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებაში. რაც მთავარია, იგი იყო უშუალო მონაწილე და ერთ-ერთი ორგანიზატორთაგანი დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის აღდგენითი სამუშაოებისა, ამ უნიკალური ისტორიული ძეგლის გადარჩენის, კეთილმოწყობისა და პოპულარიზაციის მიზნით გაწეული დიდი მასშტაბის ღონისძიებებისა, სოფელ უდაბნოსა და აქ განხორციელებული დიდი მოცულობის აღმშენებლობითი სამუშაოებისა, ამ სოფელში ახალმობინადრეთა ჩასახლებისა და მათთვის ნორმალური საყოფაცხოვრებო პირობების შექმნისა, რისთვისაც აქაურებისა და ყველა საგარეჯოელის დიდი მადლიერება, სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.

ჯანმრთელობის მდგომარეობის უკიდურესად გაუარესების მიუხედავად, სიცოცხლის ბოლო დღეებამდე ერთი წუთითაც არ განელებია ინტერესი რესპუბლიკაში მიმდინარე გარდაქმნის პროცესების მიმართ, კავშირი არ გაუწყვეტია რაიონის აქტივთან, ყოფილ კოლეგებთან, დღევანდელ ხელმძღვანელობასთან. უზიარებდა მათ თავის ფიქრებსა და მოსაზრებებს, იძლეოდა კეთილ რჩევებს, ყველას აქტიური ცხოვრების სტიმულს აძლევდა.

ამიტომაც ამ კეთილშობილი და ღირსეული მამულიშვილის ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი მეგობრების, კოლეგებისა და ნაცნობების გულში.

ღმერთმა ნათელში დაამკვიდროს ბატონი გურამის ლამაზი და ძლიერი სული.

კახეთის სამხარეო ადმინისტრაცია, საგარეჯოს რაიონის გამგეობა, საგარეჯოს რაიონის საკრებულო.

## მუსიკა

# როცა გული გულობს...

საქართველოსა და ისრაელის, ქართველი და ებრაელი ხალხების მრავალსაუკუნოვანი მეგობრობა საყოველთაოდ არის ცნობილი და სანიმუშო. ამიტომ, არ არის საოცარი, რომ საქართველოში, ტრადიციულად, წლეულსაც აღინიშნა ისრაელის დამოუკიდებლობის დღე 26 აპრილს. აღინიშნა ორიგინალურად, მეგობრული ფესვების გათვალისწინებით.

27 აპრილს თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში გამართული საღამოც, რომლის ინიციატორი საქართველოში ისრაელის საელჩო იყო, მხარდამჭერნი კი სარეკლამო კომპანია „ალმა+“ და „კლასიკ ოტელი“, სწორედ ურყევი მეგობრობის ნიმუშია, რადგან სცენაზე ერთად მუსიცირებდნენ ქართველი და ებრაელი მუსიკოსები. ცხადია, ეს კონცერტი ისრაელის დამოუკიდებლობის დღეს მიეძღვნა. საქართველოს ევგენი მიქელაძის სახელობის სახელმწიფო სიმფონიურ ორკესტრს (სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორი ვახტანგ მაჭავარიანი, დირექტორ-მენეჯერი თამარ იოსებაშვილი) დირიჟორობდა ისრაელიდან საგანგებოდ ამ კონცერტისთვის ჩამოსული მუსიკოსი რობერტ კანეტი, რომელიც იმ საღამოს ორ სხვადასხვა ამპლუაში წარსდგა აუდიტორიის წინაშე, უწინარესად, როგორც დირიჟორი და, აგრეთვე, როგორც მევიოლინე, როდესაც თავის თანამემამულე ბელა პოლოსოვასთან ერთად ააჟღერა ბახის კონცერტი ორი ვიოლინოსთვის. ბახის მუსიკა მხოლოდ ამ ქმნილებით არ ამოწურულა კონცერტზე — შესრულდა „ბრანდენბურგის“ მესამე კონცერტიც.

შოპენის მეორე საფორტეპიანო კონცერტი ქართველმა პიანისტმა ანი ტაკიძემ დაუკრა, ცხადია, რობერტ კანეტის დირიჟორობით.

სტუმრებმა ქართული ორკესტრის შესრულებით მოისმინეს მოცარტის ოცდამეთხუთმეტე ე. წ. „ჰაფნერ-სიმფონიის“ რობერტ კანეტისეული ინტერპრეტაცია.

სიმბოლური იყო ებრაელი კომპოზიტორის ცვი ავნის სიმპათიური თხზულების — „ლოცვის“ აჟღერებაც.

ამ კონცერტის მეოხებით კიდევ ერთი ლამაზი ფურცელი შეემატა ორი ქვეყნისა და ორი ხალხის ურყევი მეგობრობის ჭეშმარიტად მშვენიერ მატიანეს.

ზურაბ ოიკაშვილი.



სურათზე: რობერტ კანეტი და ბელა პოლოსოვა.

ჯავარ ლომაძის ფოტო.

## გამოცა

# გუმისთის სინანულის სანაპირო შერიგების ადგილი გახდება





მკითხველმა მიიღო **იოსებ არჩვაძის** მცირეფორმატიანი (მაგრამ ერთობ ღრმაშინაარსიანი) ნაშრომი **„მშვიდობით, იარაღო — გამარჯობა, აფხაზეთო, შენი“** (აფხაზეთში კონფლიქტის არსისა და მისი მოწესრიგების მოდელის შესახებ). მათში გადმოცემულია ავტორისეული დამოკიდებულება აფხაზეთის პრობლემებისადმი და მისი გადაჭრის საკუთარი კონცეფციური სქემა. იგი საყურადღებოა როგორც კონფლიქტის მოწესრიგებასთან დაკავშირებული სტრუქტურებისათვის, ისე ამ პრობლემით დაინტერესებული საზოგადოებისათვის.

აფხაზურ მხარესთან მოლაპარაკების შედეგი უნდა იყოს არა მარტო პრობლემის პოლიტიკური მოწესრიგება და დევნილთა დაბრუნება, არამედ ქართველებთან ერთიანი სახელმწიფოს ფარგლებში ცხოვრებაზე აფხაზების დათანხმებაც. აფხაზურ მხარეს, ეთნოსს თვითმყოფადობის შენარჩუნების და განვითარებისათვის უნდა მიეცეს მყარი სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი გარანტიები, გამოხატული კონსტიტუციური აქტით და შესაბამისი ორგანული კანონით.

ავტორის აზრით, ამოსავალი დებულება დევნილი მოსახლეობის დაბრუნებისა უნდა იყოს დაპირისპირებულ მხარეთა სივრცობრივი დაშორიშორება, მართვისათვის სხვადასხვაგვარი ადმინისტრაციის ფორმირება: **საქართველოს ხელისუფლებამ გუმისთის დასავლეთით ფსოუმდე მდებარე ტერიტორია უნდა აღიაროს, როგორც აფხაზეთის რესპუბლიკა და გააფორმოს მასთან ხელშეკრულება ერთიანი სამოკავშირეო სახელმწიფოს შესაქმნელად კელასურის აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორიის აფხაზეთის მხარედ ცნობის პირობით.** იდგმება კომპრომისული მდგომარეობის ჩიხიდან გამომყვანი ნაბიჯი: საქართველო თანხმდება თანასწორუფლებიანი ხელშეკრულების დადებას აფხაზურ მხარესთან, ხოლო ეს უკანასკნელი იღებს თანაბარსუბიექტურ სახელმწიფოებრივ სტატუსს მის მიერ (რუსეთის დახმარებით) კონტროლირებადი ტერიტორიის ნაწილის დათმობის სანაცვლოდ. ამასთან, საქართველოს სახელმწიფოს ოფიციალური საზღვრები და ადმინისტრაციული დაყოფა შენარჩუნდება ახლანდელი აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე, ვიდრე ხელმოწერილი არ იქნება სამოკავშირეო ხელშეკრულება.

რაც შეეხება სოხუმს, იგი უნდა იქცეს დამაკავშირებელ ხიდად აფხაზეთის რესპუბლიკასა და აფხაზეთის მხარეს შორის, მას უნდა ჰქონდეს განსაკუთრებული სტატუსი, მის ტერიტორიაზე (მდინარეების გუმისთასა და კელასურს შორის) ადმინისტრაციული მართვა და, შესაბამისად, წესრიგის დამყარება, კონფლიქტის დარეგულირების პირველ ეტაპზე შეიძლება დაეკისროს (ეთხოვოს) საერთაშორისო ძალებს.

შეიძლება ვინმეს კონფლიქტის მოწესრიგების ავტორისეული მოსაზრება „შეურაცხმყოფელად“, „არასერიოზულად“ ან, უბრალოდ, განუხორციელებლად მოეჩვენოს. აკი რომაელები იტყოდნენ, „ეს სათქმელად უფრო ადვილია, ვიდრე საქნელადო“, მაგრამ არის იმავე რომაელების კიდევ ერთი ანდერძიც „მოკვდავისათვის არაფერია მიუღწეველი“.

ყოველ შემთხვევაში, ბატონი იოსებ არჩვაძე, რომლის ძალზე საინტერესო სამეცნიერო და სამეცნიერო-პოპულარულ ნარკვევებსაც კარგად იცნობს ფართო მკითხველი (იგი, სხვათა შორის, წარმოშობით აფხაზეთიდან გახლავთ), როგორც ვხედავთ, ბევრს ფიქრობს ამ ჯერჯერობით მოუგვარებელი პრობლემის მოგვარებაზე და ანგარიშგასაწევ წინადადებას აყენებს. ამ წინადადებას დინჯად მოსმენა და გონივრულად აწონ-დაწონვა სჭირდება და არა ქედმაღლურად უკუგდება. ქედმაღლობამ და ქარაფშუტობამ ხშირად გვავნო.

ალექსანდრე ალექსიძე.

## ტელევიზია

### 1

10.00 დილის პაემანი 11.35 მიზანი 12.00 საინფორმაციო პროგრამა ინგლისურ ენაზე 12.20 ნანა ჯაფარიძე წარმოგიდგენთ 13.20 რეალური სამყარო 14.00 ეგვიპტომანია 15.00 მოამბე 15.15 საქართველო, დრო, მოვლენები 15.40 აბდაუბდა 16.00 **ფეხბურთი. "ტორპედო"** (ქუთაისი) - **"დინამო"** (თბილისი). (შესვენებისას ოვერტაიმი) 17.55 მხიარული კარუსელი 18.15 საუბრები ლიტერატურაზე. ი. ორჯონიკიძე 19.00 ვესტნიკი 19.35 გინდ დაიჯერეთ, გინდ არა 20.00 ტაიმ-აუტი 20.50 აზრი 20.55 გაეროს განვითარების პროექტი საქართველოში 21.10 მაესტრო 22.30 მუსიკალური ოქტაგონი 23.25 ეთნოგრაფიული ჩანახატი 23.40 მეალომანია 00.15 მოამბე 00.25 ილუზიონი. მხ.ფ. **"დედიკოს ბიჭები"**

### 2

19.00 საბავშვო ფილმი 20.30 ქალი, მამაკაცი, საზოგადოება 21.00 კონტაქტი 21.30 დასაბამიდან 21.40 ახლო ხედი 22.30 ჰიტ-პარადი 22.35 მხ.ფ. **"უფროსი ძმა"**

### რუსთავი 2

08.00 მუსიკა 09.00 კურიერი 09.50 ტელევიქტორინა "ვის უნდა ოცი ათასი" 10.50 მულტსერიალი 11.30 საბავშვო ფილმი 12.45 მუსიკა 12.55 სერიალი **"კოლომბო"** 13.40 სიმფსონები 14.05 სერიალი **"ნაზი შხამი"** 15.00 მხ.ფილმი 18.00, 21.00, 01.30 კურიერი 18.20 ტექს ავერი 18.30 სერიალი **"ოკეანის მარგალიტი"** 19.00 ჩემპიონთა ლიგის კვირის მიმოხილვა 19.50 სერიალი **"ნაზი შხამი"** 22.00 **ფსიქო**. მხ.ფ. **"მოგზაურობა ტოკიოში"** 01.40 სერიალი **"წითელი ფეხსაცმლის დღიური"** 02.10 ღამის ჯაზი

### იბერია

**მიმდინარეობს არხის რეორგანიზაცია** 08.00, 20.00 ანონსი, მულტფილმი 08.20, 20.20 ალსავალი 08.25, 10.05, 11.50, 20.25, 22.00, 23.45 მუსიკა 08.30 მხ.ფ. **"უბრალოდ სისხლი"** 10.15 მხ.ფ. **"ვალი"** 20.30 მხ.ფ. **"ძალიან ახალი"** 22.05 მხ.ფ. **"მაგარი ბიჭი"**

## შაბათი, 28 აპრილი

### ევრიკა

10.00 მხ. ფილმი **"თოვლიანი დღე"** 12.00 პროგრამა "სალონი" 13.30 ფანტასტიკის მოყვარულთათვის მხ.ფილმი **"გალაქტიკის ძიებაში"** 15.00, 21.00 ვესტი 15.30 მუსიკა 16.00 ინდური ფილმი 19.00 თქვენი ადვოკატი 20.00 თინეიჯერები 21.30 ცეროდენა 21.45 პირველი ნაბიჯები 22.00 თეატრალური შეხვედრები 23.30 მენიუ 23.45 მსოფლიო სპორტი 01.15 მხ.ფ. **"გულისცემა"**

### IST

07.30 "ცხოვრება სიტყვაში" 10.00 "ბისი". მხ.ფ. **"მეოთხე სართული"** 11.25, 14.40, 20.30, 22.20, 00.45 კლიპ-მიქსი 11.45 მულტფილმები 13.00 მხ.ფ. **"მე, ისევ მე და კვლავ მე"** 18.00 მულტფილმი 19.00 **"სწ.მედია"** მხ.ფ. **"პარასკევი"** 20.45 პროგრამა "ა" მხ.ფ. **"დამხშობი"** 22.35 "ბრავო" მხ.ფ. "ფილმი თქვენი თხოვნით": **"აკვანი დაირწევა"**. მთ. როლში ჯონ კიუსაკი **"ღრმა ჩაძირვა"**. მთ. როლში კრეიგ შეფერი, **"მაიკლი"**. მთ. როლში ჯონ ტრავოლტა. 01.00 "ღამურა" მხ.ფ. **"ხმები ჩაკეტილი ოთახიდან"** 02.30 ნონ-სტოპი

### 9

09.00, 18.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღის ამბები" 09.15, 18.20 მულტფილმი "პატარა დედოფალი" 09.45 მხ.ფ. **"ოთახი ხედით"** 11.35 "ლიმონი და ლიმონათი" 11.50, 21.30 დოკ. ფილმი "ველური ბუნება" 12.20 მუსიკა 12.35 მხ.ფ. **"ერთგული"** 14.20, 18.40 შემეცნებითი პროგრამა "დისქავერი" 14.50 მხ.ფ. **"ნათლია-2"** მთ. როლში ალ პაჩინო 19.30 გადაცემა: "საბჭოთა საქართველო - ფურცლები ისტორიიდან" 20.00 ევროპის სტადიონებზე 21.05 გადაცემა "ბელისიმო" 22.15 მხ. ფილმი **"ქორწილში განმკარგულებელი"** მთ. როლში ჯენიფერ ლოპესი 00.15 მხ.ფ. **"მგლების ზონა"** მთ. როლში უილიამ დეფო.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.

სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური საბჭო თანაუგრძნობს გაერთიანების საორგანიზაციო სექტორის გამგეს ეთერ მათურელს

დედის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

პროფ. ა. ღვამიჩავას სახელობის ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრი თანაგრძნობას უცხადებს ამავე ცენტრის საფინანსო-ეკონომიკური დარგის დირექტორს თევდორე საჟენეუკს დედის

ნინა ოქრუაშვილის

გარდაცვალების გამო.

---

პროფ. ა. ღვამიჩავას სახელობის ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ამავე ცენტრის ღვაწლმოსილი თანამშრომელი

მერი გიორგის ასული ხუციშვილი

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

გურამ დოლიძე ოჯახით თანაუგრძნობს მანანა, დავით გოცირიძეებს, თინა, გურამ ცანავებს მამის, სიმამრისა და მძახლის

ზურაბ გოცირიძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

შვილები ზვიადი, ზაზა, რძლები ზეინაბ მარტიაშვილი, ქეთევან ღონიაშვილი, შვილიშვილები ეკატერინე, ირაკლი, ნინო, გიორგი, ძმისწულები პაატა პიტიურიშვილი, დავით ღონიაშვილი ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ტელმან ზაქარიას ძე პიტიურიშვილი

პანაშვიდი 30 IV, 6 სთ. გამოსვენება 1 V, 2 სთ. ქ. ყვარელი, ცოტნე დადიანის ქ. №17.

---

საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება და საქართველოს გეოლოგიის, გეოდეზიისა და კარტოგრაფიის მუშაკთა პროფესიული კავშირი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი პროფკავშირული მუშაკი

შალვა ბეჟიჭკორი

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

**რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!**

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამოცემას უზრუნველყოფს შპს „პრესა-98“

მთავარი რედაქტორი არმაზ სანებლიძე.
სარედაქციო კოლეგია: ალეკო ასლანიშვილი, როლანდ ბასილაშვილი, გურამ გოგიაშვილი, ბონდო გულიაშვილი, გიორგი ლალიაშვილი, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ბექა ჭედია, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები — „საქართველოს რესპუბლიკის“ ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი ბექა ჭედია.

ინდექსი 66434

მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24. სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა — PRESS-98@CAUCASUS.NET
იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს“ საგაზეთო კორპუსში. ხოშტარიას 29.